

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

(47.93)06
2-42

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

2.1992

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

მეცნე



2. 1992

თბილისი
ТБИЛИСИ



ყ.
(47 93)06
გ. 42

ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა : ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, ვ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შაველიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкrellidze O. K., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надаренишвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1992, № 10

რ ე დ ა კ ტ ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 19.5.1992; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.7.1992; შეკვ. № 560; ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,1; სააღრიცხვო-სავაგომომცემლო თაბახი 7,20; ტირაჟი 750;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა რ ს ი

ეკონომიკა

ა. მუჰამადიანი, მცირე მეწარმეობა და ბიზნესი საბაზრო ეკონომიკაში	5
ბ. შერბაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი მარქსისა და ენგელსის როლის შესახებ I ინტერნაციონალში	16
ვ. ზუნაშვილი, სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის აუცილებლობის შესახებ საბაზრო ეკონომიკის პირობებში	32
გ. ბერიძე, საქართველოს ეკონომიკური კავშირები ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1920-1928 წლებში	38
დ. წიკლაური, საგარეუბნო რაიონების განვითარების ეკონომიკური დონე და ანალიზი საბაზრო-ეკონომიკის პირობებში	52
ე. ნანტლაძე, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ფინანსები	61
ი. ნათელაური, ერთობლივი საწარმო-საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრესული ფორმა	70
კ. ლეიშვილი, მარქსის ღირებულების თეორიის კრიტიკის რამდენიმე არგუმენტი	76

სამართალი

ბ. ნაღარაიშვილი, სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საერთაშორისო ვაჭრობა ქრისტეს დაბადებამდე მეთვრამეტე საუკუნეში	83
ერგუნე ონანი, სასამართლოსა და ადვოკატურის ორგანიზაცია თურქეთში	86
თეიმურაზ პაუნალი, შეეცარული სამოქალაქო სამართლის გლობალური რეცეპციის შესახებ თურქეთში	93

რეცენზია

ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაული და მისი გამართლების მცდელობა	98
--	----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

Э. Г. Меквабидзе, Малое предпринимательство и бизнес в рыночной экономике	5
Г. Ю. Перадзе, Варлам Черкезишвили о роли К. Маркса и Ф. Энгельса в Первом Интернационале	16
В. Бучукури, О необходимости государственной научно-технической политики в условиях рыночной экономики	32
В. И. Беридзе, Экономические связи Грузии с Закавказскими республиками в 1920—1928 гг.	38
К. М. Циклаури, Экономический уровень и анализ пригородных районов при рыночной экономике	52
Л. Э. Чантладзе, Финансы самоуправления города Тбилиси	61
И. Ш. Нателаури, Совместные предприятия — прогрессивная форма международного экономического сотрудничества	70
П. Р. Леиашвили, Несколько аргументов критики теории стоимости Маркса	76

ПРАВО

Г. Надарейшвили, Международная торговля, упорядоченная правовыми нормами в XVIII в. до н. э.	83
Эргун Онен, Организация судов и адвокатуры в Турции	86
Теоман Акюнал, О глобальной рецепции швейцарского гражданского права в Турции	93

РЕЦЕНЗИИ

Преступление против человечности и попытка его оправдания	98
---	----

საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გაძლიერებისა და, აქედან გამომდინარე, მასზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების აუცილებლობის შესახებ. ასეთი კონტროლის ორგანიზაციულ ფორმად მიჩნეული იყო მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთი ცენტრიდან მართვა. ამ პროცესის რეალური განხორციელება კი შესაძლებელი იყო მსხვილი სამეურნეო ერთეულების არსებობის პირობებში. მეორე პოსტულატს წარმოადგენდა ლენინის ცნობილი დებულება, წვრილ წარმოებასთან შედარებით, მსხვილი წარმოების უდავო უპირატესობისა და პროგრესულობის შესახებ.

ტოტალურად გასახელმწიფოებული, ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიზებული საკუთრება აღიარებდა მხოლოდ სახელმწიფოსაგან მთლიანად დამოკიდებულ და არათავისუფალ მწარმოებელ ადამიანს. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სხვისი ეკონომიკური ნების აღმსრულებელს. მეწარმეობის ფუნქცია ერთპიროვნულად სახელმწიფოს ჰქონდა მითვისებული და ამ ფუნქციას იგი უაღრესად არაეფექტიანად ახორციელებდა. მეწარმეობა და ბიზნესი კაპიტალიზმის სპეციფიკურ კატეგორიებად იყო მიჩნეული, მაშინ, როცა სოციალისტური ან კაპიტალისტური მეწარმეობა ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. ამ კატეგორიებს თვითმყოფადი შინაარსი გააჩნია, რომელიც საერთოა ყველა ეპოქასა თუ საზოგადოებაში.

გარდა წმინდა თეორიული საფუძვლისა, ყოფილ საბჭოთა კავშირში ე. წ. „გიგანტომანიით“ გატაცებას, მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის იგნორირებას პოლიტიკური სარჩულიც ედო. ეკონომიკის უკიდურესად გამსხვილებულ-გამარტივებული და ცენტრალიზებული სტრუქტურა კარგად პასუხობდა „ცენტრის“ ყოვლისშემძლეობის უზრუნველყოფის მოთხოვნას. წარმოების უაღრესად მაღალი კონცენტრაციის პირობებში გაადვილებული იყო კონტროლი უზარმაზარი იმპერიის მთელ ეკონომიკურ პოტენციალზე.

საქართველოს ეკონომიკისათვის, როგორც „ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის“ შემადგენელი ნაწილისათვის, ასევე იყო ნიშანდობლივი წარმოების კონცენტრაციის დაუსაბუთებლად მაღალი დონე და გიგანტომანია. მაგრამ ეს ყველაფერი ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს კი არ ემსახურებოდა, არამედ ამ ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. „ცენტრის“ მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა ეროვნული, დემოკრატიული, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების უკიდურესი გამწვავება.

იმჟამად სსრ კავშირში წარმოების მონოპოლიზაციის დონე ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში, რაც გამოიხატება, ჯერ ერთი, წვრილი საწარმოების მცირე რაოდენობაში და მეორე, ერთ საწარმოში დასაქმებული სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ყველაზე დიდ რიცხოვნებაში. ასე მაგალითად, აშშ-ში 20 მილიონამდე მცირე საწარმოა 20 კაცზე ნაკლები დასაქმებული მუშაკით. ისინი იძლევიან ერთობლივი საშინაო პროდუქტის 43%-მდე. იაპონიაში 9 მილიონამდე მცირე საწარმოა, ინდოეთში — 12 მილიონამდე და ა. შ. 1989 წლისათვის მცირე საწარმოთა რიცხვი სსრ კავშირში ოდნავ აღემატებოდა ათას ერთეულს. იმავე პერიოდის მონაცემებით სსრ კავშირში ერთ საწარმოში საშუალოდ დასაქმებული იყო 750 მუშაკი, იაპონიაში — 20, გფრ-ში — 44, აშშ-ში — 52.

მცირე საწარმოთა ფუნქციონირება და მცირე ბიზნესი განვითარება
საბაზრო სტრუქტურაში (ა. შ. შ.-ის მაგალითზე)

ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი, დოქტორი რობერტ ლემპსონი აღნიშნავს: „შეგნიდან ვაივიც რა, თუ რას წარმოადგენს დიდი ბიზნესი, ვამჯობინე ხელი მომევიდა მცირე ბიზნესისათვის... დღეს ბევრმა არ იცის, რომ ამერიკის ეკონომიკის წარმატება და სიძლიერე ემყარება მცირე და საშუალო ბიზნესს“¹. ვფიქრობ, მოტანილი ციტატა კარგად გამოხატავს მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის როლს განვითარებულ საბაზრო სტრუქტურაში.

როგორც აშშ-ში, ასევე სხვა ქვეყნებში მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის აღმავლობა უკავშირდება პერიოდს 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-იანი წლების შუახანებამდე. მას საფუძვლად დაედო საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე სამეურნეო ცხოვრების დეცენტრალიზაციის ტენდენცია, რაც თავის მხრივ, შემდეგში გამოიხატა: ა) შრომის ენერჯო და ფონდშიარაღების ზრდა, რომელმაც საშუალება მისცა ცალკეულ მუშას შეესრულებინა ისეთი საწარმოო (შრომითი) ოპერაციები, რომლებიც წინათ მუშათა ჯგუფებს საჭიროებდა; ბ) მოთხოვნილებათა სწრაფი ცვალებადობა და მათი გამრავალფეროვნება, რამაც დღის წესრიგში დააყენა ნაკადურ-მასობრივი წარმოებიდან მოქნილ (მობილურ) წარმოებაზე გადასვლის აუცილებლობა; გ) მიკროელექტრონიკაზე დამყარებულ ახალ ტექნოლოგიებზე მასობრივი გადასვლა. ახალმა ტექნოლოგიებმა წვრილი ფირმების როლი წინა პლანზე წამოსწია მსხვილ კორპორაციებთან შედარებით. რატომ? იმიტომ, რომ კონკურენტულ ბრძოლაში რაოდენობრივ პარამეტრებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, მაგრამ მთავარი ამ პროცესში მაინც არის სწრაფი ცვალებადობისა და ადაპტაციის უნარი, რაც მცირე ფორმებისათვის არის ნიშანდობლივი; დ) ღრმა თვისებრივი ცვლილებების განხორციელება წარმოების სტრუქტურულ აგებულებაში. მსხვილ კომპანიებს, როგორც წესი, მკვეთრად განსაზღვრული ინდუსტრიული სტრუქტურები გააჩნიათ, რომლის ცვლილებასაც ხანგრძლივი დრო და სახსრები სჭირდება. ბევრი ეკონომისტის აზრით, ეს იყო ძირითადი მიზეზი იმ კრიზისისა, რასაც ისინი განიცდიდნენ 70-იან წლებში და რასაც ხშირად უწოდებდნენ „მასშტაბების კრიზისს“. პარალელურად კი მიმდინარეობდა მცირე ფირმების რენესანსი, ანუ „სამეწარმეო ბუმი“. პირველად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ცნობილი მეცნიერის შეუძლებლის თეზისი, რომლის თანახმადაც მხოლოდ მსხვილ კორპორაციას შეუძლია სრულად გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული უპირატესობანი. ისეთი ცნობილი ეკონომისტების ნაშრომებში, როგორიცაა ჰელბრეიტი, დრაკერი, ჩანდლერი, საიმონი და სხვ. დასაბუთებულია მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. დასავლეთში დღეს განსაკუთრებით პოპულარულია პ. დრაკერის „სამეწარმეო საზოგადოების“ თეორია. ეყრდნობა რა აშშ-ის სტატისტიკურ მონაცემებს 1965-1985 წლების პერიოდში, იგი ამტკიცებს, რომ ამერიკაში მოხდა გადასვლა „მმართველობითი ეკონომიკიდან“ (მართვა, ანუ მენეჯმენტი მსხვილი ბიზნესის ატრიბუტადაა წარმოდგენილი) „სამეწარმეო ეკონომიკაზე“. დრაკერის შეხედულებით, ეს არის აშშ-თვის ჯერ არნახული რევოლუცია².

¹ უტრ. „Деловые люди“, თებერვალი, 1991 წ. გვ. 76.

² Druker P., Innovation and Entrepreneurship Practice and Principles № 4, 1985,

1976-1986 წლებში ახლადწარმოქმნილი წვრილი და საშუალო კომპანიების რიცხვი 87%-ით (376 ათასიდან 703 ათასამდე) გაიზარდა და ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატებოდა იმავე პერიოდში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის მაჩვენებელს.

აშშ-ის სტატისტიკის თანახმად, მცირე სამრეწველო ფირმებს მიეკუთვნება კომპანიები, სადაც დასაქმებულია 500-მდე მუშაკი, ხოლო საშუალო კატეგორიას — 500-დან 1000-მდე დასაქმებული მუშაკით. დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში მცირე ფირმებში დასაქმებულია 50-დან 500 მუშაკამდე, ხოლო იაპონიაში — 30-დან 300 მუშაკამდე.

საკუთრებითი ურთიერთობის თვალსაზრისით, მცირე საწარმოები და ბიზნესი აშშ-ში ემყარება როგორც ცალკეული პიროვნებისა და მისი ოჯახის საკუთრებას, ასევე კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას. მცირე მეწარმეობისათვის დამახასიათებელია საკუთრებისა და მართვის ურთიერთშერწყმა.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, გამოიყოფა შემდეგი ფორმები: ერთპიროვნული მფლობელობა, ამხანაგობა და კორპორაცია. მათ ყველას უწოდებენ საერთო სახელწოდებას — ფირმას.

ერთპიროვნულ მფლობელობაში მყოფი ფირმის სუბიექტია პიროვნება ან ოჯახი, რომელიც საქმიანობიდან იღებს მთელ შემოსავალს და ერთპიროვნულად ეწევა რისკს. ეს ფორმა აერთიანებს საკუთრებას და მენეჯერობას. მას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პირველთა რიცხვს განეკუთვნება: ა) სრული დამოუკიდებლობა და საქმიანობის ოპერატიულობა; ბ) მაქსიმალური მამოძრავებელი მოტივაცია; გ) საქმიანობის კონფიდენციალურობა.

უარყოფით მხარეებს განეკუთვნება: ა) დიდი ზომის კაპიტალების მოზიდვის სირთულე; ბ) საქმიანობის ვადების განუსაზღვრელობა; გ) სპეციალიზებული მენეჯმენტის არარსებობა; დ) სხვადასხვა ფუნქციონალური ნაკლოვანებანი.

ფუნქციონირებს ორი სახის ამხანაგობა: მარტივი, ანუ შეუზღუდავი პასუხისმგებლობით და შეზღუდული პასუხისმგებლობით.

გარდა აღნიშნული ფორმებისა, აშშ-ის ეკონომიკაში ფართოდაა გავრცელებული მცირე საწარმოთა ისეთი ტიპები, როგორებიცაა ვენჩურული საწარმოები, განსაკუთრებით ინოვაციურ სფეროში და სუბიჯარული სისტემა ფრანჩაიზინგის (წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან — „ფრანჟიზა“ — ნიშნავს შეღავათს, პრივილეგიას) სახელწოდებით. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს უკანასკნელი. აშშ-ში, ისევე როგორც ნებისმიერ ინდუსტრიულად მდლაგანეთარებულ ქვეყანაში, მსხვილი კორპორაციები და მცირე ფირმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ ფუნქციონირებენ, არამედ მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ისტორიას ჩაბარდა კლასიკური კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ეპოქა, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო წვრილ საწარმოთა მასობრივი „ჩაყლაპვა“ მსხვილ საწარმოთა მიერ. ამჟამად საპირისპირო სურათს ვხედავთ: მსხვილი კორპორაციები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ მათ გარშემო შეიქმნას წვრილ ფირმათა განშტოებული ქსელი და საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსებსაც ახმარენ ამ საქმეს. მიზეზი აქ ერთია: წვრილი მეწარმეობისა და ბიზნესისადმი ხელშეწყობა შეადგენს მსხვილი კორპორაციის სტრატეგიის ნაწილს, მიმართულს მოგების (შემოსავლის) მაქსიმიზაციისაკენ.

მცირე ფირმები, როგორც წესი, სპეციალიზდებიან ცალკეული კვანძებისა და დეტალების წარმოებაზე. ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო სამუშაოებს. მსხვილი კორპორაციები კი მზა პროდუქციის გამოშვებით არიან დაკავებული. გარდა ამისა, მცირე ფირმების საქმიანობა უმოთხრესად ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზეა ორიენტირებული, იყენებს ადგილობრივ ნედლეულსა და მასალებს.

ფრანჩაიზა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის მსხვილი კორპორაციებისა და მცირე ფირმების თანამშრომლობის (კოოპერაციის) ფორმა. მათ შორის იდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მსხვილი საწარმო (კორპორაცია) ვალდებულია კისრულობს მოამარაგოს მასთან კოოპერაციაში მყოფი მცირე ფირმა, ან ინდივიდუალური ბიზნესმენი თავისი საქონლით, სარეკლამო სამსახურით, ან საბიზნესო ტექნოლოგიით. სამაგიეროდ მცირე ფირმა ფრანჩაიზა ვალდებულია კისრულობს გაუწიოს ფრანჩაიზერს სამენეჯერო ან სამარკეტინგო მომსახურება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ან ამ კომპანიაში დააბანდოს თავისი კაპიტალის გარკვეული ნაწილი. მის ვალდებულებაში შედის აგრეთვე ის, რომ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს მხოლოდ ფრანჩაიზერთან და შეასრულოს მისი მითითებანი.

ფრანჩაიზინგის სისტემა საწარმოთა სამ სახეობას მოიცავს. პირველი ის ფორმებია, რომლებიც კონტრაქტების საფუძველზე ფუნქციონირებენ. ისინი ვალდებულნი არიან მხოლოდ გაყიდონ სათაო საწარმოს (ფირმის) მიერ მოწოდებული პროდუქცია და გაუფრთხილდნენ მის ავტორიტეტს. ესენია: ავტოდილერები, ნაწილობრივ ბენზინგასამართი სადგურები, მაღაზიები. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ის ფირმები, რომელთა საწარმოო და კომერციული საქმიანობის მრავალ მხარეს (გაყიდვის გეგმა, წარმოებისა და ხარისხის სტანდარტები, ოპერატიული ანგარიშგება და სხვ.) განსაზღვრავს მსხვილი საწარმო. ე. წ. „მოსახერხებელი მაღაზიები“, რომლებიც ვაჭრობენ ყოველდღიური მოხმარების საქონლით, რესტორნები კერძების შეზღუდული ასორტიმენტით, ავტომობილის გამჭირავებელი პუნქტები და სხვ. ფირმების ამ ჯგუფისათვის არის განსაკუთრებით დამახასიათებელი ზრდის მაღალი ტემპი. ასე მაგალითად, „მოხერხებულ მაღაზიათა“ რიცხვი აშშ-ში 1965-1985 წლებში გაიზარდა 8,8 ათასიდან 16 ათასამდე, ხოლო გამჭირავებელი პუნქტებისა — 10,7 ათასიდან 12,2 ათასამდე³.

მცირე საწარმოთა (ფირმათა) მესამე ჯგუფი აერთიანებს ე. წ. ოპერატორ-საწარმოებს, რომლებიც იჯარით გადაეცემათ წვრილ მეწარმეებს. ესენია: ავტოსარემონტო, ბენზინგასამართი, საზოგადოებრივი კვების ობიექტების ერთი ნაწილი. საკუთრების თვალსაზრისით, ისინი მსხვილი კორპორაციის მფლობელობაში შედიან, ფუნქციურ გამოყენებას კი მცირე მეწარმეები ახორციელებენ. ამ უკანასკნელთა საქმიანობა მთლიანადაა რეგლამენტირებული მეპატრონე ფირმების მიერ. ასე მაგალითად, ფირმა „მაკდონალდს“-ის მიერ „ოპერატორებისათვის“ შედგენილი ინსტრუქცია მოიცავს 385 გვერდს, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული მოთხოვნები ტექნოლოგიის, მარკეტინგის და სხვა სფეროებიდან. ამგვარი რეგლამენტაცია, როგორც წესი, მომსახურების მაღალი დონის გარანტიაა.

³ Statical Abstract of the United States 1987, გვ. 723.

აშშ-ში მცირე მეწარმეობისა და ბიზნესისადმი მხარდაჭერა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რაც სხვადასხვა გარემოებებში ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ სფეროს სუბსიდირება. იგი ყოველწლიურად შეადგენს 4 მილიარდ დოლარს. ამერიკის კონგრესში ორი კომიტეტი უშუალოდაა დაკავშირებული მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროს განვითარების პრობლემებთან. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ჩინოვნიკთა რიცხვი, რომელიც იგივე საქმეს ემსახურება, 4500 კაცს შეადგენს. წარმართველი ინსტიტუტია მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, რომელიც თავის რიგებში 1000-მდე თანამშრომელს ითვლის. ყველა შტატში მას ჰყავს რეგიონალური განყოფილება 30-40 კაცის ოდენობით. არც უმაღლესი და არც რეგიონალური მართვის აპარატის ჩინოვნიკები კი არ მბრძანებლობენ მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროს, არამედ ემსახურებიან მას სათანადო ინფორმაციით. კონსულტაციით და ა. შ.

მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის მხარდაჭერას გელისხმობს მიღებული საგადასახადო სისტემა, რომელიც სხვადასხვა შეღავათებს ითვალისწინებს. აშშ-ში მოქმედებს შეღავათიანი გადასახადები 16 ათას დოლარამდე შემოსავალზე. 15% გადასახადები პირველ 50 ათას დოლარ შემოსავალზე და 25% ყველა მომდევნო 25 ათას დოლარზე. გადასახადის მაქსიმუმი 38%⁴.

ამრიგად, გარეგანი ეკონომიკური გარემოს გაურკვევლობის ზრდა, კონკურენციული ბრძოლის გლობალიზაცია და გამწვავება, წარმოების დარგობრივი სტრუქტურის პერეორიენტაცია უფრო პროგრესულ, მეცნიერებადტევად ტექნოლოგიებზე წინა პლანზე წამოსწევს მცირე ფირმების როლს. ამასთანავე, მცირე ფირმების მაღალი მობილურობა და ინოვაციებისაკენ მისწრაფება ორგანულად ერწყმის მსხვილი კორპორაციების უზარმაზარ საწარმოო და ფინანსურ პოტენციალს. ეს კი უზრუნველყოფს მთლიანად საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უნდა დაიწყოს წვრილი მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის აღორძინებით. წვრილი მეწარმეობა და ბიზნესი თავისი სუბსტანციური ბუნებით კარგად შეესატყვისება ქართველ კაცის ბუნებას, ქართველი ხალხის ტრადიციებს, ყოფით კულტურას, ფსიქოლოგიასა და ისტორიულ მემკვიდრეობას.

საკითხი იმის შესახებ, თუ მეურნეობრიობის რომელ სექტორში განვითარდება თავდაპირველად მცირე მეწარმეობა და ბიზნესი, არ არის გადაწყვეტილი. ამასთანავე, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე მეწარმეობა და ბიზნესი მაშინ ავლენს განსაკუთრებულ ეფექტიანობას, როცა იგი წვრილ ინდივიდუალურ (ცერძო) შრომით საკუთრებას ემყარება.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა სხვადასხვა ფაქტორებში გამოიხატება, რომელთა შორის ჩვენ ზოგიერთზე მივუთითებთ:

1. წვრილი საწარმოები წარმოადგენენ რა საბაზრო ურთიერთობების მნიშვნელოვან სუბიექტს, აქედან გამომდინარე, მათი რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ზრდა ხელს უწყობს საბაზრო გარემოს წარმოქმნას და

⁴ „Вопросы экономики“, № 8, 1991 წ. გვ. 72.

რეალური საკონკურენტო სიტუაციის აღმოცენებას. ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: არსებული ტოტალური მონოპოლიზაციის დემონტაჟი მცირე მეწარმეობასა და ბიზნესს საკუთარი ძალებით დღესდღეობით არ ძალუძს. ამიტომ საჭიროა აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც 2-3 მილიონი წვრილი ფირმის არსებობაა საჭირო, რათა შეიქმნას რეალური კონკურენტია როგორც მსხვილ მონოპოლიებსა და მცირე ბიზნესს შორის, ასევე მცირე ფირმებს შორისაც⁵.

2. წვრილ და საშუალო ფირმებს უნარი შესწევთ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ დაუქმყოფილებელი მოთხოვნის უზრუნველყოფაში პირველადი მოხმარების საგნებითა და მომსახურებით. ამას კი, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო დეფიციტის პირობებში.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე მეწარმეობასა და ბიზნესს დასაქმების პრობლემის შერბილებასა და გადაჭრაში. მაგალითისათვის კვლავ მივმართოთ აშშ-ს სინამდვილეს: უკანასკნელი 15 წლის მანძილზე აშშ-ში ახლადშექმნილი 25 მილიონი სამუშაო ადგილიდან 95% მცირე და საშუალო ფირმებზე მოდის. ეკონომიკის ერთ-ერთ დარგში, გადამამუშავებელ მრეწველობაში 1976-1986 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩარჩოებში შეიქმნა 1,3 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, მაშინ, როცა იმავე პერიოდში მსხვილ კორპორაციებში 100 ათასი სამუშაო ადგილი გაუქმდა.

4. მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის ჩამოყალიბება ხელს უწყობს ეკონომიკის რესტრუქტურირებას რეკონსტრუქციის გზაზე. იგი მოითხოვს ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს, მაღალია კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, მაღალია საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტი, დაბალია მმართველობის ხარჯები და ა. შ.

5. მცირე მეწარმეობა და ბიზნესი ნაკლებ საზიანო ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ე. ი. გააჩნია ეკოდამცავი ხასიათი.

6. მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს ჰორიზონტალური კავშირების დამკვიდრებასა და განვითარებას, რაც საბაზრო სტრუქტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

7. მცირე მეწარმეობა და ბიზნესი ხელს უწყობს ლოკალურ (რაიონის, ქალაქის, რეგიონის) დონეზე მეურნეობრიობის განვითარებას, რამეთუ იგი, ერთი მხრივ, ადგილობრივ მატერიალურ და შრომით რესურსებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე მუშაობს.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად მცირე საწარმოები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს:

- 1) ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი მცირე საწარმოები;
- 2) მომსახურების სფეროს მცირე საწარმოები;
- 3) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში ფუნქციონირებადი მცირე საწარმოები.

მცირე საწარმოთა შექმნა ორი გზითაა შესაძლებელი: 1) არსებული გიგანტი მონოპოლისტი საწარმოების (გაერთიანებების) დემონოპოლიზაციით და 2) ახალი მცირე საწარმოების შექმნით. პირველი მიმართულება, თავის მხრივ, მოიცავს ლონისტიკებათა სამ ჯგუფს: ა) საწარმოთა გამოყვანა უწყებრივი დაქვემ-

⁵ „Вопросы экономики“ № 8, 1991, გვ. 77.

დებარებიდან: ბ) ხელოვნურად შექმნილი გიგანტი გაერთიანებების დაშლა-დაწვევება საშუალო და მცირე საწარმოებად, რომელთა შორის უნდა დამყარდეს სამეურნეოანგარიშიანი (ნაცვალგებით) ურთიერთკავშირები; გ) მკაცრი იერარქიული აგებულების მქონე ვერტიკალური სტრუქტურების დაშლა და მათ სანაცვლოდ ჰორიზონტალური სტრუქტურების განვითარება ასოციაციების შექმნის გზით. აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ასოციაციაში მონაწილეთა ნებაყოფლობითი შესვლისა და ასოციაციიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

ძსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემის შესაქმნელად უფრო ეფექტიანი და ეკონომიური გზაა ახალი წვრილი საწარმოების შექმნა, წვრილი მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება, ვიდრე მონოპოლიზებული საკუთრებისა და წარმოების დემონოპოლიზაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენი ეკონომიკის მონოპოლიზაციის დონე იმდენად მაღალია, რომ მისი შენარჩუნება შეუძლებელს გახდის მცირე მეწარმეობის (ბიზნესის) განვითარებას და საერთოდ საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებას. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ვამტკიცებთ წვრილი წარმოების ხელოვნურად ფორსირებული განვითარების აუცილებლობას მსხვილი წარმოების გამოდევნის ხარჯზე. საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა შემდეგში გვესახება: ყველა ზომის საწარმოს, საზოგადოებრივი წარმოების სექტორის კუთვნილების მიუხედავად, მეურნეობრიობის თანაბარი პირობები უნდა შეექმნას. ყოველმა მათგანმა რეალურ კონკურენციაში უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა და შესაბამისად, სიცოცხლისუნარიანობა. ყოველივე ამას კი ის მოახერხებს, ვინც, თანაბარ პირობებში, უფრო ეფექტიანად გამოიყენებს მის განკარგულებაში არსებულ რესურსებს.

მეორე მიმართულება, როგორც აღნიშნეთ არის ახალი მცირე საწარმოების შექმნა და ფუნქციონირება. ამის უფლება უნდა გააჩნდეს ყველა მსურველს: სახელმწიფოს, კოოპერატივს, კერძო პირს. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე საწარმოთა ჩამოყალიბებას არასახელმწიფოებრივ სექტორში. ეკონომიური მეთოდებით უნდა შეიქმნას ორსექტორიანი ეკონომიკა (სახელმწიფო სექტორი — არასახელმწიფო (თავისუფალი) სექტორი და მოხდეს პირველის მეორედ თანდათანობითი ტრანსფორმაცია.

წვრილი მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარება მოითხოვს სათანადო ორგანიზაციულ, საწარმო-ტექნიკურ, საფინანსო-ეკონომიკურ, სამმართველო, სამართლებრივ და სამარკეტინგო უზრუნველყოფას. განვიხილოთ თითოეული მათგანის შინაარსი.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის საორგანიზაციო უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მისი რეგისტრაციის წესის შეცვლას გაადვილების მიზნით. ამჟამად არსებული სანებართვო პრინციპი, რომელიც ხშირად კორუფციის საფუძვლად იქცევა, უნდა შეიცვალოს სარეგისტრაციო პრინციპით. გატარდება რა რეგისტრაციაში მცირე ფირმა, მას უფლება ეძლევა დაუყოვნებლივ შეუდგეს საქმიანობას. საორგანიზაციო უზრუნველყოფა გულისხმობს აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, აგრეთვე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შემადგენლობაში მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის მართვის ორგანოების შექმნას, რომელ-

ბიც სათანადო უფლებამოსილებით იქნებიან აღჭურვილნი და შეასრულებენ შესაბამის ფუნქციებს.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფა გულისხმობს მისი ადეკვატური კომპაქტური და მაღალტექნოლოგიური წარმოების საშუალებათა შექმნას. მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი მობილურობა, რაც წარმოების სწრაფად გადაწყობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ამას კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ სფეროში.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის საფინანსო-ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მცირე ფირმების განვითარების ხელშეწყობი მიზნობრივი ფონდების შექმნა, რომლებსაც, ჩვენი აზრით, შეიძლება ჰქონდეთ ორგვარი დანიშნულება. პირველი, სადაზღვევო ხასიათი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მცირე მეწარმეობა და ბიზნესი ხასიათდება მაღალი რისკიანობით და ამიტომ მას სჭირდება გარკვეული ღამცავი მექანიზმი. მეორე — მცირე ფირმებისათვის კრედიტების მიწოდების გარანტიის ფუნქცია. როგორც საზღვარგარეთული გამოცდილება ადასტურებს, მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში მიზნობრივი კრედიტის მიღება საკმაოდ იოლია, თუ სახეზეა მხარდამჭერი ფონდის წერილობითი გარანტია. ასეთი გარანტიის მიღება კი პირიქით, რთული საქმეა. მას ყოველთვის წინ უძღვის შემოთავაზებული პროექტის ღრმა და მრავალმხრივი ექსპერტიზა. გარანტია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფონდი დარწმუნდება პროექტის პერსპექტიულობაში. იმ შემთხვევაში, თუ მცირე საწარმოები ფუნქციონირებენ სახელმწიფო პრიორიტეტის სფეროში (მაგალითად, აწარმოებენ ფართო მოხმარების საქონელს), მათ შესაძლებელია მიეცეთ სახელმწიფო ბანკების კრედიტები და არ არის გამოირიცხული მათი პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდირებაც.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება მოითხოვს კომერციული ბანკების სისტემის განვითარებას. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად კომერციული ბანკები დიდ ენთუზიაზმს როდი გამოიჩინენ ამ საკითხისადმი. საქმე ისაა, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია მსხვილი კრედიტების გაცემა მაშინ, როცა მცირე ფირმებს შედარებით პატარა მოცულობის კრედიტები სჭირდებათ. უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ კომერციული ბანკები კრედიტზე მაღალ სარგებელს ითხოვენ, ამის გადახდა კი, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მცირე ფირმებს არ შეუძლიათ.

ეკონომიკური უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გადასახადები. საჭიროა გადასახადების ოპტიმალური დონის დადგენა. საქმე ისაა, რომ დაუსაბუთებლად დაბალმა გადასახადებმა შესაძლებელია განაპირობოს ამ სფეროს არაჯანსაღი გააქტიურება, ხოლო დაუსაბუთებლად მაღალმა კი პირიქით ჩაკლას სამეურნეო (სამეწარმეო) ინიციატივა. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედარებით დაბალი გადასახადების დაწესება. არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ პირველი ორი წლის მანძილზე მცირე მეწარმეობა და ბიზნესი საერთოდ გამოირიცხოს დაბეგვრის პროცესისგან. აუცილებელია აგრეთვე განხორციელდეს დიფერენციალური მიდგომა მცირე ფირმების მიერ მიღებული მოგების (შემოსავლის) სხვადასხვა ნაწილის დაბეგვრისადმი. კერძოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში (4-5 წე-

ლიწადი), გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდეს მოგების ინვესტირებადი (საინვესტიციო კრედიტი), აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხების ის ნაწილი, რომელიც მიდის ე. წ. სტაბილიზაციის ფონდში. ეს დამატებით სტიმულს შექმნის საწარმოო საქმიანობის გაფართოებისათვის. მოგების იმ ნაწილზე კი, რომელიც პირად მოხმარებაში გადადის, შესაძლებელია დაწესდეს შედარებით მაღალი გადასახადი.

ცალკე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორად ასევე შეიძლება გამოიყოს ოპტიმალური ფასწარმოქმნის მექანიზმი მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება — ეს ამჟამად ყველაზე მტკივნეული და მოუგვარებელი პრობლემაა. მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სექტორი ნამდვილ „სარესურსო შიმშილს“ განიცდის. აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მკაცრად ცენტრალიზებული ხისტი სისტემის დეცენტრალიზაცია და დემონოპოლიზაცია, მცირე ფირმების უზრუნველყოფელი წვრილ-საბითუმო ბირჟების ქსელის შექმნა, რომლებიც განახორციელებენ წარმოების საშუალებებით ვაჭრობას; მცირე ფირმების სასარგებლოდ საინვესტიციო, განსაკუთრებით ინოვაციური ხასიათის მქონე რესურსების განაწილება და სხვ.

სამამართველო და სამარკეტინგო უზრუნველყოფა გულისხმობს საკონსულტაციო, საშუამავლო და სამარკეტინგო კანტორების ფართო ქსელის შექმნას, მათი ფუნქციების ზუსტ განსაზღვრას.

სამართლებრივი უზრუნველყოფა მოიცავს მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროს რეგულირებას შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე, აგრეთვე იურიდიული სამსახურის პრაქტიკულ ფუნქციონირებას (იურიდიული კანტორები). უპირველეს პრინციპს უნდა წარმოადგენდეს მცირე ფირმების სრული სამეურნეო და იურიდიული დამოკიდებულების აღიარება. ეს ეხება საკუთრების ყველა ფორმაზე დამყარებულ მცირე ფირმას და განსაკუთრებით იმათ, რომელთა დამფუძნებლებად გამოდიან სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და ა. შ.).

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა უზრუნველყოფს მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებას. ყოველივე ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოში საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების საქმეში.

ბიზნესის მორალისა და ეთიკის შესახებ

ბიზნესი რთული თვითრეგულირებადი სისტემაა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ეკონომიკური და იურიდიული ნორმატივები, არამედ მორალური ნორმებიც. ქვემოთ მივუთითებთ ზოგიერთი მათგანის შესახებ:

— ბიზნესის მამოძრავებელი მოტივი მოგებაა, მაგრამ ქვეშარიტი ბიზნესმენისათვის მოგება არის არა თვითმიზანი, არამედ თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის საშუალება;

— ბიზნესმენსა და მეწარმეს უნდა ახასიათებდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა, პატიოსნება და რეალიზმი;

— მეწარმეობა და ბიზნესი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ რისკს. ამიტომ მეწარმე და ბიზნესმენი გარკვეულწილად მოთამაშენი არიან;

— წვრილფეხა სპეკულანტი ვერასდროს გახდება დიდი ბიზნესმენი. რასაც იგი ერთი სპეკულანტური გარიგებით მოიგებს, აუცილებლად წააგებს სხვა გარიგების დროს, და რაც მთავარია, მას არავინ ენდობა: არც პარტნიორი და არც კლიენტი, რამეთუ შეიძლება ერთი ადამიანის რამდენიმეჯერ და რამდენიმე ადამიანის ერთხელ მოტყუება, მაგრამ შეუძლებელია მრავალი ადამიანი მოატყუო ბევრჯერ.

— ქეშპარიტი ბიზნესმენი არის ის, ვინც მიზნად ისახავს რაღაც მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას და თანმიმდევრულად ესწრაფვის მას;

— ნამდვილი ბიზნესმენისათვის გაცილებით ადვილია ფულის შოვნა, ვიდრე ამ ფულის სათანადო მოთავსება (დაბანდება). ცნობილი ფრანგი ბიზნესმენის ალექს მოსკოვიჩის გამოთქმით: „მომეცით კარგი საქმე და ფული გაჩნდება, მიეცით ბრიყვის ფული და იგი მას გაანიავენს ან დაკარგავს წარუმატებელ სპეკულაციურ გარიგებაზე“.

— მეწარმისა და ბიზნესმენის მიერ პარტნიორისათვის მიცემული სიტყვა ზოგჯერ გაცილებით უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე საუკეთესო ადვოკატების მიერ შედგენილი კონტრაქტი. არც თუ ისე იშვიათად, მილიონიანი გარიგების დადება და შესრულება ხდება მიცემული პატიოსანი სიტყვის საფუძველზე.

სამწუხაროდ, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში საქმოსნობის სპეკულაციურ გამოვლინებას უფრო ხშირად ვხვდავთ, ვიდრე ცივილიზებულ ბიზნესსა და მეწარმეობას, ამასთან ვფიქრობთ, რომ საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან ერთად აღმოცენდება ბიზნესის ეთიკა და მორალი, რომელიც სხვა ინსტიტუტებთან ერთად მოაწესრიგებს საბაზრო ურთიერთობებს სამეურნეო სუბიექტებს შორის.

ჟ. გ. მЕКვაბიშვილი

МАЛОЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВО И БИЗНЕС В РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ

Показана роль малого предпринимательства и бизнеса (МПБ) в создании рыночной структуры. Охарактеризованы причины, которые препятствовали нормальному функционированию МПБ в условиях советской административно-командной экономики.

На примере экономики США показана социально-экономическая эффективность МПБ. Обосновано положение о том, что действительный переход на рыночную экономику в условиях Грузии должен начинаться с развития МПБ. Рассмотрен комплекс организационных, правовых, управленческих, финансово-экономических, производственно-технических условий, который должен обеспечить нормальное функционирование МПБ в условиях переходного периода. Сформулированы некоторые морально-этические принципы цивилизованного бизнеса и показано несоответствие нашей сегодняшней деловой активности общепринятым принципам (нормам) делового мира Запада.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ინსტიტუტმა

გიორგი შარაძე

ვარლამ ჩიჩქაშვილის მარქსისა და ენგელსის როლის შესახებ I ინტერნაციონალში

„ეს ასოციაცია (საუბარია I ინტერნაციონალზე) არის მთელი ქვეყნის მუშების შემკრთებელი. ის ცდილობს, რომ ყველა მუშებს, ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეთ“¹.

„უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა ისაა, რომ ყოველი ღონისძიებებით და ყოველ შემთხვევაში მუშებს ხელი გაუმართოს და ეცადოს მისი ცული მდგომარეობის გადაკეთებას“² — ეს სტრიქონები გაზეთი „დროებიდან“ არის აღებული, რომელიც 1866 წლიდან გამოდიოდა ქ. თბილისში გიორგი წერეთლის რედაქტორობით. ანალოგიური ხასიათის შეტყობინებები სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა და საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწერებში ნათლად იგრძნობოდა პირველი ინტერნაციონალის, ანუ როგორც მას ჩვენში უწოდებდნენ, მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გავლენა.

აღნიშნული გარემოება, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ ნაწილი ქართველი ახალგაზრდებისა იმ დროს განათლების მისაღებად ევროპაში მიემგზავრებოდა და ამდენად თუ უშუალო მონაწილენი არა, თვითმხილველნი მაინც იყვნენ იქ მიმდინარე მოვლენებისა. ამ დროს, როგორც ნ. ნიკოლაიშვილის წიგნიდან ვგებულობთ, შვეიცარიაში ჯერ ციურხისში და შემდეგ ქენევაში ქართველ ახალგაზრდებს თავისი საზოგადოებაც კი ჩამოუყალიბებიათ, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ინტერნაციონალის ადგილობრივ სექციებთან³.

აი იმ ახალგაზრდების ერთი ნაწილი, ვინც ქართველი ერის სახეს წარმოაჩენდა, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ევროპაში: ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე, ძმები ალექსანდრე და ვლადიმერ ჯანდიერები, ივანე მესხი. მაწივლიებს ევროპულ განათლებასა და კულტურას მოწყურებული ქართველი მანდილოსნები უმშვენებდნენ გვერდს: ოლა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ეკატერინე მელიქიშვილი, მამიკა წერეთელი. ყოველი ქართველი-სათვის უთუოდ მრავლის მოქმელი სახელებია და თითოეული მათგანის შესახებ მრავალი საინტერესო ამბის მოთხრობა შეიძლებოდა, მაგრამ ვშიშობთ სიტყვა ძალზედ გაგვიგრძელებდა, ამიტომ სჯობს პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ჩვენი სურვილია, დღეს საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ ჩვენი მკითხველისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი, უკეთილშობილესი მოქალაქისა და პოლიტიკური მოაზროვნის ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის, ჩვენთვის უცნობი და ამასთან ძალზედ საინტერესო მოსაზრებები, პირველი ინტერნაციონალის და მისი დამაარსებლების შესახებ; ამას ჩვენ თან დაეურთავთ მოკლე მიმოხილვას მოვლენებისას, რომლებიც წინ უძღოდა 1864 წლის 27 სექტემბერს (ოფიციალურად I ინტერნაციონალის დაარსების თარიღს).

მუშათა კლასში — როგორც სამართლიანად შენიშნავს სიმონ ხუნდაძე — ინტერნაციონალური იდეის ჩასახვისა და „მთლიანი მოძრაობის საერთო ინტერესების“ შეგნების დღიდანვე ჩაისახა სურვილი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის დაარსებისა. ეს მისწრაფება განსაკუთრებით გამოვლინდა გასული საუკუნის 30—40-იან წლებში. მეტიც, ამ წლების მუშათა მოძრაობა და მათი ფართული საზოგადოებანი უკვე ატარებდნენ ინტერნაციონალურ იერსო⁴. აღნიშნული მოსაზრების გასამტკიცებლად ავტორს კონკრეტული მაგალითებიც აქვს ჩამოთვლილი. გერმანელ ხელოსანთა მიერ 1834-1836 წწ. დაარსებული „დეენისლთა საზოგადოება“ და „სამართლიანთა საზოგადოება“ (1836-39 წწ.), აღნიშნულ საზოგადოებათა მემკვიდრე ყოფილა სწორედ 1847 წელს დაარსებული „კომუნისტთა კავშირი“ (1847-1851 წწ.). ალბათ მკითხველს ეცნო ეს სახელწოდება. დიახ! ეს სწორედ ის კავშირია, რომელმაც დაავალა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს შეედგინათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ანალოგიური ხასიათის მუშათა ორგანიზაციები იქმნებოდნენ ინგლისშიც. ასე მაგალითად, ლონდონში, აქ მცხოვრები გერმანელი, პოლონელი და იტალიელი ემიგრანტების მიერ 1844 წელს შეიქმნა „მომქმე დემოკრატიის კავშირი“. შედარებით გვიან 1854 წელს კი ჩამოთყალიბებიათ „მისალმებისა და პროტესტის კომიტეტი“, რომელიც შემდგომ დამოუკიდებელ ორგანოდ იქცა და მასში მდივნის სახით წარმოდგენილნი ყოფილან ინგლისელი, ფრანგი, პოლონელი, გერმანელი, იტალიელი და ესპანელი მუშები. სიმონ ხუნდაძის აზრით, აღნიშნული საზოგადოების ორგანიზაციის ფორმაც კი ძლიერ ჰგავდა იმ ფორმას, რომელიც შემდგომ შეიმუშავა პირველმა ინტერნაციონალმა.


ამდენად ევროპის სახელმწიფოებში მუშათა ორგანიზაციების მომრავლებამ, წარმოშვა მათ შორის სისტემატური კავშირის არსებობის საჭიროება.

1856 წელს პარიზიდან ლონდონში ჩასულა პრუდონისტ მუშათა დელეგაცია კონკრეტული მიზნით, დაეარსებინათ მუშათა საერთაშორისო კავშირი, რომლის უმთავრესი ამოცანაც იქნებოდა მუშათა კლასის საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანება, საკუთარი თავის სოციალური განთავისუფლებისათვის. მართალია იმ წელს მუშებმა თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხეს, მაგრამ ურთიერთობანი ამ ორი ქვეყნის — ინგლისისა და საფრანგეთის მუშებს შორის კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

და აი, 1862 წელს ლონდონში მოწყობილ მეორე მსოფლიო გამოფენაზე, როდესაც ინგლისელმა ტრედ-უნიონებმა მეგობრული მიღება მოუწყვეს ფრანგ მუშებს, 5 აგვისტოს ბანკეტზე მასპინძლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ასეთი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის მუდმივი განხდარიყო, რაზეც ფრანგებმა თანხმობა განაცხადეს და, თავის მხრივ, წინადადება წამოაყენეს შეექმნათ კომიტეტი სხვადასხვა ქვეყნის მუშებთან მიმოწყრის დასამყარებლად. 1862 წლის შეხვედრა ამით დასრულდა.

მომდევნო 1863 წელს ლონდონში კვლავ იყვნენ მიწვეულნი მუშები ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან. უკვე თვით მუშათა ორგანიზაციის მიერ მოწყობილ იქნა დიდი საერთაშორისო მანიფესტაცია პოლონეთის რევოლუციის მხარდასაჭერად. მტინგზე ფრანგი მუშების დელეგაციის თანდასწრებით (რომლებმაც რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ეღებოდეს, სწორედ თავისი იმპერატორის ნაპოლენ III-ის აქტიური ხელშეწყობით მოახერხეს მო-

2. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი 1992, 2



ნაწილეობის მიღება აღნიშნულ მანიფესტაციაში) ინგლისელი ტრედ-უნიონების ერთ-ერთმა წინამძღოლმა თავისი სიტყვა „საყოველთაო მშვიდობის შესახებ“, დამთავრა მოწოდებით მუშათა საერთაშორისო კონგრესების მოწვევის შესახებ, კაპიტალთან და არაორგანიზებულად მუშაობის ერთი ქვეყნიდან მეორეში შეყვანის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილი წერს, სწორედ მაშინ გადაიდგა პირველი ნაბიჯი მუშათა საერთაშორისო ასოციაციის შესაქმნელად⁶. ეს იყო 1863 წლის 23 ივლისს. 1864 წელს კი, ლონდონში ჩამოსულმა ფრანგმა დელეგატებმა ლიმუზენმა, პიერ რიშონმა, ტოლენმა და სხვებმა თან ჩამოიტანეს უკვე წინასწარ მომზადებული გეგმა ინტერნაციონალის შექმნისა⁷. შეხვედრა, რომელსაც შემდგომში ისტორიაში I ინტერნაციონალის დამაარსებლის სახელით შესვლა ეწერა, შედგა ლონდონის უდიდეს დარბაზში სენ-მარტინის ჰოლში და მას 2000-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა⁸.

საორგანიზაციო კომიტეტის ორგანიზებულობაზე, მის მიერ გაწეული სამუშაოების მოცულობაზე ნათლად მეტყველებს ის გარემოებაც, რომ შეხვედრას უკვე ესწრებოდნენ მუშათა დელეგაციები არა მხოლოდ ინგლისიდან და საფრანგეთიდან, არამედ გერმანიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან და ირლანდიიდან.

როგორც გადმოგვცემს ვ. ჩერქეზიშვილი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის გერმან იუნგის მიერ სპეციალურად გაგზავნილი იქნა 14 მოსაწვევი, რომლითაც სხვათა შორის მოვიდნენ ოგენსტი ვესტონი, რადიკალი პროფესორი ბიზლი (მიტინგის თავმჯდომარე) და კარლ მარქსი⁹.

სწორედ ამ დროიდან ვხვდებით ინტერნაციონალის ცნობებში — კ. მარქსის სახელს, ე. ი. უკვე მას შემდეგ, რაც იდეა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისა საბოლოოდ ჩამოყალიბებულა, და კიდევ ერთხელ აღნიშნავთ, გაწეული არის უზარმაზარი მოცულობის ორგანიზაციული და საინფორმაციო სამუშაოები; უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოვლენები ვითარდებოდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და იმ დროს ექვსი ქვეყნის მუშების წარმომადგენელთა თავყრილობის მომზადება აღნიშნულის გარეშე მართლაც შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ კითხულობდა ალბათ ვ. ჩერქეზიშვილი, რომ როგორ შეიძლება ყოველივე ზემოთქმულის მცოდნე ადამიანმა არა ინგლისელი ტრედუნიონები, არა ფრანგი მუშები, არამედ კ. მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი მიიჩნიოს I ინტერნაციონალის სულისჩამდგმელებად და დამაარსებლებადო¹⁰.

ჩვენ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავს შევიკავებთ და წარმოვიდგენთ თვით მარქსის წერილს, რომელშიც იგი თავის მეგობარს ვაიდემაიერს უყვება იმ დღეებში ლონდონში მიმდინარე მოვლენების ამბავს. „1848 წლის რევოლუციის შემდეგ მე საერთოდ ვერიდები მონაწილეობას წვრილბუთყუაზიული ემიგრაციის მიერ ჩამოყალიბებულ სხვადასხვა საერთაშორისო კომიტეტებში. ამჯერად კი დავთანხმდი, რამდენადაც საუბარი იყო პროლეტარულ ორგანიზაციასდო“¹¹. წიგნის ავტორი, რომელშიც ვნახეთ ჩვენ აღნიშნული წერილი, ს. ბერგერი იქვე დასძენს კომენტარის სახით, რომ „მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ინტერნაციონალში ინგლისელ ტრედუნიონთა მონაწილეობას მათი ეკონომიკური ბრძოლის უდიდესი გამოცდილებით“¹². ს. ბერგერის დასახელებული ციტატა ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით საშუალება გვძლევს დავაკვირდეთ თუ როგორ იცვლებოდა კ. მარქსის დამოკიდებულება თანამებრძოლებისადმი I ინტერნაციონალის არ-

სებობის სხვადასხვა ეტაპზე. ამჯერად კი წარმოგიდგენთ კ. მარქსის კიდევ ერთ წერილს მიწერილს ფრიდრიხ ენგელსისათვის. წერილი დათარიღებულია 1864 წლის 4 ნოემბრით. მასში ვკითხულობთ: „ამას წინად ლონდონის მუშებმა აღრესი გაუგზავნეს პარიზის მუშებს პოლენთვის საკითხის შესახებ და მოუწოდეს მათ საერთო შეთანხმებული მოქმედებისაკენ. პარიზელებმა, თავის მხრით, დებუტაცია გამოგზავნეს, რომელსაც მეთაურობდა ერთი მუშა გვარად ტოლენი¹³, მეორე კანდიდატი პარიზის უკანასკნელ არჩევნებში — ერთობ კარგი ყმაწვილია. 1864 წლის 28 სექტემბრისათვის მიტინგი დანიშნეს ოჯერმა¹⁴ (მეწაღეა, თავმჯდომარეა ლონდონის ტრედუნიონების საბჭოსი) და კრიმერმა¹⁵. ეს უკანასკნელი კალატოზია. მიღივნობს კალატოზთა კავშირში. მე გამომიგზავნეს ვინმე ლე-ლუბე¹⁶ წინადადებით, რომ მიმეღო მონაწილეობა გერმანელ მუშათა წარმომადგენლის სახელით. მან მოითხოვა აგრეთვე აუცილებლად გამოგვეყვანა მიტინგზე ორატორად გერმანელი მუშა. მე წამოვაყენე ეკკარიუსი¹⁷. მან შესანიშნავად შეასრულა თავისი დანიშნულება. მე კი უსიტყვოდ ვიდექი ტრიბუნაზე... გადაწყდა დაარსდეს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“-ო¹⁸.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ასევე პ. ლაფარგის მოგონება აღნიშნული მოვლენების გამო. პოლ ლაფარგი (1842-1911 წწ.) იყო ფრანგი სოციალისტი I ინტერნაციონალის გამოჩენილი მოღვაწე, მისი გენერალური საბჭოს წევრი, 1882 წელს ფრანგ მუშათა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მარქსის სიძე და თანამებრძოლი. აი სწორედ ეს პიროვნება წერს, რომ: „შეხვედრაში (საუბარია 28 სექტემბრის შეხვედრაზე) მონაწილეობას იღებდა ინტერნაციონალის სულისჩამდგმელი და მომავალი წინამძღოლი მარქსი, რომელსაც კრებაზე (ეკკარიუსთან ერთად) მართალია, მოკრძალებული ადგილი ეკვა როგორც გერმანელი მუშების წარმომადგენელს, მას არც სიტყვა უთქვამს, ორატორის სახით ეკკარიუსი გამოიყვანა, რომლის სიტყვაც მარქსთან იყო წინასწარ შეთანხმებული“-ო¹⁹.

შემდგომ ავტორი იქვე განავრძობს „...მართალია თვით მარქსი „ჩრდილში იმყოფებოდა“ და წინ სხვებს წამოსწყევდა, მაგრამ მალე უკვე არავისთვის აღარ იყო საიდუმლო, თუ ვინ იყო ყოველივეს რეჟისორი“-ო²⁰. მართლაც, თუკი ჩვენ პ. ლაფარგის ემოციით შეჯერებულ ციტატას ჩამოვაშორებთ სიტყვებს წინამძღოლს, სულისჩამდგმელს, რეჟისორს, დაგვრჩება ის, რაც შეესაბამება სინამდვილეს, გერმანელი მუშების წარმომადგენელი მარქსი, რომელიც სიტყვით არ გამოსულა და მოკრძალებული ადგილი ეკავა მომიტინგებს შორის. უკეთ რომ ვთქვათ, დაგვრჩება სწორედ ის, რასაც ამბობდა, აღნიშნულ ეტაპზე ინტერნაციონალში მარქსის მონაწილეობის გამო ვ. ჩერქეზიშვილი.

საუბრის გავრძელებამდე თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზე გვინდა შევავიროთ, კერძოდ, მკითხველს შეიძლება წარმოემუხვას კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვიყენებთ ჩვენ ასე ხშირად ციტატებს სხვა მეცნიერთა ნაშრომებთან, მაშინ, როდესაც წერილის დასაწყისში აღენიშნეთ, რომ საუბარი გვექნებოდა ვ. ჩერქეზიშვილის შეხედულებებზე I ინტერნაციონალის შესახებ. ეს გარემოება მხოლოდ ჩვენი სურვილით არ არის განპირობებული. პირველი და უმთავრესი მიზეზი აღნიშნულისა, იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომები ძალზედ ცოტა არის მოკვლეული და მით უმეტეს ნათარგმნი და შესწავლილი, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვნახეთ, იმდენად განსხვავებული იყო I ინტერნაციონალის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული აზრისაგან, რომ საჭიროდ მივიჩინეთ მკითხველისათვის გა-

გვეცნო ეს განსხვავებული აზრი, გამოგვეტანა იგი საზოგადოების სამსაჯავრო-ზე.

სწორედ ამ პირველმა მიზეზმა განაპირობა ჩვენს მიერ სხვა მეცნიერთა მოსაზრებების და ნაშრომების ხშირი ციტირება, ისტორიული მოვლენების დეტალური აღწერა, რამაც ზოგიერთი მკითხველი, არ დავემალავთ, შეიძლება დააბნოთ; კიდევ, მაგრამ ეს ყოველივე გვაეკეთ იმ მიზნით, რომ, რაც შეიძლება, სრულად წარმოგვეჩინა ჩვენს მიერ მოკვლევული, მართალია ძალზედ მცირე, მაგრამ საბჭოთა ლიტერატურაში მაინც არსებული მასალები, რომლებშიც, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც პოულობენ ასახვას ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულებები.

ნათქვამის დადასტურებად მიგვაჩნია თუნდაც მსოფლიო ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის პ. ა. კროპოტკინის მოსაზრება გამოთქმული მუშათა ასოციაციის შექმნის გამო. როგორც ვიცით, ეს დიდი რუსი პოლიტიკური მოაზროვნე და ასევე დიდი გეოგრაფი ათწლეულების მანძილზედ ცხოვრობდა ევროპაში, პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ინტერნაციონალის მრავალ აქტიურ მოღვაწესთან და, ამდენად, მისი აზრი იმ საკითხების ირგვლივ, რომლებსაც ჩვენ ამჟამად განვიხილავთ, კიდევ უფრო საყურადღებოა.

აი რას წერს პ. ა. კროპოტკინი თავის წიგნში „თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი“: „ის გარემოება, რომ ეს კავშირი (I ინტერნაციონალი) არ იყო დაარსებული მარქსის მიერ, როგორც ამის მტკიცება უყვართ მარქსისტებს, ნათელია. ცნობილია, რომ ის იყო შედეგი ფრანგი მუშების დელეგაციის შეხვედრისა ინგლისელი პროფესიული კავშირების (ტრედუნიონების) წარმომადგენლებთან, რომლებიც მათთან გაერთიანებულ რამოდენიმე ინგლისელ რადიკალთან ერთად დახვდნენ ფრანგთა დელეგაციას“.

შემდგომ, განაგრძნობს პ. კროპოტკინი, მე ვათვალისწინებდი „საერთო სახალხო მუშათა კავშირის“ საბჭოს 1878 წლის 13-20 მარტის სხდომათა ოქმებს და წვააწყდი ძალზედ საინტერესო დებატების კვალსო, რომელთა მიხედვითაც. ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილი პიროვნება, ეკვარიუსი მოითხოვდა, კავშირის წანამძღვრიდან ამოეღოთ ფრაზა იმის შესახებ, რომ ინტერნაციონალი წარმოიშვა 1862 წლის მსოფლიო გამოფენის დროიდან და შეეცვალოთ იგი სიტყვებით: „ფრანგმა და ინგლისელმა მუშებმა გაერთიანებულებმა სიმპატიით პოლონეთისადმი, 1863 წელს, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიზნით, დადეს შეთანხმება, და ამ შეთანხმების შედეგი იყო საერთაშორისო მუშათა კავშირის დაარსება, 1864 წლის შემოდგომაზედ“²¹.

აღნიშნული, წერს პ. კროპოტკინი, გახდა საბაზო, რათა შემდგომ კვირაში 20 მარტს გამართულიყო გაცხოველებული დებატები, რომელთა მსვლელობაშიც იუნგი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ინტერნაციონალის შექმნაში და იყო მოქმედი წევრი და მდივანი გენერალური საბჭოსი, ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში საერთაშორისო ამხანაგობა მუშებისა შეიქმნა 1862 წლის მსოფლიო გამოფენის შემდეგ და რომ 1864 წელს ინტერნაციონალის დაარსება ლონდონში მოხდა მარქსის მონაწილეობის გარეშე. ფრანგ მუშათა დელეგაციას და ინგლისელ მუშებს შორის უშუალო შეთანხმებით. ამასთან მოლაპარაკება წარმოებდა ჯერ კიდევ 1860 წლის მსოფლიო გამოფენიდან“²².

დიახ. აი ასე ობიექტურად უკვე მომზადებული ვითარებიდან გამომდინარე, ისევ და ისევ უბრალო მშრომელი ადამიანების: მეწაღეების, ქვისმთლელების, კალატოზების მესაათეების მოწადინებითა და ძალისხმევით იქმნებოდა პირველი დიდი საერთაშორისო ამხანაგობა, რომლის შექმნის უმთავრესი

მიზეზიცა და მიზანიც, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ უბრალო ხალხის ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო.

ჩვენს მიერ მოყვანილი შეხედულება ვფიქრობთ ვარკვეულწილად აღასტურებს ვ. ჩერქეზიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზედ, რომ არც კ. მარქსი და მითუმეტეს არც ენგელსი, რომელიც როგორც აღნიშნული იყო ინტერნაციონალში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხოლოდ მარქსის წერილებიდან გვბულობდა²³, არ შეიძლება მიჩნეულ იყვნენ ინტერნაციონალის დამაარსებლებად. მთელი პატივი ხალხთა ამ უდიდესი ისტორიული საკრებულოს დაარსებისათვის მთლიანად ინგლისელ და ფრანგ მუშებს ეკუთვნით და ჩვენს მიერ წერილის სათაურად გამოყენებულ კითხვებზე თუ სად დაიბადა და ვინ იყო მისი მშობელი? პასუხად ალბად ყველაზე უკეთ ისევ ვ. ჩერქეზიშვილის მიერ მოტანილი ფრანგი მასწავლებლის ბიბალის სიტყვები გამოდგებიან: „ინტერნაციონალი — ეს არისთ პარიზის სახელოსნოების შვილი, მიბარებული მკერდით გამოსაკვებად ლონდონელი ძიძისთვის“²⁴.

რაც შეეხება კ. მარქსის მოღვაწეობას ინტერნაციონალში, ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, იგი მხოლოდ მას შემდეგ ლეზულობდა აქტიურ მონაწილეობას ასოციაციის საქმიანობაში, რაც 1864 წლის 28 სექტემბრის შეხვედრაზე შეყვანილი იქნა ჯერ საორგანიზაციო კომიტეტის, ხოლო შემდეგ წესდების შემუშავებელი ქვეკომისიის შემადგენლობაში. აი რას წერდა აღნიშნული კომიტეტის შესახებ, მარქსის ცნობილი ბიოგრაფი, გერმანელი მეცნიერი ფ. მერინგი: „ახლად არჩეული კომიტეტი სხვა არაფერი იყო, თუ არა ძველი 1863 წერს არჩეული საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოვება და შევსება ახალი ძალებით. იგი შედგებოდა დაახლოებით 50 კაცისაგან, რომლის ნახევარსაც შეადგენდნენ ინგლისელი მუშები, შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანად წარმოდგენილი იყო გერმანია 10 კაცით, რომელთაგან კ. მარქსი, ეკარაიუსი, ლესსნერი, ლონხერი და ჰენდერი ყოფილა „კომუნისტთა კავშირის“ წევრები იყვნენ. საფრანგეთს ყავდა 9 წარმომადგენელი, იტალიას ექვსი, პოლონეთსა და შვეიცარიას ორ-ორი. აი ამ კომიტეტმა შემდგომ აირჩია ქვეკომისია მაიორი ვოლფსი, ინგლისელი უესტონის, ფრანგი ლე-ლუბესა და კარლ მარქსის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ ინტერნაციონალისათვის პროგრამისა და წესდების შედგენა²⁵.

მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებთ და შევნიშნავთ, რომ იგივე მერინგი თავის 1918 წელს გერმანულ ენაზედ გამოცემულ წიგნში „კარლ მარქსი. მისი ცხოვრების ისტორია“, პირდაპირ მიუთითებს, რომ „დამფუძნებელი მანიფესტისა“ და წესდების დაწერამდე, მარქსს რაიმე ქმედითი მონაწილეობა ინტერნაციონალის შექმნის საქმეში არ მიუღიათ. თან იქვე დასძენს, რომ მხოლოდ „ბედნიერი შემთხვევითობისა და გარეშე ფაქტორების წყალობით, მას მისდა უნებურად წილად ხვდა ინტერნაციონალის სულიერი ხელმძღვანელობა“²⁶. ექვსგარეშეა, რომ კ. მარქსისათვის ეს შემთხვევითობა ნამდვილად ბედნიერი იყო, ხოლო რაც შეეხება ინტერნაციონალს ამის შესახებ ვ. ჩერქეზიშვილი ნამდვილად სხვაგვარად ფიქრობდა და თუ რატომ, ამაზედ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია და არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნული ეტაპიდან (მხედველობაში გვაქვს კ. მარქსის გენერალურ საბჭოსა და წესდების შემუშავებელი ქვეკომისიის შემადგენლობაში შეყვანა) მარქსი მართლაც, რომ მხოლოდ ზეგარდმო ნიჭით მომადლებული პიროვნებებისათვის ჩვეული ენერჯითა და შემართებით მოეკიდა საქმეს და სა-

ზოგადობის წესდების შედგენაშიც ლომის წილი მას მიუძღვის. ამ აზრს, რასაკვირველია, არც ვ. ჩერქეზიშვილი უარყოფს. თუმცა აი რას წერს ინტერნაციონალის წესდების შემუშავებასთან დაკავშირებით პ. ა. კროპოტკინი. ისევ კ. მარქსის, ჩვენთვის უცნობი, წერილებიდან გამომდინარე იგი აღნიშნავს, რომ ქვეკომისიის მუშაობაში მარქსი საერთოდ არ მონაწილეობდა და როდესაც ქვეკომისიამ წესდება უკვე შეადგინა, მან, როგორც ეს ირკვევა მისი წერილიდან ფ. ენგელსისადმი, „დაწერა მიმართვა მუშათა კლასისადმი“ (შემდგომში ეგზომ განხაურებული „დამფუძნებელი მანიფესტი“, რომლის დაწერაც თავიდან საერთოდ არ იყო გათვალისწინებული) და აღნიშნულთან ერთად შეამცირა ქვეკომისიის მიერ შემუშავებული წესდება, დატოვა რა ათი პარაგრაფი ორმოციდან²⁷.

მიუხედავად აღნიშნულისა, ფაქტია, რომ გენერალური საბჭოს მიერ ორივე საპროგრამო დოკუმენტი მიღებული იქნა სახელმძღვანელოდ²⁸. „თუმც დრომ დაგვანახაო — შენიშნავს ვ. ჩერქეზიშვილი, რომ წესდებაც და მანიფესტიც მხოლოდ ბოროტი ზრახვების შესანიღბავ საშუალებას წარმოადგენდნენო. და ეს იმიტომ, რომ იმ წლებში სოციალიზმი კ. მარქსის და ფ. ენგელსის მიერ ჯერ კიდევ არ იყო ქცეული იმპერიალიზმად, ყაზარმად, საზოგადოებრივ მონობად და ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ მაღალფარდოვანი სიტყვებით შეელამაზებინათ თავისი ბნელი ზრახვებიო“²⁹.

აღნიშნულის დასადასტურებლად, და იმის საჩვენებლად თუ როდენ დიდი იყო მარქსის სურვილი ყოფილიყო I ინტერნაციონალის ერთპიროვნული მმართველი ვ. ჩერქეზიშვილი ასახელებს წერილს ფ. ენგელსისადმი, რომელშიც კარგადაა ნაჩვენები კ. მარქსის დამოკიდებულება საფრანგეთის 60-იანი წლების სოციალისტური მოძრაობის ყველაზე აქტიური ორგანიზატორებისა და იდეოლოგების დაპატიმრების ფაქტისადმი: „საბედნიეროდ — ვკითხულობთ წერილში, ჩვენი ძველი ნაცნობები, პარიზში ყველანი დაპატიმრებულნი არიან და გისოსებს მიღმა იმყოფებიანო“³⁰. და ეს მაშინ, როდესაც საუბარია საკუთარი კლასის ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანებზე, რიგით მუშებზე.

აღნიშნულის შემდეგ ალბათ გასაგები უნდა იყოს ჩვენთვის ვ. ჩერქეზიშვილის სინანული, გამოწვეული იმ გარემოებით, რომ მართალია „ოჯერმა, კრიმერმა, ლუკრაფტმა, პოტტერმა და სხვა პატიოსანმა მუშებმა მიიბატიყეს მარქსი გენერალური საბჭოს წევრად და პატიოსანი ადამიანისთვის დამახასიათებელი ნდობით ჩააბარეს მას მუშათა კლასის „ძველ მეგობარს“ ყველა საქმეებზე და კავშირები, მაგრამ მარქსმა ბოროტად გამოიყენა მათი ნდობა და თავის მეგობარ ენგელსთან ერთად, სისტემატურად ატყუებდა მათ, ცდილობდნენ რა ორივენი გამხდარიყვნენ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის დიქტატორები“³¹.

რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა „პარიზის სახელსონთა პირმშოსთვის“ ეს ლტოლვა ერთმმართველობისაკენ, ამაზედ თვით საზოგადოების მიერ განვლილი გზის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. აქვე შევნიშნავთ, რომ საკითხი თავისთავად ძალზედ დიდია, ამიტომ ჩვენ შევეცდებით წერილში მხოლოდ იმ ეპიზოდებზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რომლებსაც ვ. ჩერქეზიშვილი ეხება თავის ნაშრომებში და ამასთან, რომლებიც მის მიერ, ჩვენის აზრით, ჩვენი მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობი კუთხით წარმოაჩენს I ინტერნაციონალისა და მისი აღიარებული ლიდერების სახესა და საქმეებს.

ინფორმაციისათვის ძალზედ მოკლედ თვით I ინტერნაციონალის მიერ განვლილი გზის შესახებ. იგი შესანიშნავად აქვს აღწერილი სიმონ ხუნდაძეს თავის ნაშრომში „მარქსის ინტერნაციონალი“. დასახელებული შრომა, ჩვენის აზრით, სხვებთან შედარებით უფრო თვალსაჩინოდ და, რაც მთავარია, ობიექტურად წარმოგვიდგენს მუშათა პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განვლილ გზას. ს. ხუნდაძის ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, I ინტერნაციონალმა თავისი არსებობის მანძილზე სამი ძირითადი ეტაპი გაიარა:

1. „ინტერნაციონალის წინა დროის ხანა, როდესაც სხვა და სხვა საერთაშორისო მუშათა კავშირების ჩამოყალიბებითა და მუშათა რევოლუციური მოძრაობით თანდათან მზადდებოდა ნიადაგი დიდი საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის დასაფუძნებლად. ეს არის ინტერნაციონალის წარმოშობის მზადების პერიოდი (1864 წლამდე).“

2. პერიოდი მოიცავს მისი ჩამოყალიბების ხანასა და საქმიანობას მეოთხე საერთაშორისო კონგრესამდე (1869 წ.), რომლის დროსაც ინტერნაციონალის შიგნით მიმდინარეობდა უმთავრესად პრუდონისტებსა და მარქსისტებს შორის.

3. პერიოდი ამოიწურება შემდეგი ხანით, რომელიც ბაკუნინმა და მარქსიზმს შორის ბრძოლის ნიშნით ჩატარდა⁸².

აი ამ სამი ეტაპიდან პირველის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ამდენად აღნიშნულზე მეტს აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება მეორე პერიოდს, მასში ყველაზე საყურადღებო ეს არის მარქსისა და მისი მომხრეების მიერ, თვითონ ინტერნაციონალის შიგნით გაჩაღებული ბრძოლა პრუდონისტების წინააღმდეგ. ამ ორ მიმდინარეობას შორის წინააღმდეგობას პირველივე კონგრესზედ უჩენია თავი, რომელიც ქ. ენგელსმა მიმდინარეობდა 1866 წლის სამიდან რვა სექტემბრამდე.

მიზეზი უთანხმოებისა შემდეგში მდგომარეობდა, პრუდონისტები განსხვავებით მარქსისტებისაგან, გამოდიოდნენ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ის ა და ამ მოტივით გაფიცვების მოწყობის წინააღმდეგ.

დაპირისპირება ამ ორ დაჯგუფებას შორის გაგრძელდა ლოზანის კონგრესზეც. ამჯერად პრუდონისტებმა თვით მარქსის, მისი ერთპიროვნული დიქტატურის წინააღმდეგ სცადეს გალაშქრება, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დასრულდა. გენერალურმა საბჭომ ფრანგები გაამტყუნა და მათი ბრალდებები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

პრუდონისტთა „უჩრბობას“ მარქსი ძალზედ განურისხვებია: „ამ სახედრებს პრუდონისტებს, მე პირადად გავყრი საზოგადოებიდან, პირველივე კონგრესზედ ბრიუსელში“⁸³. წერდა 1867 წლის ლოზანის კონგრესის შემდეგ ქ. მარქსი თავის მეგობარს ფ. ენგელსს.

ინტერნაციონალის მომდევნო IV კონგრესზე, რომელიც 1868 წელს ჩატარდა ქ. ბაზელში, ქ. მარქსმა, პრუდონისტების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შესძლო გაეტარებინა საკუთარი ორივე მოთხოვნა, რის შემდეგაც ფრანგმა სოციალისტებმა შეუძლებლად ჩათვალეს I ინტერნაციონალში დარჩენა და ჩამოშორდნენ ასოციაციას. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ბაკუნინი ამ ეტაპზე მარქსს მიემხრო. აი როგორ ახასიათებდა იმ დროს ინტერნაციონალში შექმნილ მდგომარეობას პოლ ლუი: „უენგელსა და ვანსაკუთრებით ბაზელის კონგრესის შემდეგ, მოძრაობის ხელმძღვანელობა ფრანგებს ხელიდან გაუსხლტათ. ლანგ ლუამ, ლონგემ, მიურამ და ტოლენმა,

რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ ძველი პრუდონისეული ინდივიდუალიზმი, მარცხი განიცადეს 4 საკუთარი ხმა 54-ის წინააღმდეგ, ამ დროიდან მუშათა მოძრაობის სათავეში დადგნენ ბაკუნინი, მარქსი და ბლანკო. თუმცე უკანასკნელი დიდი ხანია უკვე აღარ სარგებლობდა ისეთი დიდი ავტორიტეტით, როგორც რუსი რევოლუციონერი და განსაკუთრებით „კაპიტალის ავტორი“³⁴.

პრუდონისტების მიერ ინტერნაციონალის დატოვებამ ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, კიდევ უფრო შეუწყო ხელი მარქსის ჰეგემონიის განმტკიცებას. მათი სახით ინტერნაციონალი დატოვა „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ პირველმა დიდმა ჯგუფმა, რომელთა შორის ბევრი იყვნენ ისეთებიც, ვინც ინტერნაციონალის სათავეებთან იდგნენ და დიდი წვლილი მიუძღოდათ საზოგადოების შექმნასა და სრულყოფაში³⁵.

აღნიშნულს, რასაკვირველია, უნდა დაეფიქრებინა ინტერნაციონალის მესვეურნი, მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით. სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ მზადდებოდა ახალი შიდაორგანიზაციული ბრძოლა. ამჯერად ბაკუნინისა და მარქსის მომხრეებს შორის. აი რას წერდა ბაკუნინი გერცენს 1869 წელს: „შესაძლებელია მოხდეს და ეს აუცილებლად მოხდება, რომ მე ახლო ხანებში მომიხდება მასთან (მარქსთან) ბრძოლა არა პირადი შეურაცყოფისათვის, არამედ პრინციპის საკითხისათვის, სახელმწიფოებრივი კომუნისმის გამო, რომლის მხურვალე დამცველიცაა ის თვითონ და მისი მიმდევარი პარტიები. ინგლისსა და გერმანიაში. მაშინ ჩვენ ვიბრძობებთ სიკვდილ-სიცოცხლისათვის, მაგრამ ყოველივეს თავისი დრო აქვს და ჯერ ჩვენი შეტაკებას დრო არ დამდგარა“³⁶.

ჩვენი დღევანდელი წერილი მხოლოდ შიდაორგანიზაციული ბრძოლის ქრონოლოგიურ აღწერას რომ არ დავმსგავსო, ორიოდ სიტყვით მოვახსენებთ ვ. ჩერქეზიშვილის აზრს, ინტერნაციონალში მოახლოვებული მომავალი ბატალიების მთავარი მოქმედი პირების შესახებ. „ბაკუნინი და მარქსი, წერს ვ. ჩერქეზიშვილი, იყვნენ ორი ანტიპოდი პოლიტიკაში, სოციალიზმში, ინტერნაციონალში და პირად ცხოვრებაში. მათ შორის მტრობა — არის ბრძოლა ორი მსოფლმხედველობისა, ორი სხვა და სხვა ბუნებისა და ხასიათისა. ბაკუნინის ხასიათი გერცენმა მოგვცაო შესანიშნავად: „მასშიდ იყო რალაც ბავშვური, უბოროტო და უბრალო და ეს ძენდა მას არაჩვეულებრივ მშვენიერებას და იზიდავდა მისკენ სუსტებსაც და ძლიერებსაც, მხოლოდ ერთ გაბღენძილ ფილისტერებს თუ აშინებდაო“.

„რაც შეეხება კ. მარქსს — აგრძელებს ვ. ჩერქეზიშვილი, იგი უკუდგებოდა ბაკუნინისაგან არა როგორც უბრალო ქედმაღალი ფილისტერი, არამედ როგორც გერმანელი პარტიოტი და ფრანგული რესპუბლიკური დემოკრატიის მტერი“³⁷. როგორც ხედავთ, სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი პროლეტარიატის ბელადის ფიგურა. რამდენად სწორად ეს სხვა საკითხია, მაგრამ ვფიქრობთ აზრი თავისთავად საყურადღებოა, ვინაიდან იგი თვით ვარლამ ჩერქეზიშვილს ეკუთვნის.

შემდეგ აგრძელებს ავტორი: „მას (მარქსს) არ შეეძლო ეპატიებინა ბაკუნინისა და მისი ნიჭიერი მეგობრის გილიომისათვის, საფრანგეთის (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება პარიზის კომუნა) დაცვა, გერმანელი კაიზერის, მეფეებისა და პრინცების ურდოებისაგან. ის ეძებდა შემთხვევას შური ეძია მათზე და შემთხვევაც მალე მიეცა ინტერნაციონალის ჰაავის კონგრესზე 1872 წელს“³⁸.

რასაკვირველია, პარიზის კომუნა და მის გარშემო წამოჭრილი საკითხები არ იყვნენ ბაკუნინისა და მარქსს შორის უთანხმოების ერთადერთი მიზეზი.

უთანხმოება მოიცავდა ამ ორი სხვა და სხვა დაჯგუფების მიერ არჩეული ბრძოლის გზასაც და საბოლოო მიზანსაც, როგორც ვიცით ანარქისტები თავიდანვე „სახელმწიფო კომუნისმის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი, მარქსისტებისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია გააჩნდათ. ამდენად დამატებლობამ 1872 წლისათვის ბაკუნინის მიმდევრებსა და ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს შორის თავის „ჰიმალაებს“ მიაღწია, ანუ ბაკუნინისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, დგებოდა დრო ბრძოლისა „სიკვდილ-სიცოცხლისათვის“. ინტერნაციონალის თავზედ „ჰექა-ქუნილის ახალი ღრუბლები იყრიდნენ თავს“. სამზადისი მიმდინარეობდა როგორც ერთ, ისე მეორე „ბანაკში“.

ვ. ჩერქეზიშვილი იმ დროისათვის ინტერნაციონალში შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობას ასე აფასებს, რომ ბაკუნინის იდეამ უსახელმწიფო სოციალიზმის შესახებ, რომელიც დამყარებული იქნებოდა თავისუფალ ასოციაციებზე და ნებაყოფლობით ფედერაციებზე ბევრი მიმდევარი და მომხრე შეიძინა ინტერნაციონალის წევრთა შორის: „ვარდენი, რეკლიუ, მალონი, ნენდი, დე პოლი, რობენი, ბრისმე, ჯიმს გილომი, შვიცგებელი, პერონი, კელდერი და ერთი სიტყვით ყველა ვინც კი თავი გამოიჩინეს მოხსენებებითა და დებატებით კონგრესებზე და პარიზის კომუნის დღეებში ბაკუნინის გვერდით იყვნენ“³⁹.

აი ამ ინტელექტუალურ ძალას უნდა დაპირისპირებოდა კ. მარქსი, რომელიც „სახელმწიფოსმოყვარე“ სოციალისტებთან ერთად, რომელთა შორის განსაკუთრებით ჭარბობდნენ გერმანელები, შეშფოთებული იყო რუსი ანარქისტის მზარდი პოპულარობით. ვ. ჩერქეზიშვილი შენიშნავს, რომ „თუმცა ინტერნაციონალში გერმანელები ცოტანი იყვნენ, მოხდა ისე, რომ გენერალური საბჭო მათ ხელში აღმოჩნდა. უფრო ზუსტად, მარქსისა და ენგელსის და მათთან ერთად რამდენიმე ნაკლებადგანათლებული მოხუცი გერმანელი მუშების, რომლებიც 1848 წლის შემდგომ რეპრესიებს გადაურჩნენ და ამჟამად კი მარქსისა და ენგელსის გამგონე იარაღს წარმოადგენენ გენერალურ საბჭოში“⁴⁰.

აღნიშნულ პერიოდში კ. მარქსის დამოკიდებულებაზე სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ ნათლად მეტყველებს მისი წერილი ენგელსისადმი, მიწერილი 1868 წლის 11 სექტემბერს, რომელშიც იგი, ამჯერად უკვე ინგლისელ ტრედუნიონისტებს: ოჯერს, კრემურს და პოტტერს მოიხსენიებს შეურაცხყოფელი სიტყვებით და მარქსისტების წარმატებების მოშურნე მტრებად⁴¹. აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველი თავად დარწმუნდება, რომ ცვლილება მარქსის დამოკიდებულებაში ტრედუნიონებისადმი ინტერნაციონალის შექმნის დღიდან აღნიშნული წერილის დაწერის დღემდე აშკარაა. სხვა საკითხია რა მიმართულებით?

გენერალური საბჭოს უფლებამოსილებათა გაზრდის სულსიკვეთებით წარმართეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კონგრესისწინა მოსამზადებელი საქმიანობაც. აი რას სწერს ს. ბერგერი როდესაც ეხება მარქსისტების ჰაავის კონგრესისადმი მზადების პერიოდს. „მარქსი თვლიდა რომ კონგრესზე მთავარი იქნებოდა ორგანიზაციული საკითხი. თავდაპირველად ივნი-სის დასაწყისიდან გენერალური საბჭოს სხდომებზე იხილავდნენ წესდებასა და რეგლამენტს ინტერნაციონალისას. შეჭონდათ დამატებები საბჭოს უფლებამოსილების გასაფართოვებლად, მმართველობის ცენტრალიზაციის უსაძლიერებლად; ვინაიდან მხოლოდ ეს ღონისძიებები წარმოადგენდნენ ერთ-

თადერთ საშუალებას ანარქისტების განხეთქილების ჩამომგდები საქმიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად⁴².

აი თვით მარქსის შეფასებაც შექმნილი ვითარებისა: „საკითხი დგას ინტერნაციონალის ყოფნა-არყოფნის შესახებ. და ვიდრემდე მე დავეტოვებდე მის რიგებს, მე მსურს, სხვას რომ თავი, დავანებოთ დავიცვა იგი ხრწნალი ელემენტებისაგან“⁴³.

როგორც ვხედავთ, ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მარქსი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, ინტერნაციონალის მიღმა აღმოჩენილიყო. ჩვენ დღეს, რასაკვირველია, გვიჭირს მოვლენათა მსვლელობის ობიექტურად აღდგენა, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლაში არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე მოწინააღმდეგისათვის სახელის გასატეხად არარსებული ფაქტების განზრახ მოგონება, ან არსებულის გაზვიადებული წარმოდგენა, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება თუკი წარმოგიდგენთ კიდევ ერთ „საშუალებას“, რომელსაც ვარდა მმართველობის ცენტრალიზაციის გაძლიერებისა, ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, მარქსმა და ენგელსმა მიმართეს მათთვის მართლაც გადამწყვეტ და უმძიმეს მომენტში. ახალი მათ არაფერი არ გამოუგონებიათ, უბრალოდ გამოიყენეს ყალბი ბიულეტენები.

აი რას წერს აღნიშნულის გამო ვ. ჩერქეზიშვილი: „ჰაავის კონგრესზე ნამდვილად არჩეული დელეგატები ჩამოვიდნენ — ძალზედ ცოტა. სამაგიეროდ მრავალრიცხოვანი იყო დელეგაცია ბლანკების მიხედვით, რომლებიც მარქსის თხოვნით ზორგემ ჩამოიტანა ნიუ-ორკიდანო. ეს ბლანკები დაურიგდათო შემდეგ მარქსის მეგობრებსო, რომლებიც არამც თუ გენერალური საბჭოსი, არამედ ინტერნაციონალის წევრებიც კი არ იყვნენო, როგორც მაგალითად მოლტმან ბერიო, ინგლისელი კონსერვატორების აგენტო“⁴⁴.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგივე მეთოდისათვის საბჭოში ხმათა უმრავლესობის მისაღებად, მიუშართათ ანარქისტებსაც 1868 წელს ბრიუსელის კონგრესის ჩატარებისას⁴⁵. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ვინაიდან საქმე ეხება პოლიტიკურ ბრძოლას, ორი განსხვავებული შეხედულებების მქონე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, ჩვენ საბოლოო დასკვნებისაგან აღნიშნულ ფაქტზე თავს ვიკავებთ. უპირველეს ყოვლისა, დასკვნის გასაკეთებლად საჭირო ტენდენციურობას მოკლებული ინფორმაციის სიმცირის გამო.

მიუხედავად აღნიშნულისა, უდავოა, რომ ჰაავის კონგრესზე, რომელიც გაიმართა 1872 წელს, გერმანელმა პრაქტიციკოსმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. ბაკუნისტების მცდელობა, მიმართული გენერალური საბჭოს უფლებების შეზღუდვისკენ, მარცხით დამთავრდა. კონგრესმა ხმის უმრავლესობით დაადასტურა მჭიდრო საერთაშორისო ორგანიზაციის საჭიროება და ამიტომ გენერალური საბჭოს ძალაუფლება გააძლიერა ცალკე სექციების უფლებამოსილების შეზღუდვით, ხოლო რაც შეეხება მარქსის მიერ ეგრეთ წოდებულ „ხრწნად ელემენტებს“, მათ მარქსისავე სიტყვებს ვიმეორებთ: „უბიძგეს თვითგარიცხვისაგან, ე. ი. გასვლისკენ“⁴⁶.

— კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მარქსისტების პოზიციას კიდევ უფრო განამტკიცებდა ინტერნაციონალში, თუმც თვითონ მარქსს ეს დიდ შრომად დაუჯდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონგრესის დღეებში მან 97-ჯერ მოითხოვა სიტყვა⁴⁷. ვფიქრობთ, შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ თვით მარქსისტების გამარჯვებამ უკვე ჩვენ დავგვიტოვა უამრავი კითხვა

და, უპირველეს ყოვლისა, იყო კი ეს საერთოდ გამარჯვება, რომლის შესახებაც ამდენი რამ დაიწერა და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში. თუ არა აი ერთი მათგანი: „ჰააგის კონგრესი იყო სრული და ბრწყინვალე გამარჯვება თეორიისა და ტაქტიკისა და ორგანიზაციული პრინციპებისა მარქსიზმისა ანარქიზმზე“⁴⁸.

ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს გამარჯვება მარქსისა და მისი მიმდევრებისა ჰააგის კონფერენციაზე და მარქსისტული მიმდინარეობის გამარჯვება ინტერნაციონალში და არცერთ შემთხვევაში ჩვენ აქ არ ვეხებით მუშათა მოძრაობის განვითარებაში I ინტერნაციონალის, როგორც პირველი მუშათა საერთაშორისო გაერთიანების მნიშვნელობის საკითხს.

ჩვენ უბრალოდ ვსვამთ კითხვას, რომ მარქსისა და მისი მიმდევრების გამარჯვებას ჰააგის კონგრესზე სართოდ თუ შეიძლება ეწოდოს გამარჯვება? ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პრეცედენტთან, როდესაც — თვით ორგანიზაციის შიგნით არსებულ დაჯგუფებებს შორის გამართულმა იდეურმა და პოლიტიკურმა ბრძოლამ ინტერნაციონალი დაღუპვამდე მიიყვანა. ფაქტია, რომ როგორც ერთიანი მუშათა ორგანიზაცია I ინტერნაციონალი ჰააგის კონფერენციის შემდეგ პოლიტიკური სარბიელიდან საერთოდ გაქრა, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ მუშათა მოძრაობის წინსვლად, პირიქით, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისას ჩვენ ჩამოგვიყალიბდა შეხედულება, ვიმეორებთ, ეს ჩვენი პირადი შეხედულებაა, რომ ჰააგის კონგრესზე ნამდვილად დასამარდა ფრანგი და ინგლისელი მუშების მიერ წამოწყებული ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული და ჰუმანური თაოსნობა, რაც კი შეიძლება მოეფიქრებინათ გასული საუკუნის შრომის არა-ადამიანური პირობებით განაწამებ ფაბრიკებისა და ქარხნების უბრალო მშრომელებს. მიგვაჩნია ისიც, რომ მათ წამოწყებას გაცილებით მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო როგორც თვით მუშებისათვის, ასევე საერთოდ საზოგადოებისათვის, რომ ამ წამოწყებით ბოროტად არ ესარგებლათ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ბელადებს, რომლებმაც მუშათა საერთაშორისო თანამეგობრობის სახელს ამოფარებულებმა ასოციაციისა და თვით მშრომელების ბედზე საკუთარი პარტიის ინტერესებსა და პირად ამბიციებს ანაცვალეს.

ჰააგის კონგრესი აღმოჩნდა უკანასკნელი ამ საზოგადოების ისტორიაში, მიუხედავად მარქსისტების მიერ ჰააგაში მიღებული რეზოლუციისა „მკვიდრო საერთაშორისო ორგანიზაციის საჭიროების შესახებ“, გენერალური საბჭოს ცდა მოეწყოთ VI კონგრესი ქენევაში, მარცხით დამთავრდა, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ს. ხუნდაძე: „ჰააგის კონგრესის შემდეგ I ინტერნაციონალი ფაქტიურად დაიშალა, ხოლო ფორმალურად მისგან წარმოიშვა ორი ინტერნაციონალი: ბაკუნისტური და მარქსისტული“⁴⁹.

ბაკუნისტებმა ჰააგის კონგრესის შემდეგ კიდევ მოიწვიეს რამდენიმე კონგრესი: ქენევაში (1873 წ.), ბრიუსელში (1874 წ.), ბერნში (1876 წ.) და ვერევიში (1877 წ.).

რაც შეეხება მარქსისტებს, მათ მიიღეს „გამარჯვებულებისთვის“ როგორც მათ შემდგომ წლების მანძილზედ წარმოგვიდაგენდნენ, საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება, დატოვეს ევროპა და „გენერალური საბჭო“ გადაიტანეს ამერიკაში. სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ ეს ნაბიჯი შემთხვევითი სრულებითაც არ ყოფილა. ეს იყო წინასწარ შემუშავებული გეგმის ერთ-ერთი ნაწილი და, ვფიქრობთ, მისი დანახვა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. ეს „გამარ-

ჯვებულისათვის“ იყო უცნაური გადაწყვეტილება, თორემ ლოგიკურად და ევროპაში იმ დროს შექმნილი ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ეს იყო მარქსისტების კიდევ ერთი ცდა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ უკვე „წითელი ინტერნაციონალისათვის“⁵⁰ და არჩევანიც ამიტომ შეაჩერეს ამერიკაზე, რომელიც გეოგრაფიულად თუმცა ძალზედ შორს მდებარეობს „უენევიდან“, მაგრამ სანაცვლოდ მარქსისა და მისი მიმდევრების ვარაუდით მისი მუშათა კლასი თავისი ეკონომიკური მდგომარეობით (სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებულია ამერიკაში) და, რაც მთავარია, პოლიტიკური შეგნების დონით, იმ დროს საუკეთესო გარემო იქნებოდა ევროპიდან ძლიერი ოპოზიციის მიერ შევიწროებული მარქსიზმისათვის, მაგრამ მარქსისტების ვარაუდი არ გამართლდა. ამერიკაში მარქსის იდეებმა ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება და 1876 წელს ინტერნაციონალის მარქსისტულმა ფრაქციამ თავისი უფერული არსებობა ასევე უღიშამოდ დაასრულა. მოხდა ის, რასაც ჯერ კიდევ 1873 წელს მიხვდა მარქსი (ე. ი. ჰააგის ცნობილი რეზოლუციიდან ერთი წლის შემდეგ). „ვიღებთ რა მხედველობაში ევროპაში შექმნილ საქმეთა ვითარებას, მე უთუოდ სასარგებლოდ მიმაჩნა უკანა პლანზე გადავიტანოთ ინტერნაციონალის ფორმალური ორგანიზაცია“⁵¹.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ არ მიგვაჩნია იმის მართებულად განცხადება, მით უმეტეს ენციკლოპედიურ გამოცემებში, რომ 1876 წელს შეასრულა რა თავისი ისტორიული ამოცანა და ეს ამოცანა, იმავე ენციკლოპედიის განმარტებით, მდგომარეობდა „მარქსისტული იდეების მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშებამდე დაყვანაში, ინტერნაციონალმა მარქსისა და ენგელსის გადაწყვეტილებით შეწყვიტა არსებობა“⁵². საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ობიექტურად იქნეს შესწავლილი და ისტორიულ დოკუმენტალურ მასალებზე დაყრდნობით მოხდეს მოვლენების მიუკერძოებელი შეფასება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია იმის განცხადება, თითქოს ფრანგი ინგლისელი მუშებისთვის შეექმნათ, მათი საკუთარი ინტერესების გამომახტველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომ მას მარქსიზმის იდეები გაეცრცლებინა და გაეხადა ევროპაში გაბატონებულ იდეოლოგიად. მარქსისტები შეიძლება მართლაც ფიქრობდნენ ასე, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა და რამდენად სამართლიანად ამაზედ მკითხველმა იმსჯელოს, თვითონ ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომლის შეხედულებებიც გახდნენ სწორედ ჩვენი დღევანდელი წერაილის მიზეზი. იგი ინტერნაციონალს მოიხსენიებს, როგორც საზოგადოებას, რომლის მეშვეობითაც „ავადმყოფი საუკუნის ავადმყოფ შეილეს“⁵³ მიეცათ შესაძლებლობა ერთმანეთისათვის მეგობრობის ხელი გაეწოდებინათ და რომელმაც თვით მას, ქართველს წარმოშობით, შესაძლებლობა მისცა მიელოროგორც ზნეობრივი, ასევე მატერიალური მხარდაჭერა, იქნებოდა ეს პარიზში, ეენევაში, ლონდონში თუ ევროპის ისეთ პატარა ქალაქებშიც კი, როგორიცაა შოდეფონი თუ სენტი-მიე“⁵⁴.

ამიტომაც არის ალბათ, რომ ვ. ჩერქეზიშვილი ასეთი გულისტკივილით აღნიშნავს, მართალია, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოახერხეს ბაკუნინისა და მისი მიმდევრების დამარცხება, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ თავიანთი მიზნების განხორციელებაში გამხდარიყვნენ მუშათა საერთაშორისო მოძრაობის დიქტატორები, მაგრამ „როგორი აღმაშფოთებელი საშუალებებით და როგორი საშინელი ზრახვებით?

მათ დაღუპეს უდიდესი ასოციაცია და საუკუნოდ შეირცხვინეს თავი პატიოსანი ადამიანების თვალში“⁵⁵.

რასაკვირველია, აღნიშნული საკითხის შესახებ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა და ალბათ ითქმება კიდევ, ვინაიდან ყოველ მოვლენაზე, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ შეიძლება არსებობდეს ერთი ყველაისთვის სავალდებულო აზრი. ეს უკვე თავისთავადაა არანორმალური მოვლენა. უდიდესი სიბრძნეა, რომ შეხედულებათა მრავალრიცხოვნება სასარგებლოა, როგორც თვით მკვლევარისთვის, ასევე საკვლევი მოვლენისთვისაც. ალბად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ხელოვნების ნიმუშების სილიადეც კი გარკვეულწილად გაფერმკრთალდებოდა მათ შესახებ იმდენი რომ არ თქმულიყო და დაწერილიყო, რაც ითქვა და დაიწერა. მიუთუმეტეს როდესაც საქმე გვაქვს ისტორიულ მოვლენასთან, აქ ხომ თქმულისა და დაწერილის მნიშვნელობა გაცილებით მაღალია. ასეთ შემთხვევაში სწორედაც, რომ ისტორიული არგუმენტების, აზრთა მრავალფეროვნებისა და შეფასებათა ჭიდილში უნდა მოხდეს „სიმართლის დაბადება“.

ჩვენი დღევანდელი წერილიც მხოლოდ ერთი კონკრეტული გამოხმაურებაა, გამომდინარე მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ საკითხებზე ვ. ჩერქეზიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან, რასაკვირველია იმის იმედითა და გათვალისწინებით, რომ მომავალში მოხდება ამ საკითხების კიდევ უფრო სრულყოფილი შესწავლა, ჩვენს ხელთ არსებული და ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე და ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ის ცალსახა და არარეალური წარმოდგენა I ინტერნაციონალის შესახებ, რომელიც წლების მანძილზე დომინირებდა ჩვენს ლიტერატურაში სახეს შეიცვლის.

ჩვენი დღევანდელი წერილი გვიანდა ისევ ვ. ჩერქეზიშვილის სიტყვებით დავამთავროთ, რომლებიც ვფიქრობთ მშვენივრად წარმოგიდგენენ დროის უკულმართობის გამო უცხოეთში გადახვეწილი და იქვე დასამარებული კიდევ ერთი ქართველი მამულიშვილის პოლიტიკური ჭერეტის უნარსაც და ადამიანურ მრწანსსაც. ციტატა აღებული ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ 1894 წლის ერთ-ერთი ნომრიდან და წარმოადგენს გასული საუკუნის ევროპის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარ შეჯამებას: „ინგლისი და საფრანგეთი სათავეში უდგენენ იმდროინდელ განათლებულობას, მრეწველობასა და საზოგადო განვითარებას. ვერც ნორჩმა იტალიამ მოასწრო ჯერ აღედგინა თავისი დიდება, განახლების ეპოქისა, ვერც ძლევამოსილმა გერმანიამ შესძლო დაეჭირა უპირველესი ადგილი ჩვენის დროის მოძრაობაში. როგორც ამ საუკუნის დამდეგში, ისე ეხლად დღესასწაული გერმანიისა, მისის პოლიტიკისა და ფილოსოფიისა უფრო ერთს ადგილას წარუმატებლად დგომისა და რეაქციის მომასწავებელია.“

ჩვენთა დღეთა მოდღესასწაულე გერმანიამ მარტო ესლა შესძინა კაცობრიობას — მილიტარიზმი, გულგატეხილობა, მოხელეთა ბატონობა, დისციპლინა და ცენზურაც კი სოციალ-დემოკრატთა დასისა. ასეთის საგზლით კი კაცობრიობაში პირველ ადგილს ვერაინ დაიჭერსო“.

გ ა მ ო უ მ ე ნ ი ა ზ ო ლ ი ტ ი მ ა რ ა ტ უ რ ა

1. გაზეთი „დროება“ 1871 წ. № 15.
2. გაზეთი „დროება“ 1871 წ. № 23.
3. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი — „ქართველი საზოგადოებრიობა I ინტერნაციონალის შესახებ“ თბილისი, 1964 წ.
4. ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე — „მარქსის ინტერნაციონალი“ თბილისი, 1924 წ. გვ. 8.

5. სიმონ ხუნდაძე — დასახელებული ნაშრომი გვ. 8.
6. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი — „ბაკუნინის მნიშვნელობა ინტერნაციონალურ რევოლუციურ მოძრაობაში“. წიგნში „მ. ა. ბაკუნინი, რჩეული ნაწერები“ ლონდონი. 1915 წ. ტ. I; გვ. 44 (რუსულად).
7. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44.
8. ი. ა. ქობალია — „პირველი ინტერნაციონალი. 100 წელი დაბადებიდან“. თბილისი, 1964 წ.; გვ. 13.
9. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.
10. ვ. ჩერქეზიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 46.
11. ს. ბერგერი — „პირველი ინტერნაციონალი“ უზბეკეთის საბჭ. სოც. რესპ. ტაშკენტი, 1964 წ.; გვ. 11 (რუსულად).
12. ს. ბერგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.
13. ანრი ლუი ტოლენი (1828-1897 წ.წ.) ფრანგი მუშა, პარიზში I ინტერნაციონალის სექციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მემარჯვენე პრუდონისტი. პარიზის კომუნის დღევანდელი მიემზრო ვერსალეებს. გენერალური საბჭოს მიერ გარიცხულ იქნა ინტერნაციონალიდან.
14. ჯორჯ ოჯერი (1820-1877 წ.წ.) — მეწაღე, ლიდერი ინგლისელი ტრედუნიონებისა. წევრი I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოსი. პარიზის კომუნის შემდეგ თავისი სურვილით გავიდა ინტერნაციონალიდან.
15. კრიმერი ვილიამ რენოლი (1838-1908 წ.წ.) — ერთ-ერთი ლიდერი ინგლისელი ტრედუნიონებისა. 1864-1866 წ.წ. იყო I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მდივანი. 1867 წელს თავისი ნებით გამოვიდა ინტერნაციონალიდან. შემდგომში ლიბერალი.
16. ვიქტორ ლე-ლუზე (დაიბადა 1830 წ.) — ფრანგი ემიგრანტი ლონდონში. I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი. 1866 წელს ვარიცხეს ინტერნაციონალიდან გენერალური საბჭოს შესახებ ჭორების გავრცელებისა და ინტრიგებისათვის ამ უკანასკნელის წინააღმდეგ.
17. იოჰან გეორგ ეკჰარტიუსი (1818-1889 წ.წ.) თერძი, კომუნისტთა კავშირის წევრი გერმანიაში. შემდგომ ცხოვრობდა ემიგრაციაში ლონდონში. I ინტერნაციონალის წევრი 1864 წლიდან. 1867-1871 წლებში იყო გენერალური საბჭოს მდივანი. 1872 წ. გაწვევტა რა კავშირი მარქსთან ვადავიდა ანარქისტების მხარეზე.
18. სიმონ ხუნდაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.
19. გ. ს. ულმანი, — I ინტერნაციონალი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. საკავშირო საზოგადოება. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გასავრცელებლად. ლენინგრადი, 1955 წ.; გვ. 13.
20. გ. ს. ულმანი, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.
21. პ. ა. კროპოტკინი, „თანამედროვე მეცნიერება და ანარქია“ თარგმანი ფრანგულიდან ავტორის რედაქციით; პეტ-მოსკოვი 1920, გვ. 56 (რუსულად).
22. პ. ა. კროპოტკინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.
23. „იმპოწერა ა. ენგელსსა და კ. მარქსს შორის“ 1844-1883 წ.წ. გამოცემული ა. ბებელისა და ედ. ბერნშტეინის მიერ, გერმანული დედანი. გამოცემული 1913 წ. წერილი კ. მარქსის 1864 წ. 4 ნომერის. ტ. III, გვ. 188-191.
24. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი — „მ. ა. ბაკუნინი რჩეული ნაწერები“, ლონდონი, 1915 წ. ტ. I, გვ. 45 (რუსულად).
25. ფ. მერინგი — „კარლ მარქსი. მისი ცხოვრების ისტორია“, მოსკოვი, 1957 წ. გვ. 346.
26. ფ. მერინგი, — დასახელებული ნაშრომი, იქვე.
27. პ. ა. კროპოტკინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.
28. ს. ბერგერი, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.
29. ვ. ჩერქეზიშვილი, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 46.
30. ვ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 45.
31. ვ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 46.
32. ს. ხუნდაძე, — „მარქსის ინტერნაციონალი“, გვ. 4.
33. კ. მარქსი ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. 23, გვ. 442 (რუსულად).
34. პოლ-ლუი, — „სოციალიზმის ისტორია საფრანგეთში“, ი. სტეკლოვის თარგმანი ფრანგულიდან. მოსკოვი 1906 წ. გვ. 295 (რუსულად).

35. ე. ჩერქეზიშვილი, — დასახელებული ნაშრომი.
36. ს. ხუნდაძე, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.
37. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.
38. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 52.
39. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 47.
40. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 44.
41. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, — იქვე, გვ. 98.
42. ს. ბერგერი, — დასახელებული ნაშრომი, გვ. 98.
43. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებები ტ. 26, გვ. 276 (რუსულად).
44. ე. ჩერქეზიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.
45. „ლიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, მოსკოვი, 1953 წ. ტომი 18, გვ. 286
46. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, — თხზულებები, ტ. XXVI, გვ. 321.
47. გ. ს. ულმანი, I ინტერნაციონალი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. ლენინგრადი, 1955 წ. გვ. 46.
48. ს. ბერგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 100.
49. ს. ხუნდაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.
50. ფ. ა. ბროკაუზისა და ი. ა. ეფრონის ენციკლოპედია. ს. პეტერბურგი, 1890 წ. ტ. 25, გვ. 265.
51. გ. ს. ულმანი დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.
52. „ლიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, მოსკოვი, 1953 წ. ტ. 18, გვ. 288.
53. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, დრაგომანოვი გადიაჩიდან რუს სოციალისტებთან ბრძოლაში, ქენევა, 1828 წელი, გვ. 53.
54. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.
55. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, მ. ა. ბაკუნინი. რჩეული ნაშრომები, ლონდონი, 1915, გვ. 44.
56. გაზეთი „ივერია“, 1894 წელი, 28 აგვისტო.

Г. Ю. ПЕРАДЗЕ

**ВАРЛАМ ЧЕРКЕЗИШВИЛИ О РОЛИ К. МАРКСА И Ф. ЭНГЕЛЬСА
В ПЕРВОМ ИНТЕРНАЦИОНАЛЕ**

Резюме

В статье рассматривается мнение В. Н. Черкезишвили относительно создания и деятельности международной организации рабочих — Первого Интернационала.

По утверждению автора, вопреки распространенному у нас мнению, Первый Интернационал учредили не К. Маркс и Ф. Энгельс, а он был создан по инициативе и усилиями английских Тредьюнионов и представителей французских рабочих.

В статье по-новому освещаются также важные этапы деятельности Первого Интернационала.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა

ვალერიან ბაჩუაშვილი

სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის აუცილებლობის შესახებ საბაზრო ეკონომიკის პირობებში

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში იჩინა თავი ახალმა მოვლენამ — მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წამყვანი ძალა, მისი ბირთვი და რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სულ უფრო მეტად ხდებოდა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საერთოდ ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მყოფ ქვეყნებში გაჩნდა და შემუშავდა აზრი, რომ ამ ფაქტორის ეფექტური გამოყენება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო მექანიზმების მეოხებით, რომ საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში. ეს ჩარევა უნდა გამხდარიყო ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ორგანული შემადგენელი ნაწილი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში ჩარევის აუცილებლობა ძლიერდებოდა იმ გარემოებით, რომ იგი, როგორც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, სულ უფრო მეტად გადაიქცეოდა კონკურენციის ასპარეზად. ბაზარი და კონკურენცია, მოგების მიღების, მისი ზრდის სურვილი ასტიმულირებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვართა დანერგვას, წინსვლისაკენ უბიძგებენ იმ მეწარმეთ, რომელთა პროდუქციაც შეესაბამება გადახდისუნარიან მოთხოვნას, და, პირიქით, „ძირავენ“ იმ საწარმოებს, რომელთა პროდუქციაც არ პასუხობს მოთხოვნას. წარმოების ბაზრისაკენ ორიენტაცია სულ უფრო რთულ ნაკეთობებზე ჰქმნის მოთხოვნას, რის უზრუნველყოფაც შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების გარეშე. ეს კი განაპირობებს წარმოებაში მათი დანერგვის აუცილებლობას.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელია რამდენიმე წინააღმდეგობა. ერთ-ერთი მათგანია თვით კონკურენციის ბუნება. ეს წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის სტიმულირებასთან ერთად იგი რამდენადმე აფერხებს კიდევაც ამ პროცესს. საწარმოს ორიენტაცია მოგების სწრაფ მიღებაზე უბიძგებს მას გეზი აღოს მოკლევადიან სიახლეთა დანერგვაზე, რაც ახლო მომავალში უქადის მოგების მიღებას. ამ სურვილს აყოლილი მაწარმენი კი გვერდს აუქცევს ისეთ ტექნიკურ სიახლეთა გამოყენებას, რომლებიც შედეგებს მხოლოდ შორეულ მომავალში გამოიღებენ.



მეორე წინააღმდეგობა დაკავშირებულია მონოპოლიების მოქმედებასთან. მონოპოლია ცდილობს გეზი აიღოს არა მარტო სიახლის დაწინაურებაზე დამატებითი მოგების მიღებისათვის, არამედ შეინარჩუნოს და გაზარდოს თავის კაპიტალის ღირებულება. საქმისადმი ასეთი მიდგომა იწვევს წარმოებრივი მოწყობილობის მასობრივ მორალურ ცვეთას. ეს კი, მოწყობილობის მორალური ცვეთა მის ფიზიკურ გაცვეთამდე, მეწარმეთათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ არის. მისთვის უფრო უპრიანია მოგების მიღება ტექნიკური განახლების გარეშე. მაშასადამე, თუ ეს შესაძლებელია, მეწარმის მიერ ფერხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იქამდის, სანამდისაც სხვა მწარმოებლები არ დაიწყებენ სათანადო ტექნიკური სიახლეების დაწინაურებას.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა მდგომარეობს მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების მოქმედებაში. საქმე ისაა, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში დგება მომენტები, როდესაც მათი ძალები ამკარა სიჭარბეს აღწევენ საშუალო და მცირე საწარმოებთან შედარებით და პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც მათ მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საშიშროებას ქმნის. ასეთ შესაძლებლობას მონოპოლიები და ოლიგოპოლიები ხშირად იყენებენ კიდევაც თავის საქმიანობაში: იგნორირებას უკეთებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მიმართავენ ფასების დონის ხელოვნურ ამაღლებას, ახდენენ დაწოლას როგორც მიმწოდებლებზე, ასევე მომხმარებლებზე. განსაკუთრებული საშიშროება იქმნება იმ დარგებში, რომელთა სტრუქტურაშიც დიდი ხვედრითი წონა ოლიგოპოლიებზე მოდის, რაც ღრმა ეკონომიკური კრიზისის დროს კონკურენტულ ძალთა როლის მკვეთრ ზრდაში გამოიხატება. კონკურენტის შედეგები კი ცნობილია: წარმოების დაცემა, უმუშევრობის ზრდა და ა. შ.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებმა გადაწყვიტეს ამ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით მიემართათ სახელმწიფო ჩარევისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში. ამ წინააღმდეგობათა მოხსნის მცდელობა, რა თქმა უნდა, უშედეგო იქნებოდა, რადგან ისინი იმანენტურია საბაზრო ეკონომიკისათვის. ამიტომ ჩარევის მიზანი იყო მათი მოქმედების შენელება, უარყოფით გამოვლინებათა დაძლევა თუ არა, შერბილება მაინც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროცესში ჩარევით, რასაც შეიძლება ეწოდოს რეგულირება, სახელმწიფო ცდილობდა გამოეყენებინა ისეთი ხერხები, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტიაში მყოფი მხარეებისა და ძალების ურთიერთმოქმედების შეწონასწორება, ბაზარზე მათი ოპტიმალური შეხამების უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების მოქმედებასთან დაკავშირებულ რეგულირებას.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ უკვე მიღწეული მეცნიერული ცოდნის და მის ბაზარზე შექმნილი ტექნიკის სრულყოფა, მსხვილი მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების რეალიზაცია მოითხოვს უზარმაზარი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზებას, მათ კონცენტრირებასა და გამოყენებას, რაც აღემატება უდიდესი კორპორაციების შესაძლებლობასაც კი. ამასთან, კერძო კაპიტალი არ არის დაინტერესებული მეცნიერული კვლევის წარმოებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, გარემოს დაცვა, სასოგადოებრივი ტრანსპორტი და ა. შ. დაუინტერესებლო-

3. „მაღნი“, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 2

ბის მიზეზია აღნიშნულ სფეროებში დაბანდებული კაპიტალის სწრაფი უკუგების პერსპექტივების უქონლობა.

ყველა ამ გარემოებიდან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მყოფი მოწინავე ქვეყნების მთავრობათა მიერ შემუშავებულ იქნა და უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილია მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, რის შედეგადაც სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით დიდია მეცნიერების (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა) სფეროს რეგულირებაში. ეს პოლიტიკა ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საერთო ეკონომიკურ პრიორიტეტებს.

სახელმწიფოს ჩარევას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში, როგორც უკვე აღინიშნა, წინ უსწრებდა აზრის გამომუშავება მისი რეგულირების, მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობის შესახებ. 60-70-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში სულ უფრო იზრდებოდა მეცნიერთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, ბიზნესმენთა რიცხვი, რომელნიც იზიარებდნენ ამ აზრს. ასე, მაგალითად, ამერიკული კომპანია „ერ პროდუქტს ენდ კემიკლს“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა არის აშშ სამრეწველო განვითარების საფუძველი.

აშშ და სხვა ქვეყნებში შეიქმნა ინსტიტუტები, რომლებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ამ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო ტექნიკური მომსახურების პროგრამების რეალიზაცია. 1965 წელს დაიწყო მათი განხორციელება აშშ ყველა შტატში და თანდათანობით ამ შედეგებმა იჩინეს თავი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებაში. ამ პროგრამების უდიდესი ნაწილი ითვალისწინებდა მცირე ფირმების წვლილსაც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მყოფი ქვეყნების სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარება დაფუძნებულია სათანადო საკანონმდებლო ბაზაზე. ასე, აშშ კონგრესის მიერ 1971-1976 წლებში განიხილებოდა კანონპროექტები მეცნიერული პოლიტიკისა და ცხოვრებაში მისი გატარების შესახებ. აღდგენილ იქნა 1973 წელს გაუქმებული სამმართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის დარგში, რომელსაც რიგი ახალი ფუნქციაც მიენიჭა.

მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა ჩვეულებრივ გულისხმობს სათანადო მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც მოიცავენ სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესებში პირდაპირი და არაპირდაპირი ხასიათის ჩარევას. უნდა ითქვას, რომ პირდაპირი ჩარევა ჩვეულებრივ ხდება მინიმალური ზომით. მოწინავე ქვეყნებში მექანიზმის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს არაპირდაპირი ჩარევის საშუალებებს. ესენია: საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა, საგადასახადო სისტემა, სუბსიდიების გაცემა, საგარეო ეკონომიკური ღონისძიებების გატარება, გარკვეული საკანონმდებლო ზომების მიღება ეკონომიკის სფეროში და სხვ.

მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ასეთი ხერხების გამოყენებისათვის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს გააჩნია სათანადო მატერიალური და ფინანსური ბაზა. ეს არის სახელმწიფო სექტორი წარმოების სფეროში და ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ცენტრალური ფონდები (ბიუჯეტი, სოციალური დაზღვევის ფონდები). ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნი-

სათვის დამახასიათებელია თავისებურებანი, რომელთაგანაც გამომდინარეობს თითოეულ მათგანში შემუშავებული და მოქმედებაში მყოფი ეკონომიკური და მასთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის სპეციფიკურობა. ასე, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ცენტრალური ბანკი — „ბუნდესბანკი“. აქ არსებობს შედარებით დიდი და განშტოებული სახელმწიფო სექტორი, რომელიც ძირითადად შერეული, კერძო და სახელმწიფო კაპიტალის მქონე საწარმოებისაგან შედგება. საერთოდ, დასავლეთი ევროპის უმრავლეს ქვეყნებში განვითარებულია სახელმწიფო სექტორი, რომელზედაც მოდის მეურნეობაში დასაქმებულთა და კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრება უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე აშშ და იაპონიაში, არამარტო საერთოდ ეკონომიკაში, არამედ ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკაშიც. რაც შეეხება აშშ, აქ მოქმედებს შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია კომუნალური მეურნეობის სფეროში. აქ სახელმწიფო აფინანსებს კაპიტალდაბანდებათა უმნიშვნელო ნაწილს დამამუშავებელ მრეწველობაში.

სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ამოცანას შეადგენს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა წარმოების სტიმულირება, ამ საქმიანობისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა. მისი ამოცანაა კერძო სექტორში მეცნიერული კვლევის სტიმულირება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარებით, ამ სექტორისათვის არახელსაყრელი საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე მეცნიერული კვლევის განხორციელება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში და დაწესებულებებში.

ისეთ ტექნიკურ სიახლეთა ათვისებისას, რომელთაც რადიკალური ცვლილებები შეაქვთ წარმოებაში, პირველ ხანს გარდუვალია ზარალი. ამის მიუხედავად, ფირმა, თუკი ეს სიახლე მნიშვნელოვანი მოგების მიღების პერსპექტივას სახავს მის წინაშე მომავლისათვის, ხშირად მიდის მის დაწერგვაზე, სახელმწიფოს მხრიდან მისთვის ფინანსური დახმარების გაწევის პირობით. ამიტომ სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი უნდა იყოს კერძო სექტორში, მით უმეტეს საშუალო და მცირე სიდიდის ფირმებში, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა სტიმულირებაში. იგი უნდა ითვალისწინებდეს მათი საქმიანობის შეზამებას, რადგან როგორც მსხვილ, ასევე საშუალო და მცირე ფირმებსაც გააჩნია თავისი უპირატესობანი. მსხვილი ფირმებისა და კორპორაციების უპირატესობა მდგომარეობს მათ შესაძლებლობაში დიდი მოცულობის სახსრები დააბანდონ ახალი პროდუქციის და ტექნოლოგიის ათვისებაში. გარდა ამისა, მათ გააჩნიათ მრავალმიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოების შესაძლებლობა, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა ძალისხმევის გაერთიანებას მოითხოვს. მათ შეუძლია აგრეთვე დაყენებული მეცნიერული ამოცანის ალტერნატიული კვლევის წარმოება. ერთ-ერთი ამ უპირატესობათაგანი მდგომარეობს ტექნიკური სიახლის ათვისების გადამწყვეტ და ყველაზე კაპიტალტევად სტადიაზე — მასობრივი წარმოების მომზადებისას — სპეციალური წარმოებრივი სიმძლავრეების აგების შესაძლებლობაში.

თავისი ადგილი გააჩნია სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაში მცირე და საშუალო ფირმებსაც. ასეთ ფირმებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა ეფექტიანობა იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ისეთ სიახლეთა ათვისება, რომლებიც არ მოითხოვენ მნიშვნელოვანი სახსრების დაზანდებას და დიდი რაოდენობის ნუშაკების დასაქმებას, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. ამის მიზეზია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სპეციალიზაციის ისეთი გაღრმავება, რომლის შედეგადაც მცირე სიდიდის ფირმებს, თავის მოკრძალებული რესურსების მიუხედავად, შირად შეუძლიათ კონკურენციის გაწევა მსხვილი კონკურენტებისათვის ცალკეულ ვიწრო დარგებში. გარდა ამისა, ისინი აწარმოებენ სიახლეთა ათვისებას ისეთ სფეროებში, რომლებიც მსხვილი ბიზნესისათვის არააპროსპექტიული ან მეტად სახიფათო მოჩანს. მცირე ფირმები უფრო ხალისიანად ჰყიდებენ ხელს პრინციპულად ახალი ნაკეთობის გამოშვებას, ვიდრე მსხვილი ლაბორატორიები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ კვლევის მიმართულებები და რომელთა გადართვა ახალი მიმართულების კვლევა-ძიებაზე დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული.

ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების ფართო მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა წარმოებაში და ამ სფეროში მათი საქმიანობის მოქნილი შეხამება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკურმა პოლიტიკამ. მანვე უნდა უზრუნველყოს კერძო სექტორისათვის არახელსაყრელი საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე მეცნიერული კვლევის განხორციელება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში და დაწესებულებებში.

დღეს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელია არა ცალკეული, ურთიერთკავშირის გარეშე არსებული გარღვევები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, არამედ ფართო ფრონტით მსვლელობა ტექნიკის თაობათა ცვლის, პროდუქციის მუდმივი განახლების მიმართულებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია მეურნეობრივი საქმიანობის საბოლოო შედეგების ახალმა კრიტერიუმებმა. ესენია: პროდუქციის ხარისხი, სიმძლავრე, მოწყობილობის მუშაობის სისწრაფე, შეცვლილი გარეპირობებისადმი ოპერატიული შემგუებლობა, მეურნეობრივი ერთეულების საქმიანობის პროცესში გარემოს შენარჩუნება და ა. შ. ყველა ამ გარემოებამ განაპირობა ის მოვლენა, რომ ამჟამად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავია უდიდესი მონოპოლიების და სახელმწიფო ორგანოების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მეცნიერულ-ტექნიკურ გადაწყვეტილებათა მეშვეობით ისინი ცდილობენ ეკონომიკური ზრდის, წარმოების ეფექტიანობის, და, საბოლოოდ, მოგების ამაღლების მიღწევას. უფრო მეტიც, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უკვე გადაიქცა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მყოფ მოწინავე ქვეყნებში შემუშავებულმა და გატარებულმა გონივრულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებს ზემოხსენებულ ფაქტორებს, სათანადო ქვეყნის სპეციფიკას, ხელი შეუწყო იმ წარმატებებს, რომლებიც დღეს მათ გააჩნიათ. ამ ქვეყნების მეორე მსოფლიო ომის მერმინდელმა გამოცდილებამ ცხადყო მათი ეკონომიკური პოლიტიკის სისწორე. დღეს, როდესაც საქართველო გა-

დადის საბაზრო ურთიერთობებზე, ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გამოყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწორი წარმართვისათვის, მისი სტიმულირებისათვის, საერთოდ ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

В. БУЧУКУРИ

О НЕОБХОДИМОСТИ ГОСУДАРСТВЕННОЙ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ В УСЛОВИЯХ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ

Резюме

Сегодняшний высокий уровень экономического и научно-технического развития передовых стран мира, находящихся в условиях рыночной экономики, во многом обязан разработанной и осуществляемой в них в последние десятилетия государственной научно-технической политике, являющейся органической составной частью осуществляемой в них экономической политики.

В условиях перехода Грузии на рыночные отношения необходимость разработки по примеру этих стран государственной научно-технической политики становится одной из самых актуальных задач в области экономики.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა

ვაჟა ზარიძე

**საქართველოს ეკონომიკური კავშირები ამიერკავკასიის
რესპუბლიკებთან
1920-1928 წლებში**

ნებისმიერი ქვეყნის განვითარება დიდადაა განსაზღვრული იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობით რაც მას გააჩნია. როგორც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და განვითარების დონე, მას არ შეუძლია უარყოს ისეთი ეკონომიკური პარამეტრები, როგორცაა მისი უახლოესი ეკონომიკური სივრცის ათვისების ზონა. საქართველოს არც ერთ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში არ შეუძლია უარყოს თავის უშუალო მეზობელ სახელმწიფოებთან — რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ეკონომიკური ურთიერთკავშირის აუცილებლობა. სამწუხაროდ ეს ურთიერთკავშირი სრულფასოვნად, ბუნებრივ-ეკონომიკური გზით არასდროს განვითარებულა. რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნის შემდეგ კავშირი თურქეთთან შეწყდა, ხოლო კავშირები აზერბაიჯანთან და სომხეთთან ვითარდებოდა რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო გასაბჭოების შემდეგ ეს კავშირურთიერთობა ემყარებოდა უკვე საბჭოთა კავშირის ერთიან მიზნებს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ამიერკავკასიის ფედერაციის მიმართ დამოკიდებულებაში, როდესაც რელიეფურად გამოიხატა აქ მცხოვრები ხალხების ინტერესებისადმი დამოკიდებულება. ერთი მხრივ, ამიერკავკასიის ცალკეულ რესპუბლიკებში და მეორე მხრივ, ამიერკავკასიისა და ცენტრალურ რუსეთში არსებული წარმოებითი ურთიერთობების განვითარების შინაარსობრივი და ხარისხობრივი განსხვავების მიუხედავად, აქ გამოყენებული იყო ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის თარგი და ხდებოდა ეკონომიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური განვითარების ვულგარული უნიფიკაცია. ამდენად, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების შემდეგ, მათი ურთიერთკავშირის განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს იმ საერთო სქემისა და ეტაპების მიხედვით, რომლებშიც ეს კავშირურთიერთობები იქნა მოქცეული მეურნეობრიობის ცენტრალიზებული მართვის პერიოდში. ამიერკავკასიის ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა ალემ-მიცემობა და სამეურნეო კავშირურთიერთობები.

ამიერკავკასიაში ეკონომიკური პოლიტიკა გასაბჭოების შემდეგ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური პოლიტიკის მოდიფიცირებული გამოხატულება იყო. თუ მე-19 საუკუნეში რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასია ვაჭრობის გზით მოექცია რუსეთთან ეკონომიკურ კავშირში, მე-20 საუკუნეში იგი ცდილობდა ამიერკავკასიის უფრო ძლიერ დაექვემდებარებინა რუსეთისთვის — გაეხადა ამიერკავკასიის ხალხების მეურნეობრიობა საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის ფუნქციონირებადი სისტემის ელემენტებად და ამით პოლი-



ტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად მოეხდინა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია.

უკვე გეორგიევსკის ტრაქტატში ჩადებული იყო საქართველოს ვაჭრობის რუსულ სისტემაში მოქცევის იდეა. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ტრაქტატის არტიკულში პირდაპირაა მითითებული, რომ „ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქვს თავისუფლება, რათა განავაჭროს სავაჭრო თავისი რუსეთსა შინა“. მიზანი აქ ის იყო, რომ რუსეთის ვაჭრობაში საქართველოს ჩათრევით რუსეთი „თვით ქართველი ვაჭრების მეოხებით გადაიქცეოდნენ რა ისინი რუს მსხვილ ვაჭართა აგენტებად — ხელში ჩაიგდებდა საქართველოს და მამასადამე, ამიერკავკასიის ბაზრებს“¹.

უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კავშირები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის განხორციელდა რუსეთის იმპერიაში მე-XIX საუკუნის 90-იან წლებში და XX საუკუნის ათიან წლებში. თუმცა ეს კავშირები ძალიან შეზღუდული იყო. ამასთან დაკავშირებით აკად. ი. მიქელაძე წერდა, რომ ამ დროს „...ტვირთბრუნვის სარკინიგზო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, ტვირთბრუნვას მეტად შეზღუდული ხასიათი ჰქონდა, რაც საერთოდ ამიერკავკასიის საწარმოო ძალთა განვითარების მეტად დაბალ დონეს შეესაბამებოდა. სომხეთიდან (ერევნის გუბერნია) საქართველოში (თბილისის გუბერნია) შემოტანილ ტვირთთა დასახელებაში თითქმის სულ არ იყო ისეთი საწარმოო დანიშნულების საქონელი, როგორცაა, ლითონი, ლითონის ნაწარმი, ქიმიკატები, მოწყობილობა, საშენი მასალები“².

საქართველოს სამეურნეო ურთიერთობა აზერბაიჯანთან ძირითადად ამიერკავკასიის მაგისტრალური რკინიგზის ხაზით ხორციელდებოდა. ამასთან, „საქართველოს და აზერბაიჯანის ურთიერთდამოკიდებულებას რევოლუციამდელ პერიოდში არ ჰქონდა საწარმოო კავშირის ხასიათი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნავთობის შემოზიდვას საქართველოში, როგორც მოხმარებისათვის ისე განსაკუთრებით ტრანზიტის მიზნისათვის“³.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ფაქტურად ყოველგვარი ეკონომიკური კავშირურობა შეწყვეტილი იყო.

1917 წ. 11 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის, ხოლო 1918 წ. თებერვალში ამიერკავკასიის სეიმის მიერ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამ (1918 წ. აპრილამდე იარსება), ფაქტურად ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი სახელმწიფოები საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამ პერიოდში პოლიტიკა ბატონობდა ეკონომიკაზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შემდეგ, ევროპის ქვეყნების კავშირების ალტერნატივით შეცვლის ილუზიები გაქრა, საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დაინახეს ერთმანეთთან ეკონომიკური კავშირურობის დამყარების აუცილებლობა.

1 ზ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. 1, თბ., 1949, გვ. 14.
2 ი. მიქელაძე, საბჭ. საქართვ. ეკონომიკური კავშირი და თანამშრომლობა სომხეთსა და აზერბ. საბჭ. რესპ-თან, თსუ, შრომები 1957, ტ. 66, გვ. 342.
3 ი. მიქელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 345.

ცხრილი № 1

საქართველოში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შეპოტანილი საქონლის დინამიკა 1919-20 წწ.
(ათას ფუთ. და ათას მან.)⁴

რესპუბლიკების დასახელება წლები	საარსებო საგნები		წელღეული და ნახევარფაბრიკ.		შეპოტანების ნაწარმი		ნაწარმი		დაუსახელებელი საგნები		სულ	
	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა
აზერბაიჯანიდან:												
1919	1346,5	141162,8	876,3	68096,1	5,0	920,4	85,3	61752,4	5,4	2119,1	2312,5	292989,8
1920	321,7	91830,8	532,9	35101,2	20,1	2943,0	22,6	181852,5	0,1	—	877,4	311727,5
სომხეთიდან:												
1919	101,2	2885,8	15,6	27232,0	1,4	813,9	6,0	2439,9	0,2	409,3	124,4	15273,0
1920	92,2	166803,4	31,5	9577,8	778,0	14600,0	19,1	63568,6	0,1	—	142,9	24548,9

ცხრილი № 2

საქართველოდან საქონლის გატანა აზერბაიჯანში და სომხეთში 1919-1920 წწ.
(ათას ფუთ. და ათას მან.)⁵

რესპუბლიკების დასახელება წლები	საარსებო საგნები		წელღეული და ნახევარფაბრიკატები		ცხოველები		ნაწარმი		დაუსახელებელი საგნები		სულ	
	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა
აზერბაიჯანში												
1919 წ.	1964,7	94819,3	133,3	6426,2	0,9	663,8	306,0	481966,4	12,4	5044,4	2404,7	154970,1
1920 წ.	16,2	26058,2	66,0	17467,0	—	260,0	37,0	49988,2	1,0	489,0	333,9	202406,8
სომხეთში												
1919 წ.	180,5	32224,6	291,3	4419,3	0,2	39,0	54,3	30268,8	1,2	572,6	527,3	67524,3
1920 წ.	49,3	43176,8	14,3	6710,1	0,1	46,0	51,8	10094,1	0,6	874,0	116,2	28103,0

⁴ სტატისტიკური კრებულები 1909—1921, ტფ., 1923, გვ. 48—49.

⁵ იქვე, გვ. 54—60.

საქართველოს ეკონომიკურ კავშირთა თეორიის თვალსაზრისით 1919-1920 წლებში აზერბაიჯანთან და სომხეთთან ნათელ სურათს იძლევა შემდეგი მონაცემები: (ცხრილი 1, 2). როგორც ცხრილებიდან ჩანს, განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა საარსებო საქონლის გატან-შემოტანას. 1919 წელს საქართველოდან გატანილი იყო აზერბაიჯანში სულ—2404,7 ათ. ფუთი, 154970,1 ათ. მანეთის საქონელი, 1920 წელს კი გატანილი იქნა მხოლოდ 333,9 ათ. ფუთი საქონელი, ე. ი. 1919 წელთან შედარებით თითქმის 3-ჯერ ნაკლები. სამაგიეროდ საქონლის ღირებულება გაიზარდა 202400,8 ათ. მანეთამდე, რაც ბონის კურსის ზრდით აიხსნებოდა. სომხეთში კი 1919 წ. გატანილი იქნა 527,3 ათ. ფუთი საქონელი, რომლის თანხამ 67524,3 ათ. მანეთი შეადგინა. 1920 წელს კი მხოლოდ 116,2 ათ. ფუთი საქონელი, 28103 ათ. მანეთის ღირებულებით. რაც შეეხება საქართველოში შემოტანილ საქონელს, იგი ასეთ სურათს გვაძლევს: 1919 წელს აზერბაიჯანიდან შემოტანილი იქნა სულ 2312,5 ათ. ფუთის საქონელი, 292989,8 ათ. მანეთის ღირებულებით, 1920 წელს კი 877,4 ათ. ფუთი, 311727,5 ათ. მანეთის ღირებულებით. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქონლის შემოტანისა და გატანის მხრივ აზერბაიჯანთან. სომხეთში კი პირიქით, თუ 1919 წ. სომხეთიდან შემოტანილი იყო საქართველოში სულ 124,4 ათ. ფუთი (15273 ათ. მან.), 1920 წ. იგი გაიზარდა 142,9 ათ. ფუთამდე (24548,9 ათ. მან.) დამახასიათებელია, რომ როგორც საქართველოდან გატანა, ისე შემოტანა ამ რესპუბლიკებიდან ხდებოდა უმთავრესად საარსებო საგნების საქონლისა, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებისა. რაც შეეხება უმთავრეს სამრეწველო საგნების გატან-შემოტანას, ამის შესახებ სტატისტიკა სულში და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწარმების გატან-შემოტანის მონაცემებით კმაყოფილდება. ნიშანდობლივია, რომ მოუხდავად ასეთი ქაოტური ვითარებისა, მაინც ადგილი ჰქონდა საქონლის ტვირთბრუნვას, და ეს იმ დროს, როდესაც მტკიცე არ იყო ვალუტის კურსი და საქონლის ფასი ასტრონომიულად იზრდებოდა მთელ ამიერკავკასიაში. საქართველოში მეურნეობის კატასტროფულად დაქვეითების შესახებ, იძულებული იყო თვით მის მესვეურს ნ. ჟორდანას 1920 წლის ნოემბერში, თბილისში გამართულ ეკონომიკურ თათბირზე განეცხადებია შემდეგი: „... ამ რამოდენიმე წლის წინათ, ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკური მხრივ, ჩვენ კატასტროფისაკენ მივისწრაფვით. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული. ასე, რომ ამ სიტყვებს კიდევ შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს უწყევდნენ. მაგრამ დღეს თვითოეული მწვავედ განიცდის სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივიღივართ კატასტროფისაკენ — ჩვენ უკვე მივიღით აქამდე“.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გათიშვიდან ერთიანი ფედერაციის საზღვრებიდან და მათი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად არსებობიდან იმ დრომდე, როდესაც თითოეული რესპუბლიკა მიხვდა ეკონომიკური კავშირთა თეორიის სასიცოცხლო აუცილებლობას, დიდი დრო არ გასულა. ამისათვის საჭირო აღმოჩნდა თვეები, როდესაც თითოეულმა ცხრა მთას იქეთა მეგობრების დახმარების იმედი დაკარგა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ კავშირთა თეორიის თვალსაზრისით იყო იმ დროს ყველა პარტია და მოძრაობა. დამოუკიდებელი რესპუბლიკების ეკონომიკური კავშირები არ შეესაბამებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კუთხით ჩამოყალიბებული კავშირთა თეორიით.

ბების არსს. ამიტომ აზერბაიჯანის (1920 აპრილი), სომხეთის (1920 ნოემბერი) და საქართველოს (1921 თებერვალი) გასაბჭოების შემდეგ, იდეა ეკონომიკური კავშირურობებისა დარჩა, მაგრამ სინამდვილეში ეს კავშირურობა დაიწყო იმის დაგრევიტ, რაც შეიქმნა წინა წლებში როგორც სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

1921-1928 წლები იყო ამიერკავკასიის ეკონომიკური ურთიერთობების ახლებური გააზრების პერიოდი. საბაზრო ეკონომიკის პირველი ელემენტები ამყარებდა ეკონომიკურ კოსმოპოლიტიზმს ამიერკავკასიაში, მაგრამ ის არ განხორციელდა. თუ რაოდენ „ინტერნაციონალური“ იყო კერძო მეწარმეობა 1918-1928 წლებში „საქართველოში, კარგად ჩანს იმ ჩამონათვლიდან რომელიც გამოქვეყნდა წარმოებათა ნაციონალიზაციის სახით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, საქართველოს რევკომის 1921 წლის 13 ივნისის № 42 დეკრეტით ნაციონალიზირებული 76 საწარმოდან თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბაღდადში, ხაშურში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდში, აბასთუმანში, სადახლოსა და ხონში მეოთხედიც არაა ქართველების“⁷. საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა მეთოდებით: ადმინისტრაციულ-იდეოლოგიური დაწოლით გადაწყვიტა ეკონომიკური კავშირების აღდგენა-განვითარება.

1921 წ. 11 აპრილს ბაქოში შედგა ბაქოს საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელსაც დაესწრო აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების წარმომადგენლები. მოხსენებებში აღინიშნა ამიერკავკასიის მდგომარეობის საკენამო საკითხები. მიუთითეს რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა დაუყოვნებლივ გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. პირველ რიგში კი რკინიგზისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ.

ეკონომიკური კავშირები, რომელიც წარმოიშვა რესპუბლიკების ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებით, უნდა შეცვლილიყო გეგმიური კავშირურობებით: თუ სურსათით ვაჭირვება მუშებს სოფელში ერეკებოდა, უნდა განხორციელებულიყო მათი დასაქმება მრეწველობაში, რათა ეკონომიკას ეარსება⁸. „ეკონომიკა: ეკონომიკისათვის“ იყო შინაარსი, ხოლო ლოზუნგად აღებული იქნა „ეკონომიკა ადამიანისათვის“.

ბაქოს საბჭოს სხდომა დაედო საფუძვლად ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. ბაქოს საბჭოს რეზოლუციაში აღნიშნული იყო, „საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის ამიერკავკასიაში აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება, თითოეულ მათგანში ნაციონალური დამოუკიდებლობის თვითმოქმედების, ენისა და კულტურის სრული შენარჩუნებით...“⁹.

ამ დადგენილებაში უკვე გამოიკვეთა თუ რა კონცეფციას ემყარებოდა ახალი მიდგომა ეკონომიკური კავშირურობებისადმი ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მთლიანად რუსეთის სახელმწიფოში. ეს იყო სამეურნეო გაერთიანების იდეა. იდეა, რომელიც, მრავალი მოდიფიკაციით დღესაც უნდათ რომ გახდეს ერთიანი რუსული სახელმწიფოს გადამარჩენი. ამჟამად ეს

⁷ საქართველოს სახალხო მეურნეობა, 1921, № 1, გვ. 2-4.

⁸ საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობა — საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921, № 1, გვ. 10-11.

⁹ გაზეთი „პრავდა“, 1921, 20 აპრილი.

იღეა გამოდის ე. წ. „ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის“ თეზისით. არსი უცვლელია.

განისაზღვრა რა კონცეპტუალური მიდგომა საკითხისადმი, შესაბამისად გაიშალა საქმიანობა ასეთი მეურნეობრივი ერთიანობის მისაღწევად.

უპირველეს ყოვლისა აქცენტი აღებულ იქნა რკინიგზის აღდგენა-განვითარებასა და მისი მეშვეობით მეურნეობრივი კავშირების განმტკიცებისაკენ.

1921 წლის 16 აპრილს დადებული იქნა გარკვეული ხელშეკრულება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რკინიგზის გაერთიანების შესახებ.

ყველა მოხსენებულ ღონისძიების გატარება უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის ძალების შეერთებით, ურთიერთკავშირითა და დახმარებით.

1921 წლის 2 ივნისს ბაქოში მოხდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის გაერთიანება. შეთანხმებას ხელს აწერდნენ რესპუბლიკების რეკომის თავმჯდომარეები: საქართველოდან — ფ. მახარაძე, აზერბაიჯანიდან — ნ. ნარიშკინი, სომხეთიდან — ა. მისანიკოვი. შეთანხმების მიხედვით შეიქმნა სამივე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საგარეო ვაჭრობის, ექსპორტისა და სავალუტო ფონდი. მისი ძალით — ამიერიდან საგარეო ვაჭრობას ენიჭებოდა განსაკუთრებული უფლება მოკავშირე რესპუბლიკების საქონლის საზღვარგარეთის ბაზარზე გაყიდვისა და უცხოეთის ვალუტის შესყიდვისა. ამასთან, ექსპორტის ფონდი ცალ-ცალკე კი არ ჰქონდათ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, არამედ, შეიქმნა ამიერკავკასიის ერთიანი საექსპორტო ფონდი.

რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წ. ივლისის გაფართოებულმა პლენუმმა მთლიანად მოიწონა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო გაერთიანება: „კავკასია მთლიანი ეკონომიკური ერთეულია, რაც საჭიროდ ხდის შეიქმნას ერთიანი სამეურნეო გეგმა და ამით მოხდეს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანება. ვინაიდან კავკასიის რესპუბლიკები თავიანთი სოციალური წყობილებით განუყოფლად არიან დაკავშირებულნი საბჭოთა რუსეთთან. მათ ეკონომიკურად გაერთიანებულმა, უნდა შეათანხმონ და შეახმონ თავიანთი სამეურნეო მშენებლობა რუსეთის სფს რესპუბლიკების სამეურნეო მშენებლობასთან და, მით უმეტეს, რომ ამას საფუძვლად უდევს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკური ურთიერთობა“¹⁰.

ადმინისტრაციულ-გეგმიურ-ცენტრალიზებული წესით ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირთა ერთობის გაშლა არ განხორციელდა ჭეშოვნად, რადგანაც წარმოიშვა წინააღმდეგობები რესპუბლიკების მიერ სუვერენიტეტის შეზღუდვის გამო. ამ წინააღმდეგობების დასაძლევად უნდა მომხდარიყო მათი პოლიტიკური გაერთიანება.

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინმა პირადად შეიმუშავა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დადგენილების პროექტი.

1922 წ. 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულყოფილი წარმომადგენელთა კონფერენციაზე დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება — ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. ამავე პერიოდში შეიქმნა ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო.

¹⁰ გაზ. „პრავდა გრუზიი“, 1921, 13 ივლისი

გაერთიანებამ, სადაც ეკონომიკური კავშირები იყო წინა პლანზე წამოწეული შედეგი არ მოიტანა. ამ მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო გაერთიანება. ფაქტურად სახელმწიფოთა კავშირი გადაიქცა ერთ სახელმწიფოდ, ფაქტური სახელმწიფო ატრიბუტიკის მქონე რესპუბლიკებისათვის, განხორციელდა ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის გარდაქმნა ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად. 1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შემდგარი ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ მოწონებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეა და დაამტკიცა იგი. ამჟამად ყრილობაზე მიღებული იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია. სწორედ, ამ სახით, სსრ კავშირის შექმნის შემდეგ (1922 წლის 30 დეკემბერი), იგი შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ამ პერიოდთან მოყოლებული ეკონომიკური კავშირები საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ხორციელდებოდა როგორც ერთი სახელმწიფოს შიგნით, მანამ სანამ ცენტრმა არ მოახდინა მასში გამთიშველი ჩარევა. „გამთიშველი“ იმ გაგებით, რომ 1922 წლის დეკემბრის კავშირი ნელ-ნელა აქცია ერთ სახელმწიფო გაერთიანებად და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკაც მასში წარმოდგენილ იქნა, როგორც ელემენტი ერთიან მეურნეობრივ სისტემაში.

აღნიშნული პერიოდისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირითიერთობის შესწავლა გართულებულია სტატისტიკის უქონლობის გამო. მაგალითად, საგარეო ვაჭრობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ როგორც ამიერკავკასიის საერთო საგარეო ვაჭრობაზე, ხოლო ვაჭრობა საქართველოსა და სომხეთს შორის არ განიხილება, როგორც სრულფასოვანი „საგარეო ვაჭრობა“.

თავიდანვე ისე იქნა ორიენტირებული საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები, რომ იგი დამოკიდებული ყოფილიყო რუსეთზე. დროთა განმავლობაში საქართველოს გაუხნდა უარყოფითი ბალანსი უცხოეთის ქვეყნებთან. საქართველოდან ძირითადად გადიოდა მარგანეცი, ხილი, აბრეშუმის პარკი, თამბაქო; თხილი, კაკალი, ღვინო და სხვა. შემოდოდა ფართალი, ნავთი, ფქვილი, შაქარი, რკინეული და ა. შ. 1925 წლიდან იწყება გეგმიანი შემოტანები.

1923-1924 წლებში განხორციელდა კერძო კაპიტალის გამოდევნა საბითუმო ვაჭრობიდან საცალო ვაჭრობაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო კოოპერაციის ზრდის შედეგი. მაგალითად, მანუფაქტურის ვაჭრობაში თბილისში 1923-1924 წლებში კოოპერაციის საქონელბრუნვა გაიზარდა 30-ჯერ (27 640 მანეთიდან 834.970 მანეთამდე), მაშინ როდესაც სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა მხოლოდ 2-ჯერ (117.630 მანეთიდან 237.300 მანეთამდე)¹¹. აღნიშნული გარდატეხა მოხდა იმიტომ, რომ შემოღებულ იქნა მტკიცე ფული და მომხმარებლური, ჩაკეტილი გლეხური მეურნეობები იქცა საქონელმწარმოებლურად.

1922 წელს ამიერკავკასიაში შემოღებულ იქნა ერთიანი ფულის ნიშანი. გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი ემისია. 1923 წლის იანვარში შეიქმნა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

¹¹ Экономический Вестник Закавказья 1924, с. 61.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესაბამისად შეიქმნა სახალხო მეურნეობის ამიერკავკასიის უმაღლესი საბჭო და მთელი რიგი გაერთიანებები. კერძოდ, გაერთიანდა ამიერკავკასიის საფეიქრო მრეწველობა, საშენმასალათა, სატყეო, სამთო-ქიმიური მრეწველობა. დაარსდა ამიერკავკასიის მიწსახეობი, შეიქმნა ამიერკავკასიის „ტრაქტორცენტრი“, „კოლმეურნეცენტრი“, საბჭოთა მეურნეობის სამმართველო, შეიქმნა მეთესლეობის, მეცხვარეობის, მეჯოგეობის, მებაზრეუმეობის გაერთიანებები, საირიგაციო მურნეობები და ა. შ.

დაარსდა ამიერკავკასიის მასშტაბით ახალი სახალხო კომისარიატები, კერძოდ: მანამდე არსებული ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნაცვლად შეიქმნა მომარაგების ამიერკავკასიის სახკომი, „სოფხსლები“, „სოფხსმისო“ და ა. შ. ყოველივე ეს მიმართული იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკური კავშირურობის გაძლიერებისაკენ.

საბჭოთა კავშირის მოქმედება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამდე პოლიტიკის სფეროში იყო. ამიტომ ამიერკავკასიის უეს-ს 1922 წელს არ უმოქმედია. მის შესახებ ძირითადი დებულებები შეიმუშავა ამიერკავკასიის ცაკ-მა 1923 წლის 23 ივლისს და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით უეს გადაეცა ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხასიათის საკითხის გადაწყვეტის უფლება და ფაქტიურ საქმიანობას შეუდგა 1923 წლის 13 დეკემბრიდან.

უეს-მა გააერთიანა ფედერაციული ეკონომიკური სახალხო კომისარიატები და რესპუბლიკური უეს-ები. ამასთან მის შემადგენლობაში შეიქმნა შინაგანი ვაჭრობის კომისია, სანედლეულო კომისია, ამიერკავკასიის ბამბის კომიტეტი, სახელმწიფო ფონდების აღრიცხვისა და რეალიზაციის კომისია, კონცესების კომისია, ამასთან მასში შევიდა ამიერკავკასიის მასშტაბით მომუშავე ორგანიზაციები: ამიერკავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველო, ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია, ამიერკავკასიის წონისა და ზომის მთავარი კომისია.

ამიტომაც უეს-ის ორგანოებიდან რეალურ მუშაობას პირველ წლებში შინაგანი ვაჭრობისა და სანედლეულო კომისიები ეწეოდნენ. ამიერკავკასიის ცაკის მიერ 1924 წლის 29 აპრილს შეიქმნა საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც ჰყავდა თავისი წარმომადგენელი ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში.

უეს-ის მეცადინეობით მიმდინარეობდა საგადასახადო პოლიტიკის გატარება ისე, რომ 1924 წლის 29 აპრილს ამიერკავკასიის ცაკისა და სახკომსაბჭოს ერთობლივი დეკრეტით შემოღებულ იქნა სსრკ-ს საგადასახადო სისტემა.

რსფსრ უეს-ის 1924 წლის 14 აპრილის № 18 დადგენილებით ამიერკავკასიის ფულის ნიშნები გადაყვანილ იქნა მყარ კურსზე მტკიცე ვალუტაში, რითაც მათი არსებობა დასრულდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მაღალი იყო მეურნეობის ნატურალიზაციის ხარისხი, ფაქტიურად ბატონობდა „მეურნეობრივი ფეოდალიზმი“, თუ არ ჩავთვლით ბაქოს, თბილისსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებს. მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. ყველაზე მაღლა, ამ მხრივ, საქართველო იდგა. ეკონომიკურ თათბირზე 1923 წლის 1—6 მარტს აღინიშნა, რომ ქართული ნაყოფობა ბატონობს აზერბაი-

ჯანის და სომხეთის ბაზრებზე¹². გადამამუშავებელი მრეწველობა განსაკუთრებით ჩამორჩებოდა. ამიტომ ფასები სამრეწველო პროდუქციასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლებოდა. ამასთან, მრეწველობა იმ ზომით რა ზომითაც არსებობდა, მიმართული იყო უცხოეთზე, რუსეთის ბაზარსა და ქალაქებზე. ხოლო რაც შეეხება ადგილობრივ სოფლის ბაზარს, აქ ყველა საჭირო ნივთი შემოიტანებოდა. ვაჭრობის ფორმებს შორის ძლიერი იყო კერძო სექტორი. საშინაო ვაჭრობის ბალანსი იყო უარყოფითი და ამდენად არ იყო საკმარისი მყარი ვალუტა — ჩეროვონი¹³.

უეს ცდილობდა ფასების სახელმწიფო რეგულირებას. მან დააწესა ზღვრული ფასები, მაგრამ 1924 წლის 14 აპრილს უარყო ისინი ყველა საქონელზე პურის, შაქრის, მარილისა და ნავთის გარდა¹⁴.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პირველ წლებში მიმდინარეობდა კერძო კაპიტალის გამოდევნა არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ვაჭრობიდანაც.

1921 წლის მარტიდან 1922 წლის შემოდგომამდე თავისუფალი საგარეო ვაჭრობა იყო.

1922 წლის შემოდგომიდან 1923 წლის გაზაფხულამდე საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციაზე სსრკ კანონები გავრცელდა. შეიქმნა ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობა, სალიცენზიო ბიურო და საბაჟო გაერთიანება.

1923 წლიდან კი საგარეო ვაჭრობა მთლიანად დაექვემდებარა ცენტრს და კერძო კაპიტალი გამოდევნილი იქნა საგარეო ვაჭრობიდან.

ამიერკავკასიის „სოვეტიზაციის“ პერიოდში სახალხო მეურნეობის მთავარი დარგი იყო სოფლის მეურნეობა. ამდენად ბუნებრივია, რომ პირველი ეკონომიკური კავშირები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაში და ტრანსპორტით ტვირთბრუნვაში გამოიხატა.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ მთლიანად ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირთურობა გაიზარდა. ეს კარგად ჩანს ამიერკავკასიაში 1923—28 წწ. ტვირთბრუნვის დინამიკაში.

1922—1923 წწ. საქართველოდან მნიშვნელოვანი სახეობისა და რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამრეწველო საქონელი გაიტანებოდა როგორც აზერბაიჯანში, ისე სომხეთში. აზერბაიჯანში 1922 წ. გატანილ იქნა 188.700 ფუთი პური და მარცვალი, ხოლო სომხეთში 62.693 ფუთი. 1923 წელს კი შესაბამისად 17.651 და 132.512 ფუთი. ფქვილი კი აზერბაიჯანში გატანილი იქნა 1922 წელს — 36.442 ფუთი, ხოლო 1923 წელს 11.188 ფუთი. სომხეთში კი 49.540 და 60.806 ფუთი. ასეთივე დიდი რაოდენობით გაიტანებოდა: ბოსტნეული, ხილი, ტექნიკური კულტურები (ჩაი, თამბაქო და სხვა) შაქარი, მინერალური წყლები. სამრეწველო პროდუქციიდან: ფიცარი, ხამი ტყავი, მარგანიცი, სპონი, და ა. შ. ნავთობი კი გაიტანებოდა მხოლოდ სომხეთში: 1922 წ. 41.767 ფუთი და 1923 წ. 15821 ფუთი. ასევე ნავთი და ბენზინი, აგური, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ქაღალდი კი გატანილი იქნა ორივე რესპუბლიკაში მხოლოდ 1922 წელს. მოცემულ პერიოდ-

¹² Труды 1-го Закавказского экономического совещания, ч. I, с. 81.

¹³ ЭВЗ, 1924, № 1, с. 61.

¹⁴ ЭВЗ, 1924, № 3, с. 63.

ში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოიტანებოდა როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ისე სამრეწველო საქონელი. ერთი შეხედვით შეიძლება გაურკვეველობა გამოიწვიოს ერთი რესპუბლიკიდან მეორეში ერთი და იგივე პროდუქტების შემხვედრმა გატანა-შემოტანამ. სათანადო ეკონომიკური ანალიზის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ ეს აუცილებელი იყო. მაგალითად, ხორბლის, ფქვილის, ან ხილობსტნეულის შემხვედრი მოძრაობა ხდებოდა არა ერთი და იგივე დროს, არამედ სეზონურად, როდესაც, ვთქვათ, ისეთი ხილი ან ბოსტნეული, როგორცაა ვარგარი, ყურძენი, სახამთრო, ნესვი და ა. შ. საქართველოში უფრო გვიან მწიფდებოდა, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში, ამასთან ყველა ეს ოპერაცია (გატანა-შემოტანა) ხდებოდა არა სტიქიურად, არამედ წინასწარი გეგმის მიხედვით, შეთანხმებისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ხშირად სტიქიური უბედურების გამო (გვალვა, სეტყვა, ხშირი წვიმებით და ა. შ.) მეტად ზარალდებოდა ესა თუ ის რესპუბლიკა და სწორედ ამ დროს ხდებოდა ამ რესპუბლიკის დახმარება მისთვის ტრადიციული საქონლით. საქართველოდან ამ რესპუბლიკებში შეიტანებოდა ძირითადად ისეთი პროდუქტები, რაც იქ არ იწარმოებოდა, ან იწარმოებოდა ნაკლები რაოდენობით (ჩაი, თამბაქო, მინერალური წყლები, მარგანეცი და ა. შ.) სამაგიეროდ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოდებოდა ისეთი საქონელი, რაც საქართველოში არ იწარმოებოდა (ბამბა, თევზეული, ცემენტი, გათლილი ქვა, ნავთობის პროდუქტები და სხვა). ეს ტენდენცია კი გრძელდებოდა მომდევნო პერიოდში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რასაც გვემინანი ხასიათი ჰქონდა. მხედველობაში ისიც მისაღები იყო, რომ „ნების“ პირველ ეტაპზე ჯერ კიდევ მტკიცე ადგილი ეკავა კერძო სექტორს და, სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორების ზრდის კვალობაზე, იგი თანდათან განიცდიდა შემცირებას.

მართალია, ახალი ეკონომიკური პოლიტიკით დაშვებული იყო უცხოეთის კაპიტალის გამოყენება, რაც გამოიხატებოდა უცხოეთის კაპიტალის მიერ კონცესიების გამოყენებით „მაგრამ ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ვერ ჰპოვა მან ფართო გამოყენება. მხოლოდ სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს, 1925 წელს გაცემული იქნა საკონცესიოდ ჭიათურის მარგანეცი ამერიკელ ჰარიმანზე“¹⁵.

ნიშანდობლივია, რომ უკვე 1922 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდებოდა უცხოეთიდან საქონლის შემოტანა მთელ ამერიკავკასიაში. სამაგიეროდ ფართოდებოდა მისი მოცულობა სსრ კავშირიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ვაჭრობა მიმდინარეობდა უმთავრესად სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტების ხაზით. სამრეწველო ნაწარმით კი ვაჭრობას ადგილი ჰქონდა იმდენად, რამდენადაც თბილისი და ბაქო წარმოადგენდნენ ე. წ. გარეშე მხრიდან შემოტანილი საქონლის განმანაწილებელ ბაზარს¹⁶.

საქართველოდან გატანილი ტვირთი 1924-25 წ.წ. სულ უდრიდა 29144,4 ათ. ფუტს. აქედან უცხოეთში გატანილი შეადგენდა — 24.327,7 ათ. ფუტს (83,4%), რსფსრ-ში — 2871,5 ათ. ფუტს (9,9%), სომხეთში — 1254,6 ათ.

¹⁵ ი. კაკარაევა, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა აღდგენით პერიოდში, გვ. 151.

¹⁶ Григорян Г. М. Закавказье (ст.-эк. сборник) Тф., 1925, с. 471.



ფუთი (4,3%), ხოლო აზერბაიჯანში — 689,6 ათ. ფუთი (2,4%). თუ ამ ხანებში საქართველოდან გატანილი საქონლის ღირებულებას გავიანგარიშებთ მოცემული პერიოდის ფასებით, დავინახავთ, რომ იგი უდრიდა სულ 36.031,1 ათ. მანეთს. აქედან: უცხოეთის ქვეყნებზე მოდიოდა — 16104 ათ. მანეთი (45,5%), რსფსრ-ზე 15452,7 ათ. მანეთი (42,9%), ხოლო სომხეთზე — 1199,1 ათ. მანეთი (8,3%).

მაშასადამე, საქართველოდან მთლიანად გატანილი საქონლის ხვედრითი წილი აზერბაიჯანსა და სომხეთზე შეადგენდა — სულ 11,6%¹⁷. საქართველოდან აზერბაიჯანში ამ დროს შეზიდული საქონლიდან (სულ 689,6 ათასი ფუთი) პირველი ადგილი ეკავა ბოსტნეულს — 313,1 ათ. ფუთი. II ადგილი ეკავა ხილს, — 116,9 ათ. ფუთი. III — ღვინოს — 63,8 ათ. ფუთი, IV ბეტყის მასალას — 41,2 ათ. ფუთი, ხოლო დანარჩენი საგნები უმნიშვნელო რაოდენობით წარმოგვიდგებოდა. სომხეთში გატანილი საქონლიდან კი (სულ 1254,6 ათ. ფუთი), გადამწყვეტი ადგილი ეკავა შეშას — 1,1 მლნ. ფუთი, შემდეგ ბოსტნეულს — 77,8 ათ. ფუთი, ტყის მასალას — 22,7 ათ. ფუთი, ხორბალს — 13,2 ათ. ფუთი და ა. შ. აზერბაიჯანში და სომხეთში ამ დროს გატანილი საქონლის ღირებულებაში პირველი ადგილი ეკავა თამბაქოს ნაწარმს, რომელიც უდრიდა აზერბაიჯანში გატანილი თამბაქოს ნაწარმის 1,1 მლნ. მანეთს, ხოლო სომხეთში გატანილისა კი — 561,3 ათ. მანეთს (იმ დროის ჩერვონეცის მიხედვით)¹⁸.

რაც შეეხება 1924-25 წწ. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან საქართველოში შემოტანილ საქონელს, წონითა და ღირებულებით იგი ასეთ სურათს იძლეოდა:

ცხრილი № 3

საქართველოში შემოტანილი საქონლის ხვედრითი წილი 1924-25 წლებში (ფუთობით)¹⁹

ქვეყნის დასახელება	რაოდენობა		1913 წ. ფასებით		1925 წ. ფასებით	
	ათ. ფუთ.	%	ათ. მან.	%	ათ. მანეთი	%
სულ	14814,6	100	28098,5	100	64147,1	100
მათ შორის:						
1. აზერბაიჯანიდან	4994,2	33,7	4733,6	16,9	8110,1	12,6
2. სომხეთიდან	672,6	4,5	1123,5	4,0	1731,0	2,7
3. რსფსრ-დან	7300,4	49,3	18432,0	65,6	45342,0	70,7
4. არასაბჭოთა ქვეყნებიდან	1847,4	12,5	3809,4	13,5	8964,0	14,0

მოტანილი ცხრილიდან ირკვევა, რომ 1924-25 წწ. საქართველოში სულ შემოტანილი იქნა 14.814,6 ათ. ფუთი საქონელი. მ. შ. რსფსრ-დან 49,3%, აზერბაიჯანიდან — 33,7%, არასაბჭოთა რესპუბლიკებიდან — 12,5% და სომხეთიდან — 4,5%. ღირებულების მიხედვით 1924-25 წლის ფასებით, სულ 64147,1 ათ. მანეთის საქონელი. მ. შ. 70,7% მოდიოდა რსფსრ-ზე, 14% — არასაბჭოთა რესპუბლიკებზე, 12,6 აზერბაიჯანზე და 2,7 სომხეთზე.

17 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წწ. ტ. ფ. 1925, გვ. 77.

18 იქვე, გვ. 78.

19 იქვე, გვ. 84.



როგორც ვხედავთ, 1924-25 წწ. საქართველოში შემოტანილი და გატანილი საქონლის რაოდენობის მხრივ, საქართველოს უარყოფითი ბალანსი ჰქონდა მხოლოდ აზერბაიჯანთან, საიდანაც შემოტანილ იქნა 4994,2 ათ. ფუთი საქონელი და გატანილი იქნა 689,6 ათ ფუთი. საქართველოში შემოტანილი საქონლის დიდი რაოდენობა — 7300,4 ათ. ფუთი (49,3%), მოდიოდა რსფსრ-ზე. მეორე ადგილი — ეკავა აზერბაიჯანს — 4994,2 ათ. ფუთი (33,7%) მესამე ადგილი არასაბჭოთა რესპუბლიკებს, მეოთხე კი სომხეთის რესპუბლიკას.

მოცემულ პერიოდში შემოტანილი საქონლის ღირებულებითაც პირველი ადგილი რსფსრ ეკუთვნოდა (10,7%), მეორე არასაბჭოთა რესპუბლიკებს (14%), მესამე აზერბაიჯანსა და მეოთხე სომხეთს.

1924—1925 წლებში საქართველოდან გაცილებით მეტი საქონელი გადიოდა სომხეთში და აზერბაიჯანში ვიდრე იქიდან შემოდოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სულ უფრო მეტად იზრდებოდა რუსეთიდან ამიერკავკასიაში პურ-პროდუქტების შემოტანა. 1925 წელს რუსეთიდან ამიერკავკასიაში სულ შემოტანილი იქნა 223 ათ. ტონა პურ-პროდუქტები. აქედან აზერბაიჯანზე მოდიოდა 1227 ათ. ფუთი (55,4%), სომხეთზე — 359 ათ. ფუთი (16,1%), ხოლო საქართველოზე — 513 ათ. ფუთი 23,0%. დანარჩენი კი კავკასიის სხვა მხარეებზე მოდიოდა.

1925 წელს საქართველოდან აზერბაიჯანსა და სომხეთში საქონლის გატანისა და იქედან საქონლის შემოტანის შესახებ მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა: 1925 წელს საქართველოდან გატანილი იქნა აზერბაიჯანის სსრ-ში 98.986 ფუთი პური და მარცვალი, ამავე დროს აზერბაიჯანიდან შემოტანილი იყო ჩვენს რესპუბლიკაში 525.743 ფუთი პური და მარცვალი ე. ი. 426757 ფუთით მეტი. სამაგიეროდ საქართველოდან გატანილი იქნა 52781 ფუთით მეტი კომბოსტო, 17316 ფუთით მეტი ხახვი, 8235 ფუთით მეტი ვაშლი. ასევე მეტი გადიოდა აზერბაიჯანში: ღვინო, შაქარი, ჩაი, მინერალური წყალი, ტყავი, ქურჭი, რკინა, ქვანახშირი, შეშა, ხის ნახშირი და სხვა. სამაგიეროდ აზერბაიჯანიდან მეტი რაოდენობით შემოიტანეს კარტოფილი, საზამთრო, ნესვი, ქიშმიში, ზეთი, თევზეული, მარილი, ბამბის ქსოვილი, მატყლის ქსოვილი, ხის ფიცარი, ნეთობი და ა. შ.

საქართველოდან სომხეთის სსრ-ში მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა: პური და მარცვალი, კარტოფილი, ყურძენი, სპირტი, მატყლის ქსოვილი. აგური და სხვა. ხოლო იქიდან შემოდოდა უფრო მეტი რაოდენობის პური და მარცვალი, ამ წელს გაიტანეს 58.883 ფუთი და შემოიტანეს 142.970 ფუთი. კარტოფილი (შემოიტანეს — 146.903 ფუთი, გაიტანეს 5391 ფუთი), სპირტი (შემოიტანეს — 16.873 ფ. გაიტანეს — 6443 ფუთი), ასევე მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის ყურძენი, ღვინო, მატყლის ქსოვილი, აგური და სხვა საქონელი შემოჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკაში სომხეთიდან.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკური კავშირთა განვითარება აზერბაიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკასთან ასეა თუ ისე მაინც ღრმავდებოდა. ტვირთბრუნვაში დიდი როლი ამიერკავკასიის რკინიგზამ შეასრულა, რომლის საქსპლოატაციო ხაზი 1926 წელს ომაშდელ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 18,9%-ით²⁰.

ამიერკავკასიაში რკინიგზით ტვირთბრუნვა 1926-27 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომდევნო 1927-28 წელს. განსაკუთრებით პურეუ-

²⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 160.
4. ა. მ. ცნეა, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 2

ლის, ასევე ნავთობისა და ბენზინის, მარილის, რკინის ნაწარმის, მანუფაქტურის და ა. შ. გაგზავნა და მიღება.

1926-28 წლებში ამიერკავკასიიდან რკინიგზით გაგზავნეს: მარგანცის 100% საქართველოდან, ქვანახშირისა — 99%, რაც შეეხება სხვა საქონლის ტვირთბრუნვას, ის ასე წარმოგვიდგებოდა: 1926-27 წწ. შეშა გაგზავნეს საქართველოდან 74,6%, აზერბაიჯანიდან 20%, ხოლო სომხეთიდან — 5,4%, მოღვენო წელს კი საქართველოდან — 60%, აზერბაიჯანიდან — 26,9%, სომხეთიდან 13,1%. საქართველოდან ხე-ტყის საამშენებლო მასალების გაგზავნის ხვედრითმა წონამ 1926-27 წელს შეადგინა 60,3%, მომდევნო წელს კი 64,1%. შესაბამისად მთავარი საშენი მასალის ხვედრითმა წონამ 56% და 64,1%. ღვინის გატანამ — 64% და 49,9%. ხოლო პურეულის გაგზავნამ — 45,2% და 47,3%. დანარჩენი კი მიდიოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებზე. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მიღებულ ტვირთს, თუ მას 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ რკინიგზით ამიერკავკასიაში მიღებული საქონლიდან 1926-1928 წლებში საქართველოზე მოდიოდა ნავთობის 94-96%, პურეულის — 40-42%, მანუფაქტურის — 38-42%, შეშის — 37-41%, დანარჩენი კი აზერბაიჯანზე და სომხეთზე. შაქრის 77-78% მოდიოდა აზერბაიჯანზე, საქართველოზე — 16-17%, ხოლო სომხეთზე — 5-6% და ა. შ. ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიაში და მასასადამე საქართველოშიც შემოზიდული საქონლის დიდი ნაწილი, ისე როგორც მანამდე, 1926-1928 წლებშიც მოდიოდა რუსეთზე²¹.

1927-28 წელს კი რუსეთიდან ამიერკავკასიაში ტრანზიტით შემოზიდული იქნა: სულ პურის ტვირთი — 248 930 ტ. (მ. შ. საქართველოში — 85.530 ტ.); აქედან სიმინდი — 26.370 ტ. (მ. შ. საქართველოში — 22 920 ტ. ანუ 87%). ფქვილი ყოველგვარი — 139610 ტ. (მ. შ. საქართველოში — 59.060 ტ. ანუ 40%).

- დახერხილი ხე-ტყე 148 220 ტ. (მ. შ. საქართველოში — 31.940 ტ.)
- მარილი — 6510 ტ. (მ. შ. საქართველოში — 3610 ტ. ანუ 55%),
- შაქარი — 73 690 ტ. (მ. შ. საქართველოში — 578 ტ.),
- ზეთი — 2820 ტ. (მ. შ. საქართველოში — 1260 ტ. ანუ 50%),
- რკინა და თუჯი — 72.340 ტ. (მ. შ. საქართველოში — 29.310, ანუ 40%).

— მანუფაქტურა — 13.230 ტ. (მ. შ. საქართველოში — 2570 ტ.) და ა. შ. ამრიგად, 1920-28 წლებში აქტიურად იზრდება ეკონომიკური კავშირთრთიერთობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა ერთმანეთთან და რუსეთთან. ამასთან, ჩანს ტენდენცია, რომ ურთიერთკავშირი ძირითადად გამოხატული იყო საჭირო პროდუქტების გაცვლაში, ხოლო რუსეთთან კავშირთრთიერთობაში სულ უფრო ჩნდება ნიშნები საწარმოო კოოპერაციის. მრეწველობის განვითარება ამ წლებში უმნიშვნელოა და ისიც რაც ხდებოდა გამოხატული იყო არა ამიერკავკასიის სახალხო სამეურნეო კომპლექსის შექმნისაკენ, არამედ სსრკ მეურნეობრივი განვითარების სტრატეგიისათვის. სინტერესოა ისიც, რომ ამ პერიოდში საქონელგაცვლა ატარებს მრავალფეროვან ხასიათს. იგი ეფუძნება არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო ვაჭრობას. უცხოური კა-

²¹ ЗСФСР в торговле, Тф., 1929, с. 286.

²² იქვე, გვ. 288.

პიტალის მიზიდვის დიდი იმედების მიუხედავად (საკმაოდ თავისუფალი კონონმდებლობის პირობებში) ამიერკავკასიაში ფეხს იკიდებს საბჭოთა რუსეთის „ხის მანეთი“.

В. И. БЕРИДЗЕ

ЭКОНОМИЧЕСКИЕ СВЯЗИ ГРУЗИИ С ЗАКАВКАЗСКИМИ
РЕСПУБЛИКАМИ
1920—1928 гг.

Резюме

В статье дан анализ развития экономических связей Грузии с Закавказскими республиками, показаны взаимоотношения национальных хозяйств, входивших в Федерацию Республик в 1920—1928 годах.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური ისტორიის განყოფილებამ

კონომიკური რეკონსტრუქცია

საბარემო რეკონსტრუქციის განვითარების ეკონომიკური დონე და ანალიზი საბარემო ეკონომიკის პირობებში

რესპუბლიკის ეკონომიკა მწვავე კრიზისს განიცდის. იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ არსებულ მდგომარეობას ხანმოკლე პერიოდში, აუცილებელია რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადაყვანა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს პირველ რიგში სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული ეკონომიკური დონის დადგენასა და მის ანალიზს. ამის საფუძველზე პრივატიზაციის გატარებას და მეურნეობრიობის ისეთი ფორმების ჩამოყალიბებას, როგორცაა მცირე საწარმოები, ოჯახური საიჯარო საწარმოები, კოოპერატივები, ერთობლივი საწარმოები და სხვ.

კვლევის ობიექტად აღებულია გარდაბნის რაიონი, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის II ზონაში შედის და წარმოადგენს თბილისის საგარეუბნეო რაიონს. მასთან ერთად II ზონაში შედის ბოლნისის, მცხეთის, თეთრი წყაროს და მარნეულის რაიონები.

გარდაბნის ტერიტორია შეადგენს 1606,9 კვ. კმ, მოსახლეობა 111,3 ათას კაცს. ქ. თბილისიდან გარდაბანი მდებარეობს 42 კმ-ის დაშორებით.

გარდაბნის რაიონი შედგება ორი დაბისა დიდი ლილო, კოჯორი და 14 საკრებულოსაგან: აღთაქლოს, ახალი სამგორის, ახალი ულიანოვკის, ახალსოფლის, გამარჯვების, თელეთის, კალინინის, მარტყოფის, ნორიოს, სართიჭალის, ტაბახმელას, ფონიჭალის, ქესალოს, და ჯანდარისაგან. 14 საკრებულო აერთიანებს 44 სოფელს.

გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში იწარმოება 13 სახის პროდუქცია. პროდუქციის წარმოება მეცხოველეობა-მეხოსტნეობის მიმართულებითაა, შესაბამისად შეადგენს 59—30%.

სულ სხვა მდგომარეობაა რეალიზებული პროდუქციის ამონაგების სტრუქტურის მიხედვით. მეცხვარეობის პროდუქციის წარმოებაში 3,34% უკავია რეალიზებული პროდუქციის ამონაგების სტრუქტურაში კი 9,6% (აქედან მატყლი — 8,9%-ია). ბოსტნეულს პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში 30% უკავია, ამონაგების სტრუქტურაში კი შესაბამისად 15,4%. არსებული მდგომარეობის ანალიზიდან ირკვევა, რომ ბოსტნეულის წარმოება 14,6 პუნქტით აჭარბებს რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგებს ე. ი. შესაძლებელია რაიონმა ბოსტნეულის წარმოების გეგმა შეასრულოს, მაგრამ არ გააჩნდეს შემოსავალი, თუ მისი პროდუქცია ვერ გასაღდა და დროულად ვერ მივიდა მომხმარებელამდე. მართალია წარმოების გეგმას ასრულებენ, მაგრამ ხელფასთან დაკავშირებით მაინც აქვთ სიძნელენი. საქმე ის გახლავთ, რომ ახალ პირობებში შრომის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია სამეურნეო ანგარიშობრივ შემოსავალზე.

პრაქტიკულად ნათელი ხდება, რომ შიდა სამეურნეო ანგარიშს მაშინ აქვს ადგილი, როცა შრომის ანაზღაურება ხდება შემოსავლების და არა რომელიმე კერძო მაჩვენებლის საფუძველზე. ამ დროს მუშაკის შრომის სახლური დამოკიდებულება არა მარტო მოცემული მუშაკის ინდივიდუალურ, არამედ მთელი კოლექტივის საბოლოო შედეგზე და მასში მუშაკის მიერ შეტანილ წვლილზე. ასეთი მექანიზმი ადამიანში აყალიბებს საერთო საქმეზე პასუხისმგებლობის, მეურნის, მზრუნველი მეპატრონის გრძნობას. მუშაკი დანტერესებული იმითაც, თუ რა რაოდენობის რესურსებს იყენებს საწარმო, ვინაიდან მათზე დაწესებული გადასახადები ავტომატურად ზრდიან ან ამცირებენ სამეურნეო ანგარიშობრივ შემოსავალს და მამასადამე, შრომის ანაზღაურების ერთიან ფონდს, ხელფასს და მატერიალურ წახალისებას. აქედან ცხადად ჩანს, რომ საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება, შრომის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია საკუთარ შემოსავალზე, წარმოების ეფექტიანობის ამოღების ყველა მიმართულებაზე. შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე ყოველგვარი რესურსების ეკონომიკურ გამოყენებაზე, პროდუქციის ხარისხის ამოღებაზე, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასა და პროდუქციის რეალიზაციიდან ამოგებული თანხის სიდიდეზე.

იმ საიჯარო საწარმოების შემოსავალი, რომლებიც სრული სამეურნეო-ანგარიშობრივი შემოსავლის პრინციპით მუშაობენ, ყოველგვარი ნორმატივის გარეშე ნაწილდება, რაც საწარმოს საშუალებას აძლევს მოგების დიდი ნაწილი შრომის ანაზღაურებას მოახმაროს. ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება ადამიანები დაინტერესო ეს იქნება ხელფასის მაღალი შემოსავალი.

წარმოებაში აუცილებელია და მთავარია ვაწარმოთ არა მარტო ბევრი პროდუქცია, არამედ ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა და საიმედო.

მთავარი ის არის, რომ წარმოების სტრუქტურაში მეურნეობები მსხვილფეხა რქოსანი და მებოსტნეობა-მეღორეობის მიმართულებისა არიან შესაბამისად 33,7—30,7—22%, ხოლო რეალიზებული პროდუქციის ამონაგების სტრუქტურაში ეს მონაცემები შეადგენს 45,8—15,4—17 პროცენტს. აქ ორ მიმენტიან გვაქვს საქმე. ან მებოსტნეობის პროდუქციის რეალიზაცია დროულად არ ხდება და ფუჭდება, ან ჩაბარების ფასები ძალზე დაბალია და პირქით მეცხოველეობაშიც გასარკვევია მდგომარეობა, შეიძლება ჩაბარების ფასები გაზრდილია.

გარდაბნის რაიონში 1990 წლისათვის ნაწარმოები იყო ერთ სულ მოსახლეზე 44,4 კგ. მარცვლეული, მაშინ როცა ნორმა 145 კგ-ია. ბოსტნეული წარმოებულ იყო 340 კგ. ანუ ნორმასთან შედარებით 234 კგ-ით მეტი, ხილი და ყურძენი წარმოებულ იყო 40,4 კგ, მაშინ როცა ნორმა 110 კგ-ია, ე. ი. 69,6 კგ-ით ნაკლები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარდაბნის რაიონის სასოგადოებრივი მეურნეობები მეცხოველეობა-მებოსტნეობის მიმართულებისა არიან და ამ დარგებშია ნაწარმოები პროდუქცია ნორმასთან შედარებით ორჯერ მეტი იყო ერთ სულ მოსახლეზე. ამდენად, ამ პროდუქციის გატანა შეიძლება (საბაზრო ეკონომიკის პირობებში) ან ნატურით გაცვლა ისეთ პროდუქციაზე რაზედაც რაიონი ნაკლებობას განიცდის. (იხილეთ ცხრილი 1).

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში დიდი და მცირე საკითხი არ არსებობს, ყველას ერთნაირი გულისყურით უნდა მოვკვიდლოთ. ვინაიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარდაბნის რაიონი თავისი

ცხრილი 1
 პროდუქციის წარმოება გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში¹

პროდუქციის დასახელება	რაოდენობა ცენტნერი	პროდუქცია 1983 წ. შესაღარ ფასებში	იწარმოება ერთ სულ მოსახლეზე	ნორმასთან შედარებით გადახრა
მარცვლეული	49431	600586,6	44,4	-100,6
ბოსტნეული	378394	13849220	340	+234
ბალჩეული	517	8282,34	0,5	
ხილი	21124	2758791,4	19	} 40,4
ყურძენი	23874	1114677,0	21,5	
რძე	12715	6019328,3	114,24	-168,70
მსხ. რქოს. პირ. წონამატი	38491	9195884,8	34,6	
ღორის წონამატი	26409	10037628	23,7	} 60,5
ცხვრის წონამატი	2404	913856,56	2,16	
მატყლი	669	602769	0,6	
თაფლი	25	9512,75	0,022	
თევზი	24	286,70	0,021	
აბრეშუმის კია	10	473,40	0,01	
ს უ ლ		45111299,85		

ტერიტორიით რესპუბლიკის ტერიტორიის 2,3%-ს შეადგენს, მაგრამ მთლიანი პროდუქცია (1983 წლის შესაღარის ფასებში) იწარმოება 6%. აქედან რესპუბლიკის შემცენარეობის 4,4%, ხოლო მეცხოველეობის 8,3% იწარმოება გარდაბნის რაიონში.

მემცენარეობაში გამახვილებულია ყურადღება ბოსტნეულის წარმოების მიმართულებით, ხოლო მეცხოველეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მელორეობის მიმართულებით. რაც შეეხება მეცხვარეობის პროდუქციას, მცირეა და წარმოების სტრუქტურაში შეადგენს 3,34%-ს. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცხვრის სულადობით გარდაბნის რაიონი ტოლია აფხაზეთს დამატებული 12 მთიანი რაიონი ერთად (ადიგენი, ამბროლაური, ბორჯომი, ლენტეხი, მესტია, ონი, ჯავა, ცაგერი, ქედა, ხულო, შუახევი, ახალციხე). მისი ცხვრის სულადობა შეადგენს 82256 სულს, რაც რესპუბლიკის სულადობის 4,5%-ია ხოლო მთიანი რაიონების 8,4%.

რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო 46203 სული ანუ რესპუბლიკის 3,2% ხოლო ღორი 46186 სული ანუ 5%.

გარდაბნის რაიონში არენდული მუშაობის წესით წარმოებულია მემცენარეობის პროდუქციის 18 და მეცხოველეობის პროდუქციის 9%. მთლიანი პროდუქცია, ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე, წარმოებული იყო საქართველოში 3573 მან. გარდაბნის რაიონში 5007 ანუ 40%-ით მეტი, ხოლო არენდული წესით მუშაობისას 72%-ით მეტი. ცალკეულ მეურნეობებში კიდევ უფრო მეტი უპირატესობით ხასიათდება არენდული წესით მომუშავენი. ერთ საშუა-

¹ ცხრილი შედგენილია გარდაბნის რაიონის 1989 წლის წლიური ანგარიშგებების მონაცემების საფუძველზე.

ლო წლიურ მომუშავეზე მთლიანი პროდუქციის წარმოება შეადგენდა — კიროვის მეცხოველეობის მეურნეობაში 6900 მანეთს ანუ რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 93%-ით მეტს., სართიქალის მეზოსტნეობა-მევენახეობის მიმართულების მეურნეობაში 7704 მანეთს, ანუ 115%-ით მეტს ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობაში 9018 მანეთს, ანუ 192,4%-ით მეტს, თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში 6625 მანეთს, ანუ 85%-ით მეტს და ა. შ. (იხილე ცხრილი 2).

ცხრილი 2

მთლიანი პროდუქციის წარმოება (მ. შ. არენდის წესით მუშაობისას) გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში²

დასახელება	საქართველო	გარდაბანი
მთლიანი პროდუქცია, 1983 წ.		
შესადარ ფასებში	684511	40417
მათი რიცხვში:		
მემცენარეობა	41991 ¹	18560
მ. შ. არენდით	161042	3473
%	38	18
მეცხოველეობა	264600	21857
მ. შ. არენდით	45532	1930
%	17,2	8,8
მომუშავეთა საშ. წლიური რიცხვი სულ		
სოფლის მეურნეობა	191554	8072
მათ რიცხვში:		
მემცენარეობა	158119	6167
მეცხოველეობა	33435	1905
არენდით	56715	862
მთლიანი პროდუქცია ერთ საშ. წლიურ ნუშაყზე სულ	3573	5007
მ. შ. არენდით	3642	6268
სავარგული	126146 ჰა	5855
მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ ჰა. სავარგულზე	543	690
ტერიტორიის რაოდენობა	69,7 ათასი	1.609

თუ სპეციალიზაციის დონეებს დავადგენთ აღმოჩნდება, რომ მეცხოველეობაში სპეციალიზაციის კოეფიციენტი $1=0,49$, ეს ნიშნავს, რომ მეურნეობები მაღალი სპეციალიზაციის დონით ხასიათდებიან. მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებში მსხვილფეხა რქიან პირტყევს 62,5%, მელორეობას 24,1% და მეცხვარეობას 13% უკავია. რაც შეეხება მემცენარეობას, აქ სპეციალიზაციის კოეფიციენტი $კ=0,38$. ეს ნიშნავს, რომ მეურნეობები საშუალო დონით ხასიათდებიან. მემცენარეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებში ბოსტნეულს 57,2%, ტექნიკურ კულტურებს 20,5%, მევენახეობას 9% უკავია. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარდაბნის რაიონში მეც-

² ცხრილი შედგენილია წლიური ანგარიშგებებიდან.

ხოველეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეღორეობის მიმართულ-
 ბით, ხოლო მემცენარეობა ღია გრუნტის ბოსტნეულისა და მზესუმზირის მი-
 მართულებით არის დასპეციალებული. მთლიანად სოფლის მეურნეობის სპე-
 ციალიზაციის კოეფიციენტი $k=0,27$. ეს სპეციალიზაციის დაბალი დონის მა-
 ჩვენებელია (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3
 სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა და სპეციალიზაციის კოეფიციენ-
 ტები გარდაბნის რაიონში

(ათას მანეთებში)

სოფლის მეურნეობის დარგები	აბსოლუტურ ათას მან.	რეალიზებული პროდუქცია	
		სოფლის მეურნეობა %	ძირითადი დარგების %
მარცვლეული სიმინდის ჩათვლით ტექნიკური კულტურები მ. შ. სოია, მზესუმზირა, თამბაქო, შაქრის ჯარბა- ლი	587	1	3,3
ღია გრუნტის ბოსტნეული	3657	5,5	20,5
ბაღჩეული	10200	15,4	57,2
ხილი, ციტრუსი, ჩაი	11	0,02	0,06
მევენახეობა	—	—	—
დანარჩენი პროდუქცია	1570	2,4	9
	1792	2,7	10
სულ მემცენარეობის ჯამი	17817	27	100
სპეციალიზაციის კოეფიციენტი მსხვილფეხა რქოს. პირუტყვი.	30380	45,8	$k=0,38$ სა- შუალო დონე
მ. შ. წონამატი	22421		62,5
რქე	7959		
ლორი	11702	17	24,1
ცხვარი და თხა	6351	9,6	13,1
წონამატი	449		
მატყული	5902		
ფრინველი	—		
თაფლი	3		
თევზი	5		
დანარჩენი პროდუქცია	131	0,2	0,3
სულ მეცხოველეობის ჯამი	48572	73	100
სპეციალიზაციის დონე			
სულ სოფლის მეურნეობა	66389	100	$k=0,49$ (მაღალი დონე)
სპეციალიზაციის დონე		$k=0,27$ (დაბალი დონე)	

გარდაბნის რაიონის მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში 1990 წლის მდგომარეობით პირუტყვის სულადობა შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 16325 სულს მ. შ. ძროხა 7635 სულს, ღორი 6748 და ცხვარი და თხა 50810 სულს ანუ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი სულადობის 1,8—1,8 1,15—5,9 პროცენტს. ცხვრის სულადობა მეტია მთელი შიდა ქართლის ხუთი რაიონის ცხვრის სულადობაზე 2035 სულით.

სახელმწიფოზე ჩაბარებული I სულის საშუალო ცოცხალი წონა გარდაბნის რაიონში შეადგენდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 299 კგ-ს, ანუ მთიანი რაიონების 122,8%-ს, ღორის 98 კგ-ს, ცხვრისა და თხის საშუალო ცოცხალი წონა 30 კგ ანუ მთიანი რაიონების 103%-ს.

გარდაბნის რაიონში სახელმწიფოზე ჩაბარებული ერთი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ცოცხალი წონა რომ ყოფილიყო 317 კგ., როგორც ბოვანოვკის რაიონშია, მაშინ რაიონი 21259 სულის მაგიერ სახელმწიფოს ჩააბრებდა 20064 სულს და ეკონომია იქნებოდა 1195 სული, ანუ ჩაბარებული სულადობის 6 პროცენტი. ამ რაოდენობიდან შესაძლებელი იქნებოდა მიგველო 870 ხბო და 1740 ტონა რძე (განგაარიშება გაკეთებულია არსებული პროდუქტიულობის მაჩვენებლებით).

ასევე, თუ სახელმწიფოზე ჩაბარებული ღორის საშუალო ცოცხალი წონა იქნებოდა 98 კგ-ის მაგიერ 131 კგ. როგორც თიანეთის რაიონშია, მაშინ 31459 სულის მაგიერ გარდაბანში ჩააბარებდნენ 23431 სულ ღორს ანუ 8028 სულით ნაკლებს. ეკონომია იქნებოდა ჩაბარებული სულადობის 74,5%-ით, რაც შეადგენს 275314 გოჭის დამატებით შემოსავალს. ხოლო ცხვრის სულადობის საშუალო ცოცხალი წონა თუ იქნებოდა 30 კილოგრამის მაგიერ 40, როგორც ადიგენის რაიონშია, მაშინ სახელმწიფოს 9796 სულის მაგიერ ჩააბარებდნენ 7420 სულ ცხვარს, ეკონომია იქნებოდა 2376 სული ანუ ჩაბარებული სულადობის 25%. ეს კი დამატებითი შემოსავალი იქნებოდა 2328 ბატყისა და 4652 კგ მატყლისა.

როგორც საქართველოს ყველა რაიონი, ასევე გარდაბანიც, ვერ იქნა დაზღვეული პირუტყვის დაცემისაგან. 1989 წელს დაეცა 1115 სული ყველა ასაკის ღორი, რომელიც 22 მთიანი რაიონში დაცემული სულადობის 32%-ია, 4 თვემდე ასაკის გოჭები დაეცა 637 სული ანუ 85%, ყველა ასაკის ცხვარი და თხა დაეცა 117 სული, ანუ მთიანი რაიონებში დაცემული პირუტყვის 8%, როგორც ანალიზიდან ჩანს, პირუტყვის გაფართოებულ აღწარმოებას აბრკოლებს არა მარტო დაბალნაყოფიერება, არამედ ცხვრის, თხის და ღორის დიდი სიკვდილიანობა, რაც გამოწვეულია მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და პირუტყვის გაჭირვებული მოვლა-პატრონობით. საერთოდ ცნობილია, რომ პირუტყვის ცუდი მოვლა ამცირებს არა მარტო პროდუქტიულობას, არამედ იწვევს ცხოველთა დიდ სიკვდილიანობას, განსაკუთრებით მოზარდეულისას. რომლებიც ადვილად ავადღებინ და იხოცებიან. პირუტყვის დიდი დანაკლისი იმითაცაა გამოწვეული, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

ამრიგად, პირუტყვის (ცხვრისა და ღორის) დანაკლისი სხვა მიზეზებთან ერთად ახსნილი უნდა იქნეს იმით, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ცხვრის სულადობის გაღვივების საქმეს. საზოგადოებრივ მეურნეობებში ღორისა და ცხვრის ასეთი დიდი სიკვდილიანობა, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით აკლებს რესპუბლიკას ხორცსა და მატყლს და გარდაბნის რაიონს ფულად შემოსავალს.

პირუტყვის შემცირება გამოწვეულია დაბალი ნაყოფიერების პირუტყვის სახელმწიფოზე ჩაბარებითა და იძულებით დაკვლით. როგორც ზემო აღნიშნულის ანალიზიდან ვიკრავ, გაყიდული და სახელმწიფოზე ჩაბარებული პირუტყვის ცოცხალი წონა საერთოდ მცირეა, ეს უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ პირუტყვს გაუსუქებლად აბარებენ სახელმწიფოს, ეს კი ზარალიანია, არა მარტო მეცხოველეობის განვითარებისათვის არამედ მთელის საზოგადოებისათვის, რადგან მათ აკლდებათ სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტი, როგორც ღორისა და ცხვრის ხორცი და მატყლია.

სულაღობის ასე განუკითხავად ხელყოფას მოწმობს ერთი წლის განმავლობაში 1990 წლის იანვრისათვის სულაღობის ასეთი შემცირება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულაღობა შემცირდა 4712 სულით, მ. შ. ძროხა 1023 სული, ღორი 4266, ცხვარი და თხა 3006 სული, ცხენი 14 სულით.

ზემთით აღნიშნული მიგვიანიშნებს კიდევ იმაზე, რომ ბუნებრივი ნამრავლი ვერ უზრუნველყოფს პასავალს.

მეცხოველეობის პროდუქციის გადიდება და წარმოების ეფექტიანობის ზრდა გარდაბნის რაიონის მეცხოველეობის მეურნეობის საპრობლემო საკითხს წარმოადგენს.

საკარმიდამო მეურნეობებში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების რეზერვები თითქმის ყველა სოფელში არსებობს ოჯახური იჯარის სახით და გლეხური მეურნეობების გზით.

მაგალითად, მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ საშუალო წლიურ მომუშავეზე იჯარის წესით მუშაობისას სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის მეურნეობაში შეადგენს 7704 მანეთს, ხოლო ჩვეულებრივი წესით მუშაობისას ეს მაჩვენებელი 3355 მანეთია და 4349 მანეთით ნაკლები. შესაბამისად, ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობაში 9018 მანეთი ანუ ჩვეულებრივი წესით მუშაობისასთან შედარებით 5899 მანეთით მეტი, კიროვის მეცხოველეობის მეურნეობაში 6900 მანეთი ანუ 1327 მანეთით მეტი და ა. შ.

მოვახდინეთ 24 მეურნეობის დაჯგუფება ეკონომიკური დონის ნიშნის მიხედვით. ანალიზიდან აღმოჩნდა, რომ დაბალი ეკონომიკური დონის მქონე მეურნეობები ზარალიანი არიან და პირიქით მაღალი ეკონომიკური დონის მქონე მეურნეობები რენტაბელურნი.

პირველ ჯგუფში, როგორც აღნიშნეთ, გაერთიანდნენ მეურნეობები, რომელთა ნამუშევარ კაცდღეზე შოდის 1-დან 8 მანეთამდე შემოსავალი, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის გაჩიანის მერძეეობა-მებოსტნეობის მეურნეობა, რომლის ეკონომიკური დონე უდრის 19%, რენტაბელობის დონე — 22%-ია, კიროვის მეცხოველეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 17% რენტაბელობის დონე -18%, სამგორის მევენახეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 22%, რენტაბელობის დონე -6,8% სართიჭალის მეცხოველეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 18%, რენტაბელობის დონე -25%, ლილოს მევენახეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 26% რენტაბელობის დონე —21,6%, გამარჯვების მერძეობა მებოსტნეობის ეკონომიკური დონე 50,4% რენტაბელურობის დონე — 9%. კუმისის მებოსტნეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 46% რენტაბელობა — 6% კრწანისის მებოსტნეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 10% რენტაბელობის დონე — 16,6%.

მეორე ჯგუფში, ერთიანდებიან მეურნეობები, რომელთა ნამუშევარ კაცდღეზე შოდის 9 მანეთიდან — 25 მანეთამდე მთლიანი შემოსავალი. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსი, სადაც ერთ ნამუშე-

ვარ კაცდღეზე 17,8 მან. მთლიანი შემოსავალი მოდის. აქ მეურნეობის ეკონომიკური დონე უდრის 182%, ხოლო რენტაბელობის დონე +19%, გარდაბნის მებოსტნეობის მეურნეობაში შესაბამისად 24,98 მან, ეკონომიკური დონე 188%, რენტაბელობის დონე +22,5%, ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობაში ერთ ნამუშევარ კაცდღეზე მთლიანი შემოსავალი 12,07 მან. ეკონომიკური დონე 123%, რენტაბელობის დონე +9,3%, რუისის მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობაში შესაბამისად 9,30 მან. ეკონომიკური დონე 96% რენტაბელობის დონე +7,7%.

ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეურნეობებში, სადაც იჯარული წესით მუშაობენ, მიუხედავად დაბალი სპეციალიზაციის დონისა, მაინც რენტაბელურნი არიან. მაგალითად, ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობა, რუისის მეცხოველეობის მეურნეობა და ა. შ.

გარდაბნის რაიონში მთლიანი შემოსავალი ერთ ნამუშევარ კაცდღეზე მერყეობს 1,64 მანეთიდან (კიროვის მეცხოველეობის მეურნეობა) — 24,98 მანეთამდე (გარდაბნის მებოსტნეობის მეურნეობა). პირველი — 1,64 მან. ნაკლებია მეურნეობების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 6,19 მანეთით, ხოლო მეორე მაჩვენებელი — 24,98 მან. შესაბამისად მეტია 16,15 მანეთით და არის რენტაბელური მეურნეობა, ეკონომიკური დონე უდრის 188%. ხოლო კიროვის მეცხოველეობის მეურნეობის ეკონომიკური დონე 16,8% და არის ზარალიანი მეურნეობა, შესაბამისად შრომის ანაზღაურება შეადგენს გარდაბნის მეურნეობაში 2763 მანეთს, ხოლო კიროვის მეურნეობაში 2210 მანეთს.

რამ განაპირობა კიროვის მეურნეობაში შრომის ასეთი მაღალი ანაზღაურება?... ფასდანამატმა, რომელიც 646 ათასი მანეთია, რაც მთელი ფასდანამატის 8538 ათასი მანეთის 8%.

ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს ოჯახური იჯარის ინდივიდუალურ-ოჯახური, ოჯახურ-ბირგადული და ოჯახურ-მეურნეობრივი ფორმები ან გადავიდნენ გლახურ მეურნეობებზე ან შექმნან მცირე საწარმოები ისეთი ზარალიანი მეურნეობების ზაზაზე, რომელნიც მიღებული ფასდანამატის წყალობით იძლევიან ხელფასს. ასეთთა რიცხვს გარდაბანში უმეტესი მეურნეობები ექვემდებარებიან.

გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მუშაკთა საშუალო თვიური ანაზღაურება მერყეობს 46,5 მანეთიდან (კრწანისის მებოსტნეობის მეურნეობა) — 230 მანეთამდე (გარდაბნის მებოსტნეობის მეურნეობა). ერთი მუშაკის საშუალო თვიური ანაზღაურება 558 მანეთიდან — 2763 მანეთს ანუ 2205 მანეთით მეტს შეადგენს. შესაბამისად ერთ ნამუშევარ კაცდღეზე მთლიანი შემოსავალი შეადგენს 0,2 მანეთიდან — 24,98 მანეთს. ეს დიდად დამაფიქრებელი ფაქტია, ერთ რაიონში ერთდროულად ბუნებრივი პირობებში, ერთი დასპეციალების (მებოსტნეობა) მეურნეობები ასეთი განსხვავებული მაჩვენებლებით.

გარდაჭნის რაიონში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მიღებულია ფასდანამატი 1989 წლის განმავლობაში 8538 ათასი მანეთი. ეს დაბალი რენტაბელობის ფასდანამატია. ფასდანამატის განაწილება მერყეობდა რაიონის მეურნეობობს შორის 85 ათასი მანეთიდან (სამგორის მევენახეობის მეურნეობა) — 2160 ათასი მანეთამდე (კრწანისის მელიორეობის კომპლექსი) შესაბამისად ერთ ნამუშევარ კაცდღეზე მთლიანი შემოსავალი სამგორში 3,53 მან. და კრწანისის მელიორეობის კომპლექსში 13,70 მან. არსებობდა ისეთი უარყოფითი პრაქტიკა, როცა ფასდანამატით წლის ბოლოს უფარავდნენ ზარალს. თუ ფასდანა-

მატი დაბალი რენტაბელობისა იყო მაშინ წინა წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგით ეძლევა ე. ი. წლის დასაწყისიდან, რომ მისცემოდა ეს თანხა მეურნეობას, მაშინ მას უფრო ეფექტიანად გამოიყენებდა. მაშ რას ნიშნავს 2 მილიონი ფასდანამატი ერთი წლის განმავლობაში მისცე ერთ მეურნეობას და ფასდანამატის მოქმედებით მხოლოდ 10,3% იყოს რენტაბელობის დონე, მაშინ, როცა ვარკეთილის მეურნეობაში გაცემული 379000 მან. ფასდანამატის მოქმედების შედეგად რენტაბელობის დონე უდრის 40,8% და ფასდანამატის გამოკლებით 9,3%. ამ მეურნეობაში მოქმედებს საიჯარო კოლექტივები და მათაც საგრძნობლად გააუმჯობესეს ეკონომიკური მაჩვენებელი, აქ ერთ საშუალო წლიურ მომუშავეზე იჯარული წესით მუშაობისას წარმოებულა 9018 მანეთის მთლიანი პროდუქტია. ეკონომიკური დონე შესაბამისად ტოლია 132 და 123,4 პროცენტისა, საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 190 მანეთს და მთლიანი შემოსავალი ერთ ნამუშევარ კაცდღეზე 17,57 მანეთია, ხოლო ფასდანამატის გამოკლებით 12,07 მანეთი.

გარდაბნის რაიონში ფასდანამატი არ მიუღია ჯანდარის მერძევეობა-მეზოსტენობის მეურნეობას, გარდაბნის მეზოსტენობის, რუისბოლოს მერძევეობის, მარტყოფის მეზოსტენობა-მეხილეობის, კარაჯღარის მეხილეობის, დაკაპანახჩინისკის მეზოსტენობის მეურნეობებს, მთლიანი 8538 ათასი მანეთი გაუნაწილდა 18 მეურნეობას. ამ თანხის 6,7% ანუ 569 ათასი მანეთი მეცხოველეობის ფასდანამატია, რომელიც მიიღო ოთხმა მეურნეობამ. კერძოდ, ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობამ 210 ათასი მანეთი, სართიჭალის მეზოსტენობა-მევენახეობის 33 ათასი მანეთი, ლილოს მევენახეობის 290 ათასი მანეთი და კუმისის მეზოსტენობის მეურნეობამ 36 ათასი მანეთი.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა საგარეუბნო მეურნეობა უნდა მუშაობდეს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით. ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეურნეობებს უნდა ჰქონდეს უნარი თვით ანაზღაურებით იმუშაოს და შექმნას დაგროვების ფონდი თვითდაფინანსებისათვის. შესაძლებლად მიგვაჩნია პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით განვითარდეს საიჯარო მეურნეობები, შეიქმნას მცირე საწარმოები, რომელიც შუალედი რგოლი იქნება ბაზარსა და მოსახლეობას შორის, ბაზრის დეფიციტური ადგილების შესავსებად.

კ. მ. ციკლაური

ЭКОНОМИЧЕСКИЙ УРОВЕНЬ И АНАЛИЗ ПРИГОРОДНЫХ РАЙОНОВ ПРИ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ

Резюме

В статье проанализирован материал по сельскому хозяйству пригородных районов г. Тбилиси и Рустави в переходный период на рыночную экономику. В частности, установлен экономический уровень, коэффициент специализации, рентабельность и проведен их анализ.

Поставлен вопрос о ликвидации убыточных хозяйств и организации на их базе малого бизнеса.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ინსტიტუტის აგრარული ეკონომიკის განყოფილებამ

აბელ ჩანტლაძე

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ფინანსები

საქართველოს რესპუბლიკა თავისი ისტორიული განვითარების რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. მიმდინარეობს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის მწვავე პროცესი. ირღვევა ძველი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ხოლო ახალი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფინანსური მეურნეობისა და ფულადი მიმოქცევის განმტკიცება, საკუთარი ფულის ერთეულის გამოშვება და სხვ.

წარსული გამოცდილების განზოგადოება და გამოყენება ხელს შეუწყობს და დაჩქარებს ეკონომიკური რეფორმის გატარებას, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის აღდგენას.

ფინანსურ რესურსებს და მტკიცე ფულად მეურნეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების დონისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ამაღლებისათვის.

თბილისის ბიუჯეტი ყოველთვის დეფიციტური იყო. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისში მიმოქცევაში იყო პოლანდიური ჩერვონეცი, რომლის კურსი დაცემული იყო. 1802 წლის 12 ივლისის თარიღით გენერალ-პროკურორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში გრაფი მუსინ-პუშკინი აღნიშნავდა, რომ თბილისში ჩერვონეცის კურსი დაეცა 3 მან. 50 კაპიკიდან — 2 მ. 60 კაპიკამდე, რის გამოც „როგორც ჯარი, ისე ყველა, ვინც ჯამაგირს ღებულობს ჩერვონეცებით, ზარალობს კურსზე თითქმის ერთ მესამედს“-ო!

...სომეხმა ვაჭრებმა და ზარაფებმა, „ბანკირებმა“, რომლებიც მაშინდელი თბილისის პლუტოკრატებს წარმოადგენდნენ, გამოიწვიეს ბაზარზე საქონლის ხელოვნური გაძვირება, რის შედეგადაც დაეცა პოლანდიური ჩერვონეცის კურსი, ხოლო ქართული ვერცხლის ფული სავსებით გაჰქრა ტრიალიდან. ზარაფებმა მიატოვეს ვერცხლით ჩერვონეცების დახურდავება¹. ამრიგად, როგორც პოლანდიური ჩერვონეცი, ასევე ქართული ვერცხლის ფულის კურსი დაცემული იყო.

ა. პუშკინი, რომელიც თბილისს ესტუმრა 1828 წელს, წერს: „თბილისში გამაკვირვა ფულის სიიფემ, გავიარე ეტლით ორი ქუჩა და ნახევარი საათის შემდეგ გავათავისუფლე, იძულებული გავხდი გადამეხადა 2 მანეთი ვერცხლით. პირველად მეგონა, რომ მას უნდოდა ესარგებლა ახლად მოსულის უცოდინარობით, მაგრამ მიიხრეს — სწორედ ამდენი ღირსო. სხვა ყველაფერიც ასევე

¹ პ. გუგუშვილი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა/კავკასიაში მე-19 საუკუნეში, 1937 წ. გვ. 20.

² იქვე, გვ. 18.

ძვირია. ჩვენ მივედით გერმანელთა კოლონიაში და იქ ვისადილეო. დავლიეთ ხელოვნურად ვაკეთებული ლუდი, მეტად არასასიამოვნო გემოსი და გადავიხადეთ ძლიერ ძვირი ძლიერი ცუდი სადილისათვის³. ეს მდგომარეობა ფულის ტრიალის დარგში გაგრძელდა თბილისში საბჭოური ხელისუფლების დამყარებამდე. სურსათზე და სამომხმარებლო საგნებზე ფასები 1914 წელს გადიდდა 1906 წელთან შედარებით 16,1%-ით; 1914 წელს, რომლის მეორე ნახევარში იფეთქა მსოფლიო ომმა, ფასებმა აიწია 1906 წელთან შედარებით 23,4%-ით. 1915 წელს ომის გავლენით ფასები სწრაფად გაიზარდა (64,4%), კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება 1916 და 1917 წლებში. 1917 წლის იანვარში რევოლუციის წინა პერიოდში, 1906 წლის საშუალო ფასებთან შედარებით, სამკერ გადიდდა ფასები სამომხმარებლო და სხვა საგნებზე (239,5%).

მსოფლიო ომმა მოშალა ქვეყნის ეკონომიკა და სახალხო მეურნეობამ ნგრევა განიცადა. ამ საშინელი ომის შედეგებს განიცდიდა თბილისიც. რევოლუციის შემდეგ ეკონომიური კრიზისი და სიძვირე, რაც გამოიწვია მსოფლიო ომმა, თანდათან იღებდა ფართო ხასიათს. 1917 წელს, 1913 წელთან შედარებით, საქონელი გაძვირდა 4,8-ჯერ.

1918 წლის იანვარში თბილისში საცალო ფასების საერთო დონე 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 17,6-ჯერ, სამრეწველო საქონელზე ფასები გაიზარდა მხოლოდ 9,7-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე — 26,3-ჯერ⁴.

თბილისის ნუსხა ყოველ წელს დეფიციტური იყო, ხოლო ეს უკანასკნელი თანდათან იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 1875 წელს ქალაქის შემოსავალთა და ხარჯთა ნუსხას დეფიციტი ჰქონდა 14.500 მანეთი. 1900 წელს — 17.541 მანეთი და 63 კაპ., 1903 წელს — 27.588 მან. და 05 კაპ., ხოლო ქალაქის დეფიციტი 1904-1908 წ.წ. შეადგენდა 1.733.667 მან. და 70 კაპ.

თბილისში შემოსავალთა და ხარჯთა ნუსხის ხარჯი ერთ სულზე ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთის სხვა ქალაქებში. სავალდებულო ხარჯი, რომლის დაკმაყოფილება ხდებოდა, შეადგენდა მთელი ხარჯთა ნუსხის 19,7%-ს. სავალდებულო ხარჯებს ეკუთვნოდა პოლიციის შენახვა, საბინაო გადასახადი, მთავრობის დაწესებულებების შენახვის ხარჯებში მონაწილეობა და გადასახადების გადახდა. თავისი სიდიდით თბილისში ყველაზე დიდი იყო პოლიციის შენახვის ხარჯები (11%).

თბილისის თვითმმართველობამ ხელოვნურად დაბალანსებული 1911 წლის ნუსხა წარუდგინა ქალაქის სათათბიროს შემოსავლების ნაწილში 2.213.767 მანეთის რაოდენობით, ხოლო ხარჯების ნაწილში 2.213.762 მანეთის რაოდენობით. მაგრამ ქალაქის სათათბირომ თვითმმართველობასთან ერთად კიდევ უფრო გაზარდა ხელოვნურად ნუსხის შემოსავალი და ხარჯები. ნუსხა მიღებულ იქნა შემოსავლისა და ხარჯების ნაწილში 3.126.108 მანეთის რაოდენობით.

დამტკიცებული შემოსავლითა და ხარჯთა ნუსხით შემოსავლის მთავარ მუხლს წარმოადგენდა უძრავი ქონებიდან მოსაკრებელი 1.463.201 მანეთის რაოდენობით, ხოლო ხარჯებში, ქალაქის პოლიციის შენახვის ხარჯები — 1.101.649 მანეთის რაოდენობით, ე. ი. მთელი ნუსხის ხარჯების 35,2%.

სახალხო განათლებაზე გათვალისწინებული იყო 349,742 მანეთი ანუ მთე-

³ А. С. Пушкин, Сѣб. соч. т. V, М., 1949 г. с. 449-450.

⁴ Закавказский Финансово-статистический сборник 1918—19 23 г. Тб., 1924 г. 2, № 1.

ლი ხარჯების 11,1%. საზოგადოებრივ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებული იყო 21.235 მანეთი, ე. ი. მთელი ხარჯების 0,6%. ამრიგად ქალაქის პოლიციის შენახვაზე ხარჯებოდა 24,1%-ით მეტი, ვიდრე განათლებაზე და 34,6%-ით მეტი, ვიდრე საზოგადოებრივ უზრუნველყოფაზე.

ქალაქის დებულების თანახმად 1912 წლის ნუსხის ხარჯების ნაწილში შეტანილ იქნა ქალაქის ხაზინის ნარჩენები პოლიციის შენახვაზე. 1912 წლის 1 იანვრისათვის ეს ნარჩენები საურთან ერთად შეადგენდა 1.080.221 მანეთს და 28 კაპიკს. გარდა ამისა ქალაქის სალაროს ჰქონდა აგრეთვე 1911 წლის 1 იანვრის დეფიციტის ვალდებულება 685.885 მანეთის რაოდენობით. ეს მდგომარეობა, ერთის მხრივ, ქალაქის სათაბიროსათვის არ შეიძლება ყოფილიყო მოულოდნელი. ქალაქის თვითმმართველობამ ჯერ კიდევ 1911 წლის ნუსხის წარდგენის დროს აღნიშნა, თუ რამდენად ძნელდებოდა წლით-წლით ნუსხის შედგენა და აღნიშნავდნენ, რომ ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ბიუჯეტური უფლებებისა და ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის რეფორმის გატარება.

1912 წლის მთელი ხარჯების საერთო თანხა პოლიციის ვალის ჩათვლით, შეადგენდა 3.465.487 მანეთს, ხოლო შემოსავალი 1.698.321 მანეთს. ამრიგად ფაქტიური დეფიციტი 1912 წელს შეადგენდა 1.767.166 მანეთს. ქალაქის თვითმმართველობამ ნუსხის პროექტის, როგორც შემოსავლის, ისე ხარჯებში ცვლილებების შეტანის შემდეგ ქალაქის სათაბიროს წარუდგინა ნუსხის პროექტი შემოსავლის ნაწილში 1.854.000 მანეთის, ხოლო ხარჯებში — 2.319.000 მანეთის რაოდენობით.

ყველა შემოსავალი დაყოფილი იყო სამ ჯგუფად. შემოსავალი ცალკე ჯგუფების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა.

ცხრილი 1

თბილისის შემოსავალი 1912 წ. (მანეთებით)

	შემოსავლის დასახელება	შემოსავლის თანხა	% % საერთო შემოსავალთან
1	შეფასებითი მოსაკრებელი	682.713	36,82
2	ქალაქის საწარმოებიდან მოგება	369.671	19,94
3	სხვა შემოსავალი	801.616	43,24
	ს უ ლ	1.854.000	100.0

როგორც ჩანს, მთავარი შემოსავლის წყაროა მე-3 ჯგუფი — 43,24%, რომელიც ძირითადად გულისხმობს შემოსავალს მოსახლეობიდან გადასახადების სახით და ქალაქის დახმარებას და ხარჯების დაბრუნებას.

შემოსავლის მეორე წყაროა შეფასებითი მოსაკრებელი 36,82%, ხოლო თავისი ხვედრითი წონის მიხედვით მესამე ადგილზეა შემოსავალი საწარმოებიდან — 19,94%.

5 თბილისის 1912 წლის შემოსავლისა და ხარჯთა ნუსხა (თბილისის არქივი, ფონდი 1, საქმე 80, გვ. 7).

ხარჯები 1912 წ. ცალკე მუხლების მიხედვით შემდეგია⁶

ცხრილი 2. (მანეთებში)

	ხარჯების დასახელება	ხარჯების თანხა	% % საერთო ხარჯები
1	სავალდებულო ხარჯები ⁷	432.276	18,3
2	ქალაქის ვალი	338.916	14,6
3	ქალაქის კეთილმოწყობა	290.940	12,5
4	სახალხო განათლება	313.675	13,5
5	სამედიცინო, ვეტერინარული და სანიტარული	329.815	14,6
6	კანცელარიის პირადი შემადგენლობა, თვითმმართველობა, ბუხალტერია, იურისკონსულტის ნაწილი, არქიტექტურის ნაწილი და სავაჭრო პოლიცია	148.540	6,4
7	საწარმოები	273.162	11,7
8	სხვადასხვა ხარჯები	191.676	8,4
	ს უ ლ	2.319.000	100

ამრიგად, 1912 წლის ნუსხის პროექტის დეფიციტი შეადგენდა 465.000 მანეთს. ქალაქის ხარჯებს შორის, როგორც ყოველთვის, ყურადღებას იპყრობს სავალდებულო ხარჯები და აგრეთვე ქალაქის ვალის გადახდა, ხოლო ქალაქის კეთილმოწყობაზე გათვალისწინებულია ნუსხის მინიმალური თანხა.

ზემოთ განხილული 1912 წლის ნუსხის პროექტი თვითმმართველობამ წარუდგინა ქალაქის სათათბიროს დასამტკიცებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ნუსხის დამტკიცების პერიოდში ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის რეფორმის პროექტი უკვე შეტანილი იყო სახელმწიფო სათათბიროში, რომელაც ითვალისწინებდა 150.000 მან. ახალ შემოსავალს. გადრა ამისა იმ იმედით, რომ გამოშვებული იქნებოდა სიპოტეკო სესხი, 1912 წლის ნუსხა ფორმალურად იქნა დაბალანსებული და დამტკიცა სათათბირომ შემოსავლისა და ხარჯების ნაწილში 2.583.533 მანეთის რაოდენობით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1911 წლის ნუსხა დამტკიცებულ იქნა შემოსავალსა და ხარჯების ნაწილში 3.126.108 მანეთის რაოდენობით. ამრიგად 1912 წელს ქალაქის შემოსავალი და ხარჯები შემცირდა 542.575 მანეთით, ე. ი. 17,3% -ით. ქალაქის თვითმმართველობა, 1913 წლის ნუსხის პროექტის შედგენის დროს, აღმოჩნდა იმავე პირობებში, როგორც 1912 წელს, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ქალაქის მთლიანი მმართველობის რეფორმის შესახებ არ გამართლდა. სავალდებულო ხარჯები, რაც დაკისრებული ჰქონდა ქალაქის მუნიციპალურ სალაროს, მნიშვნელოვნად ამძიმებდა ქალაქის ნუსხას.

1913 წელს თვითმმართველობის მიერ შედგენილ ნუსხის პროექტს ჰქონდა დეფიციტი 490.000 მანეთამდე, იმ შემთხვევაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნარჩენებს შემოსავლის ნაწილში და ხარჯებში ქალაქის პოლიციის

⁶ თბილისის 1912 წლის შემოსავლისა და ხარჯთა ნუსხა (თბილისის არქივი, ფონდი 1, საქმე 80, გვ. 8).

⁷ სავალდებულო ხარჯებში ძირითადად შედიოდა პოლიციის შენახვის ხარჯები.

ვალს. მიუხედავად აღნიშნულისა, ქალაქის ნუსხა დაბალანსებულ იქნა 2852.690 მანეთისა და 59 კაპიკის რაოდენობით, ე. ი. 1912 წლის ნუსხასთან შედარებით ხელოვნურად გაიზარდა 269.157 მანეთის რაოდენობით. ნუსხის შემოსავლის ნაწილის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია ძირითადად შეფასებითი მოსაკრებლიდან შემოსავლების ზრდამ შედარებით 1912 წელთან 224.286 მან. და 26 კაპ. რაოდენობით, რაც უნდა მოეცა 1910—1912 წლების შეფასებითი მოსაკრებლის გადაანგარიშებს.

გუბერნიის საკრებულომ (სახელმწიფო დაწესებულება) ნუსხის უდფიციტოდ დაბალანსებისათვის აუცილებლად ცნო შემოსავლის ნუსხაში შეეტანა ნარჩენები შეფასებითი მოსაკრებლიდან 49.313 მანეთი და 66 კაპ. და სხვადასხვა შემოსავლის მუხლებიდან — 15.000 მანეთის რაოდენობით. გარდა აღნიშნულისა გუბერნიის საკრებულომ 1913 წლის ქალაქ თბილისის შემოსავლისა და ხარჯთა ნუსხა, რიგი ცვლილებების შეტანის შემდეგ, დაამტკიცა შემოსავლისა და ხარჯების ნაწილში 3.128.624 მანეთისა და 25 კაპიკის რაოდენობით.

ამრიგად თბილისის თვითმმართველობის რომელი წლის ბიუჯეტიც არ უნდა განვიხილოთ, დავინახავთ, რომ ის ტიპურია ბურჟუაზიული ქვეყნების ქალაქების ბიუჯეტისა, რომ მისი ხარჯების უდიდესი ნაწილი არამწარმოებლურია და ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილი იხარჯება სასოგადოებრივ უზრუნველყოფაზე მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაზე.

10-იანი წლების დასასრულს ქალაქ თბილისის ფინანსური მეურნეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ფულის გაუფასურება და ფასების ზრდა მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას, ქალაქის სათათბიროსა და თვითმმართველობის გაერთიანებულმა საკრებულომ, 1918 წლის ნუსხის განხილვის დროს, აღნიშნა ის ფაქტი, რომ ნუსხის დაბალანსება შეუძლებელია, რომ მისი დაბალანსება უდფიციტოდ მოხდება მხოლოდ ფორმალურად. ამ პერიოდში თბილისის ბიუჯეტის დეფიციტმა ქრონიკული ხასიათი მიიღო.

ქალაქის შემოსავლის ზრდის მიზნით, გადიდდა გადასახადები და ტრამვაის, აბანოს, ელექტროსადგურის და წყალსადენის ტარიფები, გადიდებულ იქნა საავადმყოფოებში ავადმყოფების შენახვის განაკვეთები.

თანდათან დიდდება ქალაქის საწარმოების დეფიციტიც, რაც, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო სათბობის, მექანიკური მოწყობილობის და სხვა მეურნეობრივი ხარჯების ფასების გადიდებით.

1918 წლის ნუსხის დაბალანსებისათვის ნუსხიდან ამოღებულ იქნა ქალაქის მეურნეობისათვის განკუთვნილი სახსრები, მაგალითად, ქვაფენილების რემონტისათვის 120.000 მანეთი, ქუჩების მოწესრიგებისათვის 80.000 მანეთი და ა. შ.

ნუსხის შემოსავლის ნაწილში შეტანილ იქნა ნარჩენები. ისე, როგორც ჩვენს მიერ განხილული წარსული წლების ბიუჯეტის დაბალანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა სესხები, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ აღნიშნულ შემოსავლის წყაროს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის.

ამრიგად ქალაქის გაერთიანებულმა საკრებულომ 1918 წლის ნუსხა მიიღო შემდეგი სახით (მანეთობით) იხ. ცხრილი № 3.

ნუსხის შემოსავლის ნაწილიდან ჩანს, რომ არასაგადასახადო შემოსავალს (12.742.870 მან.) თავისი ხვედრითი წონის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს, რაც შეადგენს მთელი შემოსავლის 45,5%-ს.

თბილისის შემოსავალი 1918 წ.

	შემოსავლების დასახელება	შემოსავალი	% % ჯამთან
1	მოსაკრებელი უძრავი ქონებიდან	3.730.000	13,0
2	მოსაკრებელი სავაჭრო და სარეწაო და- წესებულებებიდან	3.441.134	12,0
3	მოსაკრებელი ცხენების, ეტლების და ძაღვების მფლობელებიდან	371.255	1,3
4	სხვადასხვა სახელწოდებების მოსაკრე- ბელი	234.702	0,8
5	ქალაქის ქონებიდან შემოსავალი	135.538	0,4
6	ქალაქის ნაგებობებიდან (საწარმოებები- დან) შემოსავალი	12.742.870	45,1
7	დანმარება ქალაქს და ხარჯების დაბრუ- ნება	7.746.505	27,2
8	სხვადასხვა შემოსავალი	70.500	0,2
	ს უ ლ	28.441.505*	100,0

არასავალდებულო შემოსავლების აღნიშნული ზრდა, როგორც ზემოთ აღ-
ვნიშნეთ, გამოწვეულია კომუნალური მეურნეობის მომსახურების ტარიფების
გადიდებით, რამაც გამოიწვია შემოსავლის ხელოვნური ზრდა აღნიშნული შე-
მოსავლის წყაროდან.

შემოსავალში მეორე ადგილი უჭირავს სხვა შემოსავლებს (7.817.005),
რაც შეადგენს მთელი შემოსავლების 27,3%-ს. სხვადასხვა ხარჯებში ქალაქის
დანმარებას და ხარჯების დაბრუნებას უჭირავს 27,2%. ქალაქის თვითმმარ-
თველობის გაზრდილი აპარატის მოთხოვნილებებს და ამიტომღებულობდნენ
ხაზინიდან დანმარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნუსხის მთელი შემოსავლის 72,4%-ს შეადგენს
შემოსავალი მოსახლეობიდან სავალდებულო და არასავალდებულო შემოსავ-
ლების სახით, დანარჩენი 27,6% უჭირავს შემოსავლის სხვა წყაროებს.

ამრიგად 1918 წლის ნუსხის შემოსავლის უდიდესი წყაროა შემოსავალი
მოსახლეობიდან, ისე როგორც ეს დამახასიათებელია საერთოდ ამ პერიოდის
თბილისის ბიუჯეტისათვის.

1918 წლის ნუსხის ხარჯების გაშლილი კლასიფიკაცია შემდეგია (მანეთე-
ბით)⁸ იხ. ცხრილი № 4.

ნუსხის გასავლის ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს ხარ-
ჯები ცალკეული მუხლების მიხედვით. მმართველობის ხარჯებს მთელი გასავ-
ლის 34,6% უჭირავს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინე-
ბულია მთელი ნუსხის გასავლის 12,9%, ე. ი. მმართველობაზე გათვალისწი-
ნებულია 21,9%-ით მეტი, ვიდრე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე,
ხოლო 30,1%-ით მეტი, ვიდრე ქალაქის კეთილდღეობაზე.

⁸ თბილისის 1918 წლის შემოსავლისა და ხარჯთა ნუსხა (თბილისის არქივი, ფონდი 1,
საქმე 324, გვ. 22-23).

⁹ თბილისის 1918 წლის შემოსავლისა და ხარჯთა ნუსხა (თბილისის არქივი, ფონდი 1,
საქმე 324, გვ. 24-25).

თბილისის ხარჯები 1918 წ.

ც ბ რ ი ლ 4

	ხარჯების დასახელება	ხარჯები	% % ჯამთან
1	მონაწილეობა მთავრობის დაწესებულებების შენახვაში	12.187	0,04
2	ქალაქის თვითმმართველობის და ობოლთა სასამართლოს შენახვა	5.209.496	18,4
3	სამხედრო საბინაო ბეგარა	178.921	0,7
4	ქალაქის მილიციის შენახვა	4.571.546	16,2
5	ქალაქის კეთილმოწყობა	1.313.973	4,7
6	სახანძრო რაზმის შენახვა	150.792	0,6
7	ქალაქის ნაგებობების (წარმოებების) შენახვა	11.187.970	39,2
8	სახალხო განათლება	1.842.604	6,4
9	საზოგადოებრივი უზრუნველყოფა	109.709	0,4
10	სამედიცინო, სპეცტერინარო და სანიტარული ნაწილი	1.848.516	6,5
11	გადასახადების გადახდა	14.372	0,05
12	უძრავი ქონების და მოწყობილობის შენახვა	96.235	0,4
13	ვადების გადახდა	682.748	2,4
14	ანარიცხები კაპიტალის შესაქმნელად	513.816	1,7
15	სხვადასხვა ხარჯები	708.516	2,4
	ს უ ლ	28.441.505	100,0

თუ ხარჯების კლასიფიკაციის ცალკეულ მუხლებს განვიხილავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ქალაქის თვითმმართველობისა და ობოლთა სასამართლოს შესანახად გათვალისწინებულია 5.209.496 მან., ე. ი. მთელი ბიუჯეტის ხარჯების 18,4% მაშინ, როდესაც სახალხო განათლებაზე გათვალისწინებულია 1.842.640 მან., ე. ი. მთელი ხარჯების 6,4%. ამრიგად თვითმმართველობისა და ობოლთა სასამართლოს შენახვაზე გათვალისწინებული იყო 12%-ით მეტი, ვიდრე სახალხო განათლებაზე. საზოგადოებრივ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებულია 109.709 მან., ე. ი. მთელი ნუსხის ხარჯების 0,4%.

ამრიგად ქალაქის მმართველობასა, და ობოლთა სასამართლოს შენახვაზე იხარჯებოდა 18%-ით მეტი, ვიდრე საზოგადოებრივ უზრუნველყოფაზე.

ქალაქის მილიციის შენახვის ხარჯებს (4.571.646) მთელი ნუსხის გასავლის 16,2% უჭირავს, ე. ი. 9,8%-ით მეტი, ვიდრე სახალხო განათლებაზე ხარჯებს, ხოლო 15,8%-ით მეტი, ვიდრე საზოგადოებრივ უზრუნველყოფაზე და 15,8%-ით მეტი, ვიდრე განმრთვლობის დაცვაზე.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განვითარებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ქალაქის ხარჯებში მის დაფინანსებაზე უმნიშვნელო სახსრები იხარჯებოდა. ამიტომ მისი განვითარება დაბალ დონეზე იყო.

წუსის გასვლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ თბილისის ბიუჯეტის არამწარმოებლური ხასიათი კიდევ უფრო გაიზარდა. გაუარესდა საფინანსო მეურნეობა და ქართული ბონების კურსი დღითიდღე ეცემოდა, ხოლო ფასები კოლოსალურად იზრდებოდა.

ქართული ბონების კურსის რყევა ინგლისური გირვანქა სტერლინგის მიმართ 1920 წელს 1912 წელთან შედარებით 6 თვის განმავლობაში (იანვარ-ივნისი) შემდეგ სურათს იძლევა¹⁰.

	ცხრილი 5		
	კურსი ქართულ ბონებზე (მან.)		ზრდა %%-ში
იანვარი	55	890	1518,2
თებერვალი	100	961	861,0
მარტი	150	979	552,8
აპრილი	190	1042	448,4
მაისი	250	1244	397,7
ივნისი	300	1524	308,0

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ქართული ბონები ძლიერ რყევას და კურსის დაცემას განიცდიდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თბილისში ამ პერიოდში ფასები სასურსათო საქონელზე სწრაფად იზრდებოდა.

1920 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე ფასები გაიზარდა: ფქვილზე 2,5-ჯერ, ხორბალზე 3,3-ჯერ, პურზე 2,4-ჯერ, ხორცზე — 2,5-ჯერ, კარტოფილზე 3-ჯერ, შაქარზე 2,8-ჯერ და ა. შ.

1920 წლის ივნისის ფასების შედარება 1914 წლის ივნისის ფასებთან (ომამდე) შემდეგ სურათს გვაძლევს:

1914 წელს 1 ფუთი ფქვილის ფასი იყო 1 მან. 90 კაპ., 1920 წლის ივნისში გაიზარდა 15-50 მანეთამდე, ხორბალი — 1 მან. 40 კაპ. გაიზარდა 1350 მანეთამდე, გირვანქა პური — 2 მან. 49 კაპ. 1920 წლის ივნისში მისი ფასი გაიზარდა 24 მანეთამდე და ა. შ.¹¹.

სურსათის საშუალო საბაზრო ფასები თბილისში 1920 წლის იანვარში იყო: ხორბალი 1 ფუთი 400 მან., დეკემბერში გაიზარდა 4883 მანეთამდე, სიმინდი დეკემბერში 200 მანეთიდან იანვარში 2033 მანეთამდე გაიზარდა, პური ერთი გირვანქა 10,3-დან 1920 წლის იანვარში 154 მანეთამდე, ძროხის ხორცი 1 გირვანქა 14,4-დან 148 მანეთამდე და ა. შ.

ფულის გაუფასურება და ფასების ზრდა ძლიერ უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის მატერიალურ და კულტურული დონის ამაღლებაზე.

¹⁰ სტატისტიკური ბიუროს კრებული, 1920 წ., იანვარ-ივნისი, თბილისის ქალაქის თვითმმართველობა, გვ. 32.

¹¹ სტატისტიკური ბიუროს კრებული, 1920 წ., ქ. თბილისი, გვ. 29-30.

А. Э. ЧАНТЛАДЗЕ

ФИНАНСЫ САМОУПРАВЛЕНИЯ ГОРОДА ТБИЛИСИ

Резюме

По проекту сметы, составленному самоуправлением в 1913 году, дефицит составил 499 900 руб. Губернское присутствие после внесения ряда поправок в 1913 году утвердило смету г. Тбилиси на 3.128.624 руб. в доходной и расходной части. В доходах сметы главное место занимали налоговые доходы, которые составили 44,4% всех доходов.

В расходах сметы на первом месте стояли расходы по содержанию городской полиции, которые составляли 17,6% расходов бюджета в то время, как расходы по народному обеспечению — 1,0%.

В 1918 году в расходной части бюджета расходы на содержание городской милиции составляли 26,2%, на содержание самоуправления и суда — 18,4% в то время, как на народное образование было предусмотрено 6,4% всех расходов, на общественное обеспечение — 0,4%, а на благоустройство города — 4,7%.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ისტორიის ეკონომიკისა და საფინანსო-საკრედიტო განყოფილებებში

იზა ნათელაური

მართობლივი საწარმო — საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის ფორმა

80-იანი წლების პირველ ნახევრამდე საქართველო საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას ახორციელებდა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ტრადიციული ფორმებით. მის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში წამყვანი ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობას, კერძოდ, პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს. ამჟამად (დაწყებული 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან) სპეციალისტ-თეორიტიკოსთა და პრაქტიკოსთა სამსჯავროზე გამოტანილი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმებიც — დარგობრივი თანამშრომლობა: პირდაპირი კავშირები; ერთობლივი საწარმოები; სპეციალური ეკონომიკური ზონები და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ სინამდვილეში საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების გამოჩენა და დამკვიდრება (ჯერჯერობით ერთობლივი საწარმოების სახით), საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციის პროცესის ლოგიკური შედეგია და იგი ფასწარმოქმნის (ფასების დაწესების) პროცესის ლიბერალიზაციასთან ერთად წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის აუცილებელ ატრიბუტს.

დღევანდელ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში, როცა საკითხი ეხება, ერთის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეურნეო ობიექტების ასე თუ ისე ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და მეორეს მხრივ, მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას (მინიმალურ დონეზე მაინც) სასურსათო და სამრეწველო პროდუქციაზე, როგორც არასოდეს იზრდება საგარეო ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობა. საგარეო ეკონომიკურმა კავშირებმა ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ფაქტორის როლი უნდა შეასრულოს.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციის პროცესს მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკასთან საქმიანი კონტაქტების მსურველი უცხოელი ბიზნესმენების და ფირმების წარმომადგენელთა რიცხვის არსებითი ზრდა. პრაქტიკოსთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთობლივმა საწარმოებმა, როცა ურთიერთთანამშრომლობენ პარტნიორთა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მქონე ქვეყნებიდან, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითგამოსყიდვის პრინციპის დაცვით.

ერთობლივი საწარმოების შექმნის მიზანია: თანამშრომელი ქვეყნების საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება; განსაზღვრული სახის სამრეწველო პროდუქციაზე, ნედლეულზე და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის დაკმაყოფილება; მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოო გამოცდილების დამატებითი მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვა; საექსპორტო ბაზის განვითარება; არარაციონალური იმპორტის შემცირება.

ერთობლივი საწარმო მიზიდველი და ამავე დროს პარტნიორული თანა-

მშრომლობის საკმაოდ რთული ფორმაა. საქიროებს დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარებას — სამართლებრივი, ეკონომიკური და მრავალი სხვა საკითხის ანალიზთან დაკავშირებით. მოითხოვს თანამშრომლობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებას და ა. შ.

დასაწყისშივე ხაზი უნდა გაესვას ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს. იმისათვის, რომ ერთობლივმა საწარმომ ხელი შეუწყოს რესპუბლიკის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, პროცესი უნდა ატარებდეს მასშტაბურ ხასიათს, აუცილებელია პარტნიორული დამოკიდებულების ფართო წრეზე გასვლა. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის რეალურ პარტნიორთა შორის არიან წარმომადგენლები აშშ-დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. საზღვარგარეთელი პარტნიორები უმეტესად წარმოდგენილი არიან კაპიტალისტური ქვეყნებიდან. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 100-მდე ერთობლივი საწარმო, 80,4 მლნ. მანეთის ტოლი საზღვარგარეთული ინვესტიციებით. 23 ერთობლივი საწარმოს მიხედვით ტარდება პრაქტიკული ღონისძიებები. სავსებით გასაგები მიზეზების გამო, რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოების უმრავლესობა თავმოყრილია დიდ ქალაქებში, უმეტესად თბილისში. ორორი ან თითო რუსთავეში, სოხუმში, ქობულეთში, ფოთში, ბათუმში და სხვა.

ერთობლივი საწარმოების შექმნა პროცედურულად რთულია. მას წინ უძღვის რიგი მოსამზადებელი სამუშაოები — ერთობლივი საწარმოს შექმნის აუცილებლობის დასაბუთება; პარტნიორის ძიება; მასთან მოლაპარაკება; წინადადებების მომზადება მომავალი ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად. ადგილობრივ დამფუძნებელს მოეთხოვება, როგორც საკუთარი საფინანსო, ეკონომიკური და იურიდიული სტატუსის ცოდნა, ისე პარტნიორის შესაძლებლობებში და უფლებებში გარკვევა. მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად სპეციალისტების მიერ რეკომენდირებულია ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადების, ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგი სქემა:

- განზრახვის ოქმის (წერილის) მომზადება და ხელმოწერა;
- დამფუძნებელი დოკუმენტების (ხელშეკრულება, წესდება და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება) მომზადება;
- ზემდგომი ორგანოს თანხმობის მიღება;
- დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერა;
- ხელმოწერილი (და ბეჭდებით სათანადოდ გამაგრებული) დოკუმენტების წარდგენა სარეგისტრაციოდ.

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესახებ არსებული ნორმატიული აქტები ითვალისწინებს მრავალი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას პარტნიორირების მიერ, საკუთარი შეხედულებებისამებრ. ამით არის განპირობებული ის, რომ ერთობლივი საწარმოების მიზანი, საქმიანობის სფერო, ადგილმდებარეობა, მონაწილეთა შემადგენლობა, საწესდებო ფონდის მოცულობა, მასში პარტნიორების წილი, მართვის ორგანოების კომპეტენცია და სხვა განსაზღვრულია არა კანონმდებლობით, არამედ დამფუძნებელი დოკუმენტებით, კერძოდ ხელშეკრულებითა და წესდებით.

ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი ელემენტია საწესდებო ფონდი, ერთობლივი საწარმოს შექმნის პროცესში

არსებითა საწესდებო ფონდის მოცულობის განსაზღვრა, შექმნა და მიზნობრივი გამოყენება. საწესდებო ფონდი არის დამფუძნებლების მიერ გაღებული იმ საშუალებებისა და უფლებების ერთობლივი შეფასება, რომელიც აუცილებელია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად. საწესდებო ფონდის ელემენტები შეიძლება იყოს როგორც საკუთარი, ისე ნასესხები. დასაშვებია საწესდებო ფონდის ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის, პარტნიორთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის შესავსებად საზღვარგარეთიდან შემოტანილი ქონება განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ეს ქონება არ ექვემდებარება კონფისკაციას ადმინისტრაციული წესით; იგი დაზღვეულია სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

თანამშრომელ მხარებს შორის, ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია:

— მხარეებმა თავიდანვე ზუსტად განსაზღვრონ დანახარჯების მთელი მოცულობა (საწესდებო ფონდის მოცულობა);

— ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დანახარჯების განაწილების წესი პარტნიორებს შორის;

— ცნობილი უნდა იყოს და მკაცრად დაცული მონაწილეების წილი დანახარჯებში და მათი ჩარიცხვის ვადები;

— დადგენილი უნდა იყოს წინასწარ, რომ საწყისი კაპიტალის გაზრდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობით;

— ერთობლივი საწარმოს შექმნის შემდეგ არ დაიშვას დაფინანსება ადგილობრივი დამფუძნებლის მხრიდან ახალი ხელშეკრულების გარეშე.

ერთობლივი საწარმოების შექმნის მომენტშივე გათვალისწინებული უნდა იყოს მათი კოოპერირებული მუშაობა, როგორც ეროვნულ საწარმოებთან ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის საწარმოებთან. ეს არის შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობების გამოყენების მნიშვნელოვანი გზა.

ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების მიმართულებით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მისი მართვა, მატერიალური და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, დაბეგვრა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

ერთობლივ საწარმოში მართვის ძირითად საკითხებს როგორც წესი პარტნიორები ათანხმებენ ურთიერთშორის. მსგავსი შეთანხმებების დროს სასურველია ჩვენში მოქმედი მმართველობითი ტრადიციებისა და სქემების შეთანაწყობა დასავლეთის მოწინავე გამოცდილებასთან. დასავლეთის თანამედროვე მმართველობითი სქემები მართალია ბრწყინვალეა, მაგრამ ამავე დროს ფუნქციონერებადია მხოლოდ ადგილობრივი (და მსგავსი) პირობებისათვის. უაზრობაა, ჩვენთვის მათი თავსმოხვევა და ჩვენგან მათი უგულებელყოფაც. ადგილობრივი შესაძლებლობების შეუცდომელი შემფასებელიცაა და უცხოური გამოცდილებიდან რაციონალურის გადმოღების განმსაზღვრელიც შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადგილობრივი დამფუძნებელი.

როცა ერთობლივი საწარმოს მართვაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია მხედველობაში გვაქვს მმართველი ქვესისტემა, სამართავი ქვესისტემა და მართვის პრინციპები. მმართველობითი სტრუქტურების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ საბჭო და დირექცია. საბჭოს ფუნქციებში შედის სტრატეგიული ამოცანების განხილვა და გადაწყვეტა — საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეები; მომარაგება-გასაღების სტრატეგია, სა-

წარმოს საგარეო ეკონომიკური ფუნქციები და ა. შ. რაც შეეხება მიმდინარე საწარმოო საქმიანობას, მას დირექცია განაგებს გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. გენერალური დირექტორის ანგარიშვალდებულება საბჭოს წინაშე გამაგრებულია კანონმდებლობით. დირექციის უფლებამოსილება განსაზღვრულია წესდებით ერთობლივი საწარმოს შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილებებით.

ერთობლივ საწარმოში მიმდინარე სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

ზემოთმოხსენებული სამი ორგანო — საბჭო, დირექცია და სარევიზიო კომისია, აუცილებლად უნდა იყოს ერთობლივ საწარმოში. მათ გარდა, ერთობლივ საწარმოს შეუძლია ხელშეკრულება გააფორმოს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან — კოლექტივის სოციალური განვითარებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების შესახებ. პროფკავშირული ორგანიზაციის ვალდებულებები ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების წინაშე ერთნაირია, გარდა შრომის ანაზღაურებისა, შვებულების მიცემისა და საპენსიო უზრუნველყოფისა. ადგილობრივი კადრებისათვის ძალაში რჩება ქვეყანაში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები. უცხოელებზე ეს ნორმები არ ვრცელდება. მათთან ურთიერთობაში გამოიყენება თითოეულ მუშაკთა პერსონალური ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმი. ამ მექანიზმით უცხოელები ღებულობენ უფრო მეტს ვიდრე ადგილობრივი კადრები, ეს ერთიდაიგივე კვალიფიკაციის ერთიდაიგივე შრომისათვის. აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასეთ მომენტს. გადახდის ნორმებში განსხვავება არ შეიძლება გახდეს ხელფასის ფონდის არაობიექტური განაწილების მიზეზი უცხოელი პარტნიორის სასარგებლოდ.

ერთობლივი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მოგება, კერძოდ, საბალანსო მოგება და წმინდა მოგება. საბალანსო მოგებიდან იანგარიშება დაბეგვრას დაქვემდებარებული მოგების სიდიდე, წმინდა მოგებიდან კი პარტნიორებს შორის გასანაწილებელი მოგება, მათი წილის შესაბამისად საწესდებო ფონდში.

რამდენიმე სიტყვით ერთობლივი საწარმოს დაბეგვრის შესახებ. მისი გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 30%. ქვეყნის უმაღლესი საფინანსო ორგანო უფლებამოსილია ზოგიერთ საწარმოს შეუმციროს ეს პროცენტი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება ინდივიდუალურად.

სახელმწიფო ბიუჯეტის 30%-იანი გადასახადის შეტანის წესი რამდენიმეჯერ შეიცვალა. თავიდან გადასახადის შეტანა სავალდებულო იყო ერთობლივი საწარმოს შექმნისთანავე. შემდეგ პირველი მოგების გამოცხადებიდან ორი წლის შემდეგ (ზოგიერთი გამოჩაკლისი საწარმოსათვის უფრო გვიანაც — ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი განკარგულებით), ახლა პირველი მოგების გამოცხადებისთანავე.

ერთობლივ საწარმოს შეუძლია თავისი მოგების ნაწილი გადაიხადოს ადგილობრივ ბიუჯეტშიც, წინასწარ შეთანხმებული ნორმატივის მიხედვით.

დაბეგვრას ექვემდებარება წმინდა მოგების ნაწილიც, რომელიც ეკუთვნის უცხოელ დამფუძნებელს და რომლის გატანაც მას სურს საზღვარგარეთ მყარ ვალუტაში. წმინდა მოგების ნაწილი, რომლის ტრანსფერტიც უნდა მოხდეს საზღვარგარეთ, იბეგრება 20%-მდე გადასახადით

უცხოელი პარტნიორის წილის გამოანგარიშება, როგორც ვიცით, ხდება

მანეთებში. მისი ტრანსფერტის შემთხვევაში გადაანგარიშება ხდება მოქმედი სავალუტო კურსის მიხედვით, გარარიცხვის მომენტში

და ბოლოს, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ხდება ყოველკვარტალურად. გადასახადის საავანსო თანხა იანგარიშება მიმდინარე წლის საფინანსო გეგმის მიხედვით. კორექტივება პრაქტიკულად (რეალურად) მიღებული მოგებიდან ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წელს, წინა წლის ბალანსის საფუძველზე

ერთობლივი საწარმოს ეფექტიანობის განსაზღვრისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროცედურაში ძირითად გაანგარიშებით მაჩვენებელთა შორის უნდა გამოიყოს: საბალანსო მოგება, დაბეგვრას დაქვემდებარებული მოგების სიდიდე, პარტნიორებს შორის გასანაწილებელი მოგება, წმინდა მოგება, კაპიტალურ დაბანდებთა წლიური რენტაბელობა, ერთობლივი საწარმოს ინტეგრალური ეკონომიკური ეფექტი, სავალუტო შემოსავლები და გასაღებები (სავალუტო თვითგამოსყიდვის პირობა), ადგილობრივი მხარის მონაწილეობის ეფექტი, საზღვარგარეთელი პარტნიორის მოგება, წმინდა მოგება (ბიუჯეტში დამატებითი გადასახადის გათვალისწინებით, უცხოელი პარტნიორისაგან მოგების საკუთარი წილის საზღვარგარეთ ტრანსფერტის შემთხვევაში), უცხოელი პარტნიორის მონაწილეობის რენტაბელობა და სხვა

საგარეო-ეკონომიკურ ღონისძიებათა პერსპექტივაში, მათ შორის ერთობლივ საწარმოებშიც, დასაბუთებისა და განხორციელების ოპერატიულობის ამაღლების მიზნით, საჭიროა მრავალვარიანტული ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების ჩატარების უზრუნველყოფა.

ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების გზაზე წარმოქმნილია რიგი პრობლემები როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის.

დიდი ხნის მანძილზე ჩვენი საწარმოები და ორგანიზაციები უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ თანამართველობაში. ამის გამო ვერ მომზადდა სათანადო კვალიფიკაციის კადრები საგარეო ბაზარზე მუშაობის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების და ა. შ. გამოცდილებით. ერთობლივი საწარმოების შექმნისას მწვავედ დგება ადგილობრივი კადრების გადამზადებისა და საზღვარგარეთიდან კვალიფიციური კადრების მოწვევის პრობლემა.

დღეისათვის ერთობლივ საწარმოებს არ ეგეგმებათ არავითარი ფონდები. მათი შექმნა შეუძლებელია საბითუმო ვაჭრობის ქსელში. ფონდების გამოყოფის მოქმედი წესი მიღებულია უცხოელი პარტნიორებისათვის. ამან გამოიწვია გარკვეულწილად ისიც, რომ შექმნილი ერთობლივი საწარმოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე არცერთი არ არის დაკავებული წარმოების საშუალებების წარმოებით.

ხაზი უნდა გაესვას რეკლამის საკითხს, რომლის მიმართაც დიდ ყურადღებას იჩენენ ჩვენი პარტნიორები. ერთობლივი საწარმოები განლაგებული უნდა იყოს პრესტიჟულ ადგილებზე და შენობებში. განსაკუთრებით მოთხოვნები წაყვევება სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტს.

საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების რეგულირება უნდა ხდებოდეს რესპუბლიკის მთავრობისა და სხვადასხვა ფუნქციონალური თუ დარგობრივი ორგანოების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტებით — სამთავრობო, სამთავრობათაშორისო და საუწყებო. თავიდანვე ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული აღრიცხვისა

და ანგარიშგების წესი ერთობლივ საწარმოში; მისი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხი; ქონების დაზღვევის, დაკრედიტების, სავალუტო ანგარიშების გახსნის, რეგისტრაციის წესი; მიწის, ქონების, ბუნებრივი რესურსებისა და სხვა შეფასების საკითხები.

ერთობლივ საწარმოებში განსაკუთრებით მწვავედ დგას ფასების საკითხი. ჩვენი ქვეყნის შიგნით მოქმედი ფასები უმეტეს შემთხვევაში განსხვავდება რამდენიმეჯერაც კი მსოფლიო ბაზრის ფასებისაგან. მოუგვარებელია ადგილობრივ და უცხოელ საწარმოებთან ურთიერთმიწოდებათა შეფასების საკითხი.

ერთობლივი საწარმოების შექმნის მომენტშივე ორიენტაცია აღებულ უნდა იქნეს იქითკენ, რომ მათ იმუშაონ როგორც შიგა, ისე მსოფლიო ბაზარზე. მსოფლიო ბაზარზე ორიენტაცია საჭიროა ორი მომენტის გამო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საწარმომ უნდა იფუნქციონიროს სავალუტო თვითგამოსყიდვისა და თვითდაფინანსების პრინციპების დაცვით და მეორედ, ქვეყნის შიგნით პროდუქციის მწვავე დეფიციტმა რომ არ გამოიწვიოს ერთობლივი საწარმოს პროდუქციის ხარისხის დაცემა, იგი აუცილებლად უნდა ახდენდეს საკუთარი პროდუქციის ნაწილის ექსპორტს.

საქართველოს რესპუბლიკამ თავისი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები უნდა განავითაროს ყველა პერსპექტიული მიმართულებით. ძალზედ სასარგებლოდ მიგვაჩნია კვლევა სპეციალური ეკონომიკური ზონების ირგვლივ. საქართველოს სინამდვილეში, წმინდა ეკონომიკური თეალსაზრისით, ყველაზე მისაღები იქნება კომპლექსური ხასიათის ზონები, უპირატესად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებით. ამ ზონებში საკვანძოა ფასწარმოქმნის საკითხი და მასთან დაკავშირებული სავალუტო მექანიზმი.

მიმდინარე პერიოდში ახალ აქტუალობას იძენს ფასწარმოქმნისა და სავალუტო რეგულირების პრობლემები. საფინანსო-საკრედიტო სისტემის რეფორმა ობიექტური აუცილებლობაა. საგარეო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარება საერთო და მათ შორის ახალი ფორმებისა ც, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ საფინანსო-სავალუტო პოლიტიკას გაატარებს რესპუბლიკა.

И. Ш. НАТЕЛАУРИ

СОВМЕСТНЫЕ ПРЕДПРИЯТИЯ — ПРОГРЕССИВНАЯ ФОРМА МЕЖДУНАРОДНОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА

Резюме

В статье освещены вопросы, связанные с созданием и функционированием совместных предприятий. В частности, проанализированы проблемы создания и использования уставного фонда, управления, обеспечения материальным и финансовыми ресурсами, кредитно-финансовой деятельности и т. д.

Достаточное внимание уделено пока еще нерешенным проблемам в сфере создания и функционирования совместных предприятий на территории Республики Грузия.

პაატა ლეიფვილი

მარქსის ღირებულების თეორიის კრიტიკის რამდენიმე არგუმენტი

იმისათვის რომ ჩვენში უფრო სწრაფად და ეფექტურად წარიმართოს თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ათვისების პროცესი, მიმაჩნია, რომ აუცილებელია საფუძველი ჩაეყაროს ჩვენთან კიდევ ერთ პარალელურ პროცესს — მარქსიზმის კრიტიკას. ამ ბოლო პერიოდში მარქსს მრავალჯერ ესროლეს სალანძღავი სიტყვა. მაგრამ მარქსი სწორედ რომ არ არის ამის ღირსი, ხოლო მეცნიერულ კრიტიკას კი მისი მოძღვრება (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოძღვრება) ნამდვილად თხოულობს. საინტერესო ის არის, რომ დასავლეთში ასეც ხდება: მარქსს დიდ პატივს მიაგებენ როგორც მეცნიერს, და ამავე დროს არსებობს აუარებელი ლიტერატურა, რომელიც მისი თეორიის კრიტიკას ეძღვნება.

რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში შეუძლებელია მიმოვიხილოთ ყველა ბრალდება, რომელიც წაუყენეს მარქსის თეორიას საუკუნეზე უფრო მეტი ხნის მანძილზე, მაგრამ ამჯერად შევეხებით ზოგ იმ კრიტიკულ შენიშვნას, რომელიც ითვლება, ასე ვთქვათ „კლასიკურად“ და მათ დიდი ხნის ისტორია აქვთ.

პირველ რიგში შევეხებით ბემ-ბავერკის მიერ წაყენებულ „ბრალდებას“. მისი აზრით, მარქსმა ვერ გადაწყვიტა ე. წ. „ტრანსფორმაციის პრობლემა“. გავიხსენოთ რაშია პრობლემის არსი.

ბემ-ბავერკი აღნიშნავს: საქონელი, რომელშიც განივთებულია ერთნაირი რაოდენობის შრომა, უნდა იცვლებოდნენ ერთმანეთზე, ხოლო „კაპიტალის“ მე-3 ტომში ჩვენ აშკარად და მშრალად გვიცხადებენ, რომ სინამდვილეში არ ხდება ისე, როგორც უნდა ხდებოდეს I ტომის თანახმად, და რომ ცალკეული საქონელი იცვლება ერთმანეთში სრულიად სხვა პროპორციებით, ვიდრე ამას მოითხოვს მათში განივთებული შრომა.

„მე არ შემიძლია სხვა რამ ვიფიქრო — წერს ბემ-ბავერკი — თუ არა ის, რომ აქ არ აქვს ადგილი პრობლემის არავითარ გადაჭრას, ან განმარტებას. მე ვხედავ აქ შიშველ წინააღმდეგობას. „კაპიტალის“ მე-3 ტომი უარყოფს — პირველ ტომს. მოგების საშუალო ნორმის თეორია და წარმოების ფასის თეორია შეუთავსებელია ღირებულების თეორიასთან“¹.

მარქსი ამტკიცებს, რომ საქონელთა ფასი კაპიტალისტური წარმოების პირობებში არ ემთხვევა მათ ღირებულებას, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ეს შეუსაბამობა ეხება მხოლოდ ცალკეულ საქონელთა ფასებს; პირიქით, იგი ქრება, როდესაც განვიხილავთ ყველა ცალკეულ საქონელთა ჯამს, ანუ წლიურ ეროვნულ პროდუქტს. მთელ ეროვნულ პროდუქტში შემავალ საქონელთა ერთობლივი ფასი ყოველთვის ემთხვევა მათში განივთებულ ერთობლივ ღირებულებას.

¹ E. Бем-Баверк, Критика теории Маркса. М. 1931. с. 37.

მაგრამ საერთოდ რა ამოცანას წყვეტს „ღირებულების კანონი“? სხვა აქაფერს, თუ არა იმას, რომ მან უნდა ახსნას საქონელთა საცვლელი თანაფარდობები, პროპორციები. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, თუ რატომ ღირს გაცვლის პროცესში ერთი ქურთუკი იმდენივე, რაც 20 არშინი ტილო, 10 ფუტი ჩაი, $\frac{1}{2}$ ტონა რკინა და ა. შ. თვითონ მარქსს ზუსტად ასე ესმოდა ღირებულების კანონის ამოცანა.

მაგრამ როგორც კი საქონელთა მისა განიხილება როგორც ერთი მთლიანობა და მათი ფასები ჯამდება, ნებისთ თუ უნებლიედ ხდება ყურადღების გადატანა იმ საცდელი თანაფარდობებისაგან (პროპორციებისაგან), რომლებიც არსებობს ამ მთლიანობის შიგნით. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის პასუხი დასმულ კითხვაზე: ჩვენ გვაინტერესებს საცვლელი თანაფარდობა საქონელთა შორის სახალხო მეურნეობაში, ჩვენ კი მივგვითითებენ ფასების საერთო ჯამზე, (რომელსაც ისინი შეადგენენ ყველა ერთად).

ეს იგივეა, წერს ბემ-ბავერკი, რომ კითხვაზე: რამდენი წუთით ან წამით უფრო ნაკლები დრო დასჭირდა დოღში გამარჯვებულს რომ გაერბინა დისტანცია თავის მეტოქესთან შედარებით, ჩვენ გვიპასუხონ შეჯიბრებაში მონაწილეებს ერთად დასჭირდა 25 წუთი და 13 წამი.

ასე რომ საკითხი შემდგენიარად წარმოგვიდგება. მარქსმა წამოაყენა ღირებულების კანონი და განაცხადა, რომ საქონელი იცვლება მათში განივთებული შრომის შესაბამისად. შემდეგ კი, პირდაპირ თუ ირიბულად, იგი უარყოფს მის მოქმედებას ცალკეულ საქონელთა გაცვლასთან დაკავშირებით, ე. ი. იმ სფეროში, მხოლოდ სადაც საერთოდ აქვს აზრი ამ კანონის მოქმედებას, და ინარჩუნებს თავის მოქმედებას და ძალას მთელი სისრულით მთელი ეროვნული პროდუქტისათვის მთლიანობაში — ე. ი. იმ სფეროში, სადაც ამ საკითხის დასმაც კი (საქონელთა გაცვლის შესახებ) — უაზრობაა.

შემდეგ, მარქსი მიუთითებს: „წარმოების ფასის ღირებულებიდან გადახრა, — ურთიერთბათილდება“. და შემდეგ ამატებს, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში საერთო-კანონები საერთოდ ხორციელდება მხოლოდ როგორც გაბატონებული ტენდენცია, ძალზე დახლართული და მიახლოვებითი სახით, როგორც რაღაც **საშუალო** გამუდმებული მერყეობისაგან (გადახრებისაგან), რომელიც არასოდეს არ შეიძლება იქნას ზუსტად დადგენილი.

ამ შემთხვევაშიც, ამტიციებს ბემ-ბავერკი, მარქსი ერთმანეთში ურევს ორ რამეს: გადახრების **საშუალოს** და პრინციპიალურად განსხვავებულ სიდიდეების **საშუალოს**.

რა თქმა უნდა მარქსი სწორია, როდესაც ამტიციებს მრავალი საერთო კანონი რეალიზდება მხოლოდ ისე, რომ ამ კანონის მიერ განსაზღვრულ ნორმას შეეფარდება **საშუალო**, როგორც გამუდმებული გადახრების, მერყეობის რეზულტატი.

მაგრამ მარქსის მიერ განხილული შემთხვევა სულ სხვა ხასიათისაა, რადგან წარმოების ფასის ღირებულებიდან გადახრა წარმოადგენს, თეორიის თანახმად, არა მერყეობას, არა რხევებს, არამედ, გარდუვალ და მუდმივ (ფაქსირებულ) სხვაობას, დაშორებას. ორი საქონლიდან, A და B საქონლიდან, რომელშიც განივთებულია ერთი და იგივე ოდენობის შრომა, მაგრამ წარმოებულია სხვადასხვა ორგანული შედგენილების კაპიტალის მიერ წარმოების

ფასი მერყეობს არა ერთი და იგივე საშუალო ფასის ირგვლივ, (მაგალითად, საშუალო ფასის 50 ფორინტის) არამედ თითოეულ მათგანს გააჩნია მუდმივად სხვა ფასების დონე. (რომელიც განპირობებულია სხვადასხვა კაპიტალის დანახარჯებით, და არა შრომის დანახარჯებით).

აწუ საქმე გვაქვს არა შემთხვევით გადახრებთან, რომელიც გამოწვეულია ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის ცვალებადობით, კონიუნქტურით არამედ სტაბილურ, ფიქსირებულ, რაოდენობრივად განსაზღვრულ გადახრასთან, რომელიც რაოდენობრივად განპირობებულია არსებული წარმოების პირობებით, კაპიტალის (და არა შრომის) დანახარჯებით, მისი ორგანული შედგენილობით, და თუ ორი სხვადასხვა საქონლიდან, რომელშიც განივთვებულია ერთნაირი რაოდენობის შრომა, ერთი მათგანი გამუდმებულად ინარჩუნებს წარმოების ფასს მაგალითად 50 ფორინტს, ხოლო მეორე — ნებისმიერ სხვა ფასს, მაგალითად 60 ფორინტს, მათემატიკურად, შეიძლება, რა თქმა უნდა ამ ორი სხვადასხვა სიდიდიდან გამოვიყვანოთ საშუალო 50 ფორინტი. მაგრამ ასეთ საშუალოს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ან უფრო ზუსტად, ღირებულების კანონისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათემატიკური თვალსაზრისით, საშუალოს გამოყვანა შეიძლება ნებისმიერი არათანაბარი სიდიდეებისაგან. და თუ ეს საშუალო უკვე გამოყვანილია, მაშინ ურთიერთსაპირისპირო გადახრები ამ საშუალო სიდიდისაგან აბათილებენ ერთმანეთს. (მარქსი ხომ წინასწარ გულისხმობს საქონელთა ერთობლივი ღირებულებისა და მათი ფასების ჯამის ტოლობას). რამდენადაც ერთი მათგანი აღემატება ამ საშუალოს, ზუსტად იმდენადვე მეორე სიდიდე ნაკლებია ამ საშუალოზე. თუ ასე მივუდგებით, მაშინ ჩვენ ისეთივე საფუძველი გავაჩნია ვამტკიცოთ, რომ ყველა ჯიშის ცხოველი და ცოცხალ ორგანიზმები, ცოცხლობენ ერთნაირი წლების რაოდენობას. მართალია სპილოები ცოცხლობენ საშუალოდ 100 წელიწადს, ხოლო პეპლები — 1 დღეს, მაგრამ ამ სიდიდეებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ საშუალო 50 წელი. და რამდენადაც სპილოები ცოცხლობენ ამ საშუალოზე მეტს, ზუსტად იმდენადვე პეპლები ცოცხლობენ — ნაკლებს. ამრიგად გამოდის, რომ საშუალოდან გადახრები ურთიერთაბათილებენ ერთმანეთს და ამიტომ ზოგადად და საშუალოდ მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც ყველა ჯიშის ცხოველს და ცოცხალ ორგანიზმებს სიცოცხლის ერთნაირი ხანგრძლივობა გააჩნიათ³.

მაქსის თანახმად, წარმოების ფასები, რომლებიც განაგებენ რეალური ფასწარმოქმნის პროცესებს, იმყოფებიან ღირებულების კანონის გავლენის ქვეშ, ამრიგად ღირებულების კანონი, საბოლოო ჯამში არეგულირებს საქონლის რეალურ გაცვლით თანაფარდობას. მარქსი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ღირებულება დგას „წარმოების ფასების მიღმა“ და განსაზღვრავს მათ „უკანასკნელ ინსტანციაში“, „საბოლოო ჯამში“. მარქსი ამ წარმოების ფასებს უწოდებს „ღირებულების გარდაქმნილ ფორმას“. როგორ არეგულირებს ღირებულების კანონი წარმოების ფასებს? მარქსი იძლევა შემდეგ ლოგიკურ სქემას.

1) ღირებულების კანონი განსაზღვრავს ყველა საქონლის ერთობლივ ღირებულებას, რომელიც წარმოებულია საზოგადოებაში.

2) საქონელთა საერთო ღირებულება განსაზღვრავს მათში შემავალ საერთო ზედმეტ ღირებულებას.

3) საერთო ზედმეტი ღირებულება განსაზღვრავს, განაწილება რა იგი ერთობლივ საზოგადოებრივ კაპიტალზე, მოგების საშუალო ნორმას.

4) ხოლო მოგების საშუალო ნორმა, რომელიც მოდის ცალკეული საქონლის წარმოებაზე გამოყენებულ კაპიტალზე, იძლევა კონკრეტულ საშუალო მოგებას — ეს კი წარმოადგენს შესაბამისი საქონლის წარმოების ფასის ელემენტს.

ამრიგად ამ ლოგიკური ჯაჭვის პირველი რგოლი — ღირებულების კანონი არაგულირებს უქანასკნელ რგოლს — წარმოების ფასს. ბემ-ბავერკი თანმიმდევრულად აკრიტიკებს ყველა ამ პუნქტს. მთელი ეს მარქსის სქემა არ მუშაობს თუნდაც იმიტომ, რომ მე-3 პუნქტში, მარქსის თანახმად, ერთობლივი ზედმეტი ღირებულება განაგებს მოგების საშუალო ნორმას. მაგრამ აქაც საკლებით ამჟღავნა, რომ ერთობლივი ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს, ხოლო მეორე ფაქტორი — საკლებით დამოუკიდებელია როგორც ერთობლივი ზედმეტი ღირებულებისაგან, ისე ღირებულების კანონისაგან — ეს არის კაპიტალის სიდიდე, რომელიც არსებობს ამ საზოგადოებაში. რომც არ შეიცვალოს ერთობლივი ზედმეტი ღირებულების მოცულობა, იმის და მიხედვით თუ რა ოდენობისაა წარმოებაში გამოყენებული საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალი, სრულიად განსხვავებული იქნება მოგების საშუალო ნორმაც.

როგორც ვხედავთ, მარქსის ლოგიკურ სქემაში შემოჭრილია ღირებულების კანონისათვის სრულიად უცხო ეგზოგენური ფაქტორი.

იმის ჩვენება, რომ ავტორი ეწინააღმდეგება თავის თავს, აუცილებელი ეტაპია მაგრამ, თავისთავად ეს არ წარმოადგენს მეცნიერული კრიტიკის თვითმიზანს, აუცილებელია ზუსტად მიუთითოთ იმ პუნქტზე, სადაც შეცდომა შეიბარა მარქსის სისტემაში და მიუთითოთ ის არხები, გზები, რომელთა მეშვეობითაც ეს შეცდომა გავრცელებულა ამ სისტემაში. ბემ-ბავერკი აანალიზებს მარქსის შეცდომის მიზეზებს.

სფერო, რომელსაც იკვლევს მარქსი იმისათვის, რომ მიაგნოს ღირებულების კვალს, მან თავიდანვე შემოფარგლა იმ საქონელით, რომელშიც იგულისხმება არა ყველა სამეურნეო დოვლათი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც წარმოადგენს შრომის პროდუქტს.

თუ საქონელთა გაცვლა ნიშნავს გატოლებას, და გულისხმობს მათში საერთო სიდიდის არსებობას, მაშინ ეს საერთო უნდა ვეძიოთ ყველა იმ დოვლათში, რომელნიც განკუთვნილი არიან გაცვლისათვის, რომლებიც რეალურად იცვლებიან ერთმანეთში: ასეთები კი არიან არა მარტო შრომის პროდუქტები, არამედ მიწა, წილისეული, მინერალური წყლები, ხელოვნების ანტიკური შედეგები, ოქროს საბადოები, უნიკალური საკურორტო ზონები, არქეოლოგიური ნიმუშები, და ა. შ.

საგანთა წრის მხოლოდ ასეთი ხელოვნურად შემოფარგვლის წყალობით, შრომა ვახდა ის რაღაც „საერთო“, ამ საგანთა წრისათვის, „საერთო“, რომელიც ამ წრეში შემავალ ყველა საგანს გააჩნია. მაგრამ ამ „საერთოს“ გარდა აღნიშნულ საგნებს გააჩნიათ კიდევ სხვა მრავალი „საერთო“ თვისებები. სულ რამდენიმე წინადადებით მარქსი თავიდან იცილებს ყველა დანარჩენ „საერთო“ თვისებებს. ეს ხდება მსჯელობის ორი შემდგომი საფეხურის მეშვეობით:

1) მარქსი გამორიცხავს საქონელთა ყველა გეომეტრიულ, ფიზიკურ, ქიმიურ, ან რაიმე სხვა ბუნებრივ თვისებებს. ვინაიდან ყველა ეს თვისება აქ განიხილება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათზე არის დამოკიდებული სა-

ქონელთა სარგებლიანობა რამდენადაც ისინი აქცევენ საგანს სახმარ ღირებულებად, მაგრამ აშკარა და უდავოა, წერს მარქსი, რომ საცვლელი ღირებულება არ ითვალისწინებს სარგებლიანობას. საცვლელი თანაფარდობის ფარგლებში ერთი საცვლელი ღირებულება თამაშობს ზუსტად იგივე როლს, როგორც ნებისმიერი სხვა, თუ კი ისინი შესაბამის პროპორციებში არიან ერთმანეთთან.

მაგრამ აქ მარქსი უყუარადებს (გაემიჯნება) იმ სპეციფიკურ ფორმას, რომელშიც ვლინდება საქონელთა სახმარი ღირებულება ე. ი. გაემიჯნება კონკრეტულ სარგებლიანობას (მათ უნარს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება საცხოვრებელზე, ტანისამოსზე), კვების პროდუქტებზე და ა. შ. მაგრამ იგი სულაც არ უგულვებელყოფს საერთოდ სახმარ ღირებულებას როგორც ასეთს, ანუ საერთოდ სარგებლიანობას. ეს რომ ასეა, და რომ მარქსი არ გაემიჯნა საერთოდ სარგებლიანობას, შეიძლება დავასკვნათ იქიდანაც, რომ მარქსის თანახმად ვერავითარი საცვლელი ღირებულება ვერ იქნება იმის გარეშე, რომ საქონელი არ იყოს ამავე დროს სახმარი ღირებულება, სარგებლიანობა. ამაზე არაერთხელ მიუთითებს მარქსი.

2) მტკიცების მეორე რგოლში მარქსი უშვებს კიდევ უფრო უხემ შეცდომას, წერს ბენ-ზავერკი, და მოყავს მარქსის სიტყვები: „თუ მივიღებთ მხედველობაში სახმარ ღირებულებას, მაშინ მათ რჩებათ მხოლოდ ერთი თვისება კერძოდ ის, რომ ისინი არიან — შრომის პროდუქტები“.

მაგრამ განა ასეა ეს? განა იმ დოვლათს, რომელთაც გააჩნიათ საცვლელი ღირებულება არ გააჩნიათ აგრეთვე ის საერთო თვისება, რომ ყველა ისინი არიან იშვიათობა, იშვიათი მოთხოვნილებების მიმართ, ან რომ ისინი არიან მოთხოვნისა და მიწოდების ობიექტები, ან რომ ისინი არიან საკუთრების ობიექტები, ან რომ ისინი არიან არა მარტო შრომის, არამედ აგრეთვე ბუნების პროდუქტებიც, ის ფაქტი, რომ ისინი გარდა შრომისა, ბუნების პროდუქტებიც არიან, ამას მარქსზე უკეთ არავინ არ ამბობს. მარქსის აზრით, სასაქონლო სხეული წარმოადგენს ორი ელემენტის, ბუნების ნივთიერების და შრომის ერთობლიობას.

მაშ რატომ არ შეიძლება, — კითხულობს ბენ-ზავერკი, რომ ღირებულების პრინციპი (საფუძველი) ვეძიოთ რომელიმე ზემოაღნიშნულ თვისებაში, და არა მარტო იმ თვისებაში, რომ ისინი შრომის პროდუქტები არიან? მარქსს ხომ არც ერთი დადებითი პოზიტიური დასაბუთება არ გააჩნია. იგი ასაბუთებს მხოლოდ უარყოფის გზით, კერძოთ, იმის მტკიცებით, რომ მის მიერ უარყოფილი სახმარი ღირებულება ვერ იქნება საცვლელი ღირებულების საფუძველი. მაგრამ განა ასეთი ნეგატიური გზით დასაბუთება არ უღდება, (არ რჩება ძალაში) ყველა დანარჩენ, მარქსის მიერ ვერ შემჩნეულ, საერთო თვისებებს?

უფრო მეტიც იმავე გვერდზე, სადაც მარქსი უარყოფს, საცვლელ ღირებულებაზე სახმარი ღირებულების ზეგაელენას იმ მოტივით, თითქოს და ერთ სახმარ ღირებულებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ნებისმიერ სხვას, თუ კი ისინი შესაბამის პროპორციებში არიან, — ამავე გვერდზე მარქსი წერს შრომის პროდუქტების შესახებ შემდეგს:

„როგორც სერთუქსა და ტილოს ღირებულებაში მოხდენილი აბსტრაჰირება მათი სახმარი ღირებულების განსხვავებულობისაგან, ასევე იმ შრომაშიც, რომელიც ამ ღირებულებითაა გამოხატული, ხდება აბსტრაჰირება მისი სასარგებლო ფორმების — თერძობისა და ფეიქრობის — განსხვავებულობისაგან..... სერთუქის და ტილოს ღირებულების სუბსტანციას კი წარმოადგენენ ისინი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოხდენილია აბსტრაჰირება

მათი განსაკუთრებული თვისობრიობისაგან და რამდენადაც ორთავეს ერთი და იგივე თვისებრიობა, ადამიანის შრომის თვისებრიობა აქვს“. (მარქსი, „კაპიტალი“, I ტომი, გვ. 62).

განა შეიძლება უფრო ნათლად და აშკარად ითქვას, რომ საცვლელი ღირებულებისათვის არა მარტო სახმარ ღირებულებას, არამედ შრომის ერთ სახეობას, და შრომის პროდუქტების ერთ სახეობას „აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ყველა დანარჩენს, თუ კი ისინი იმყოფებიან სათანადო პროპორციებში?“.

მაგრამ, თუ კონკრეტული შრომის უკუგდების შედეგად რჩება მხოლოდ საერთოდ შრომა, აბსტრაქტული შრომა, ზუსტად ანალოგიურად, რატომ არ შეეძლო მარქსს კონკრეტული სარგებლიანობის, სახმარი ღირებულების უკუგდების საფუძველზე გამოეყვანა აბსტრაქტული სარგებლიანობა — ასეთ საფუძველად საცვლელი ღირებულებისათვის.

ზუსტად იგივე მსჯელობის საფუძველზე, რომლის მეშვეობითაც მარქსმა გამოირიცხა სახმარი ღირებულება, მას შეეძლო გამოეირიცხა შრომა. (კონკრეტული შრომა), ხოლო შემდეგ კი, ისეთივე მსჯელობის საფუძველზე, რომლითაც მან გამოაცხადა შრომა საერთო თვისებად, გამოეცხადებინა სახმარი ღირებულება, (აბსტრაქტული სახმარი ღირებულება, სარგებლიანობა) ასეთ საერთო თვისებად, ხოლო ღირებულება კი გამოეცხადებინა „განივთებულ სახმარ ღირებულებად“.

მარქსი მიუთითებს, რომ სხვადასხვა საქონლის ღირებულება ისევე შეფარდება ერთმანეთს, როგორც სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მათი წარმოებისათვის. სინამდვილეში ცხადია, რომ ეს ეწინააღმდეგება ცხოვრებისეულ ფაქტებს: მაგალითად მოქანდაკის ერთი დღის მუშაობის პროდუქტი, მხატვრის, მუსიკალური ინსტრუმენტების ოსტატის, მანქანათმშენებლის და ა. შ. შრომის პროდუქტს, რა თქმა უნდა, უფრო მაღალი ღირებულება გააჩნიათ, და არ არის ტოლი უბრალო მუშის და ხელოსნის ერთი დღის შრომის პროდუქტის ღირებულებისა, თუმცა მათში განივთებულია თანაბარი სამუშაო დრო. ეს სავსებით აშკარა ფაქტია და მარქსი ამას არ უარყოფს, მაგრამ იგი ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს ეს გარემოება სულაც არ ეწინააღმდეგება მის თეორიას და მისი ღირებულების პრინციპის მარტივი ვარიაციაა.

მარქსი წერს: „უფრო რთული შრომა მხოლოდ ახარისხებულ ანუ, უკეთ გამორავალდებულ მარტივ შრომას ნიშნავს, ასე რომ რთული შრომის ნაკლები რაოდენობა მარტივი შრომის მეტ რაოდენობას უდრის.“

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს რედუქცია, — რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანა, — მუდამ წარმოებს. საქონელი შეიძლება ურთულესი შრომის პროდუქტი იყოს, მაგრამ მის ღირებულებას ამ საქონლის მარტივი შრომის პროდუქტს უტოლებს და ამიტომ თვითონ მარტივი შრომის მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს“. (მარქსი „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 61). დაუკვირდით რა გამოდის აქედან.

მარქსი ცდილობს გაამართლოს რთული შრომის მარტივ შრომამდე „დაყვანის“ მანერა გამოცდილებაზე აპელირებით, იგი მიმართავს ყოველდღიურ პრაქტიკას, სინამდვილეს და წერს, რომ გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი დაყვანის პროპორციები რთული შრომისა მარტივ შრომაზე „საზოგადოებრივი პროცესის მეოხებით მწარმოებელთა ზურგს უკან მყარდება“.

ბემ-ბავერკის აზრით, ჩვენ აქ ვაწყდებით მარქსის თეორიისათვის მეტად მკომპრომენტირებულ მოვლენას. კერძოდ, იმას, რომ ასეთი „დაყვანის“ მას-

შტაბი, „პროპორციები“, განისაზღვრება სხვა არაფრით, თუ არა თვითონ ფაქტური საცვლელი თანაფარდობით, რომელიც თხოულობს ახსნას. ანუ სხვა სიტყვებით, ამ „დაყვანის“ ახსნისას მარქსი მოექცა „ჩაკეტილ წრეში“. პრობლემა, რომელიც მას უნდა განემარტა, იყო საქონელთა საცვლელი თანაფარდობა (მაგალითად რატომ იცვლება ქანდაკება, როგორც მოქანდაკის 1 დღის შრომა, კალატოზის 5 დღის შრომის შედეგზე) ე. ი. 1:5 — არც მეტი, და არც ნაკლები. და როგორ გვიხსნის ამას მარქსი: საცვლელი თანაფარდობა ასეთია (და არა სხვანაირი) იმიტომ, რომ მოქანდაკის ერთი დღის შრომა დაიყვანება 5 დღის მარტივ შრომამდე, ხოლო ის, თუ რატომ დაიყვანება სწორედ ასეთ პროპორციებში, ამას გვიჩვენებს ვამოცდილება, პრაქტიკა, საზოგადოებრივი პროცესი, ანუ სწორედ ის პროცესი, ის პრაქტიკა, რომლის ახსნასაც მარქსი ცდილობს, პროცესი, რომელიც სწორედ რომ საჭიროებს ახსნას.

П. Р. ЛЕИШВИЛИ

НЕСКОЛЬКО АРГУМЕНТОВ КРИТИКИ ТЕОРИИ СТОИМОСТИ МАРКСА

Резюме

Рассматриваются некоторые критические аргументы относительно несостоятельности марксовской теории трудовой стоимости, которые выдвинуты еще в 1896 году Е. Бем-Баверком в нашумевшей книге «Теория Карла Маркса и ее критика». В советской экономической литературе эти аргументы всегда излагались в заведомо искаженной, тенденциозной интерпретации марксизма, а затем легко «обезвреживались» с тех же ортодоксально-марксистских позиций. Краткое и объективное изложение сути этих аргументов позволит по-новому осмыслить как научное значение этих аргументов, так и степень догматизации учения Маркса советскими марксистами.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თეორიული ეკონომიკის განყოფილებამ

სამართალი

ვიორჯი ნაღარაიშვილი

სამართლის ნორმებით მოწესრიგებული სამართაშორისო ვაჭრობა ქრისტეს დაბადებამდე მეთვრამეტე საუკუნეში

1907 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ გ. შერშენევიჩის „სავაჭრო სამართლის სახელმძღვანელოში“ ნათქვამი იყო, რომ „თავის განვითარებაში სავაჭრო სამართალმა გაიარა სამი პერიოდი: იტალიური, ფრანგული და გერმანული“ (გვ. 8). სავაჭრო სამართლის განვითარების პირველ — იტალიურ პერიოდს ახასიათებდა სავაჭრო სამართალში წოდებრივი საწყისების ბატონობა. ვაჭრობის მომწესრიგებელ ნორმებს ჩვეულებებში ეძებდნენ, ხოლო თვით ჩვეულებები, ცალკეული კუთხეების მიხედვით, სხვადასხვა იყო. სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ფრანგულ პერიოდში წოდებრივი საწყისები თუმცა კვლავ შენარჩუნებული იყო, მაგრამ ის დაუმორჩილეს სახელმწიფო საწყისებს და დაიწყეს სავაჭრო სამართლის კოდიფიცირება. სავაჭრო სამართლის გერმანულ პერიოდში ეცემა წოდებრივი საწყისების ბატონობა. ჩვეულებითი სამართალი ადგილს უთმობს წერილობით ფიქსირებულ კანონმდებლობას. შეინიშნება ტენდენცია, რომ არა მარტო ქვეყნის შიგნით განზოგადდეს პარტიკულარული ჩვეულებითი სავაჭრო სამართლის ნორმები, არამედ შეიქმნა კიდევ მოთხოვნილება სახელმწიფო-თაშორისო სავაჭრო სამართლის შესაქმნელად.

1907 წელს, როდესაც გ. შერშენევიჩმა თავისი უკვე ხსენებული ნაშრომი გამოაქვეყნა, ხამურაბის კოდექსის შესწავლის დონე რუსეთში არ იძლეოდა შესაძლებლობას ჩაგვეხედა ძველი აღმოსავლეთის ამ უმთავრესი სამართლებრივი ძეგლის სავაჭრო უბანში. თანაც ავტორს არ აინტერესებდა საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობა წინარე ანტიკურ და ანტიკურ ხანაში.

აღმოჩნდა, რომ ვაჭარს და ვაჭრობას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ხამურაბის კოდექსი. აქ ოცდაათამდე სხვადასხვა მუხლში მაინც არის ნახსენები თამქარი (ვაჭარი) და სხვადასხვა ქვეყნებში მიმომსვლელი წვრილი ვაჭარი შამალუ (იხ. მესამე, ასმეერთე, ასმეორე, ასმესამე, ასმეოთხე, ასმეხუთე, ასმეექვსე და ასმეშვიდე მუხლები).

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება: მესოპოტამიას არსებობა არ შეეძლო საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე. მას გარედან უნდა შემოეტანა ნედლეულის ძირითადი სახეები, სამართლიანად აღნიშნავდა ვ. იაკობსონი¹ მესოპოტამიელებს სხვა ქვეყნებიდან შემოქონილად ხე-ტყე, მეტალი, ტყავი და ა. შ.

ძველი აღმოსავლეთის სპეციალისტებს გამორკვეული აქვთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც ასეთი, არსებობდა ხამურაბის კოდექსის შექმნამდე მთელი ათასი წლით ადრეც, ქრისტეს დაბადებამდე მესამე ათასწლეულშიაც.

ვ. იაკობსონი აღნიშნავს: არ ქმნის რა თავისთავად ნამეტ პროდუქტს, ვაჭრობა შეადგენს მისი განაწილების და გადანაწილების მნიშვნელოვან სა-

¹ ძველი აღმოსავლეთი და მსოფლიო კულტურა, მოსკოვი. 1981, გვ. 53.

შუალეხას. ძველად საერთაშორისო ვაჭრობა თითქმის ყოველთვის არაეკვივალენტური იყო და გადაქაჩავდა ნამეტ პროდუქტს ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან უფრო განვითარებულ ქვეყანაში. ეს დებულება ძირითადად მართებულია, მაგრამ ავტორი არაფერს არ გვეუბნება იმის შესახებ, რომ იმ ხანებში ვაჭარი საერთოდ და მით უფრო ვაჭარი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობდა, ამავე დროს თავისი დროის ერთ-ერთი საკმაოდ განათლებული პიროვნება, კულტურულ ფასეულობათა და საწარმოო გამოცდილების მატარებელიც იყო. ვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, როგორც ქვეყნის კულტურული ცხოვრების, ეკონომიკის და პოლიტიკის შესახებ სახლო ინფორმაციის მქონე პირები. ვაჭარი კულტურული შუამავალიც იყო. სხვა წოდებებთან ერთად ვაჭრებმაც, როგორც ალემ-მიცემობასთან დაკავშირებულმა მოსახლეობის ფენამ, დიდი როლი შეასრულა პოლიტიკურ პროცესებში, სახელმწიფოთა ფორმირების პროცესებში სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობებში მონაწილეობის მეშვეობით, ეკონომიური განვითარების ტენდენციების შეგნებულად თუ ინტუიციურად გათვალისწინებით. მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. დაუბრუნდეთ ხამურაბის კოდექსს, სადაც ვკითხულობთ: „უკეთუ კაცმა კაცს საამხანაგოდ ვერცხლი მისცა, მოგება და ზარალი, რაც კი იქნება, ღმერთის წინაშე თანაბრად უნდა გაიყოს“.

ხამურაბის კანონების მეასე მუხლის თანახმად: „უკეთუ თამქარმა შამალუს საალებმციემოდ ვერცხლი მისცა, გზაზე გაისტუმრა, შამალუმ გზაში (მინდობილი ვერცხლი დააბანდა) და სადაც წავიდა, მოგება ნახა, მიღებული ვერცხლის სარგებელი უნდა ჩაიწეროს; მგზავრობის დღეებს დაითვლიან და იგი თამქარს ანგარიშს გაუსწორებს“².

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შამალუმ „სადაც წავიდა“ (საზღვარგარეთ) მოგება ვერ ნახა, აღებული ვერცხლი შამალუმ თამქარს ერთიორად უნდა გადაუხადოს.

„შამალუ“, „შამალუ(მ)“ შემერული ენიდან უნდა იყოს ნასესხები, სადაც ის ნიშნავდა „ჩანთის დამტარებელს“. ხამურაბის კანონებში კი „შამალუ“ იგულისხმება ვაჭარ მეწვრილმანედ, რომელიც საქონელს დაატარებს გასასაღებლად. შამალუ წვრილი ვაჭარია, თამქარის სავაჭრო აგენტია. მას დიდი სავაჭრო ოპერაციებისთვის არ ჰყოფნის ფული, ვერცხლი და ამიტომ ის თამქარისაგან იღებს ფულს სესხად და პასუხსაც აგებს მის წინაშე აღებული ვალისათვის.

ხამურაბის კანონების მიხედვით, უკეთუ თამქარმა ამ შემთხვევაში მსხვილმა ნეგოციანტმა შამალუს ვერცხლი მისცა „ხელის გასამართავად“ ხოლო შამალუმ „სადაც წავიდა, ზარალი ნახა, ამ შემთხვევაში შამალუმ თამქარს „მხოლოდ ვერცხლის თავნი უნდა დაუბრუნოს“ (102-ე მუხლი).

უკეთუ შამალუს მგზავრობისას „მტერი დააგდებინებდა“ ყველაფერს რაც მიჰქონდა, ამ შემთხვევაში „შამალუმ ღმერთი უნდა დაიფიცოს და გამართლებდებ“.

ძველ ბაბილონში კი სამართლის, ფიცისა და ხელშეკრულებათა მფარველ ღმერთად შამაში ითვლებოდა. ამასთანავე შამაში ვაჭრების მფარველაც ითვლებოდა. ამიტომ საგულვებელია, რომ ფიცი შამაშის ტაძარში სრულდებოდა.

2 „ხამურაბის კანონები“, თბილისი. 1988. გვ. 22.

როგორც ზემოთ მოტანილი მუხლების შინაარსიდან ირკვევა, თამქარი შამალუმს მიაველინებს, ავზაენის სავაჭროდ უცხო ქვეყანაში. უხდის მას მივლინების ხარჯებს, საფიქრებელია, მივლინების დღიურს და აძლევს ხელფასსაც, მაგრამ მოგებას მას არ უყოფს.

ძველ ბაბილონში ვაჭრობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ ისინი, როგორც ერთი მკვლევარი ამბობს, „ნათლად ანსხავებდნენ“ სავაჭრო მოგებასა და სარგებელს სესხისათვის. ერთი ძველბაბილონური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დებიტორი წვრილი ვაჭარი ჯერ გადაიხდიდა სესხის ძირითად თანხას (თაენს), შემდეგ სარგებელს სესხისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ ანგარიშობდა სავაჭრო მოგებას.

ძველ ბაბილონში სამართლიანად ითვლებოდა გასესხებული ვერცხლისათვის (ფულისათვის) სარგებლის აღება.

1960 წელს ლეიდენში გამოიცა ვ. ლიმანსის წიგნი „საგარეო ვაჭრობა ძველ ბაბილონში“ ინგლისურ ენაზე, ხოლო 1975 წელს სტამბოლში რ. ჰარრისის წიგნი „ძველი სიპარი“ — ესეც ინგლისურ ენაზე, ნაშრომებში განხილულია ამხანაგობის ხელშეკრულება ბაბილონური სამართლის მიხედვით.

საჭიროა მოვიძიოთ მასალები ამხანაგობის ხელშეკრულების შესახებ. ქართული სამართლის მიხედვით, სავაჭრო კაპიტალი იბადებოდა წვრილი სასაქონლო მეურნეობის წიაღში და წვრილი სასაქონლო მეურნეობიდან და წარმოადგენდა სამრეწველო კაპიტალის შორეულ წინამორბედს.

წვრილი მწარმოებლები — გლეხები და ხელოსნები იძულებულნი იყვნენ მიეყიდათ თავიანთი საქონელი ვაჭრებისათვის მის ღირებულებასთან შედარებით უფრო დაბალ ფასებში და ეყიდათ ვაჭრებისაგან საქონელი ღირებულებასთან შედარებით უფრო მაღალ ფასებში. ორივე შემთხვევაში წვრილი საქონლისმწარმოებლები აგებდნენ, ხოლო ვაჭრები იგებდნენ.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა

ЭРГУН ОНЕН

ОРГАНИЗАЦИЯ СУДОВ И АДВОКАТУРЫ В ТУРЦИИ

1. СТРУКТУРА СУДОВ В ТУРЦИИ

В зависимости от своей компетенции правосудие в Турции осуществляют Конституционный суд, административные суды и суды обычные.

1.1. Конституционный суд

Конституционный суд, учрежденный на основании Конституции 1961 года и действующий в столице Турции Анкаре, является единственным органом, уполномоченным рассматривать дела, которые обычно относятся к юрисдикции конституционных судов. В его состав входят 15 судей, из них 11 имеют статус постоянных членов суда, а 4 — запасных. Состав этого суда назначает Президент государства. Он подбирается из членов вышестоящих судов, а также из числа выдающихся представителей правовых, экономических и социальных наук и адвокатов¹. Члены Конституционного суда должны быть не моложе 40 и не старше 65 лет, иметь университетское образование и обладать по меньшей мере 15-летним стажем работы по специальности.

Важнейшей задачей Конституционного суда является контроль за соответствием законов Конституции. Кроме того, этот высокий суд в качестве Верховного государственного суда может, например, осуществлять правосудие по делам в отношении высокопоставленных чиновников или принимать решение о закрытии политических партий.

Решения Конституционного суда выносятся в результате тайного обсуждения на собрании 11 членов суда².

1.2 Правосудие по административно-правовым делам

В области правосудия по административно-правовым делам действует «Деништай» — Верховный административный суд. Он был основан в 1868 г. После провозглашения республики Деништай действовал и как суд первой инстанции, и как Верховный суд.

На основании новейших законов, принятых в 1982 г., в области правосудия по административно-правовым делам сегодня в Турции действует судебная система, состоящая из 3 инстанций.

Первая инстанция — это административные суды и налоговые суды. Вторая инстанция — это региональные административные суды, в компетенцию которых входит рассмотрение жалоб на решение нижестоящих судов по административно-правовым делам. Наконец, третья инстанция — это Верховный административный суд^{3,4}.

Как административный, так и районный административный суд рассматривают дела в составе председателя и двух заседателей.

Хотя как административный суд, так и налоговый суд в принципе являются коллегиальными судами, состоящими из трех судей⁵,



по определенным искам решение принимает судья единолично⁸. Решение, вынесенное судьей единолично, может быть обжаловано в районном административном суде⁷.

В качестве ревизионной инстанции, осуществляющей пересмотр дела, выступает Верховный административный суд Деништай, состоящий из 10 сенатов. Из них 8 сенатов правомочны разбирать гражданские дела, а два — административно-правовые дела. Каждый сенат состоит из председателя и 4 заседателей.

1.3. Обычное судопроизводство

1.3.1. Судопроизводство первой инстанции

Обычное судопроизводство осуществляется по двум направлениям — правосудие по гражданским и правосудие по уголовным делам. Правосудие по этим направлениям обычного судопроизводства входит в основном в компетенцию обычных судов и основывается на принципе рассмотрения дел по двум инстанциям. В первой инстанции общие суды в качестве участковых и районных судов могут рассматривать как уголовные, так и гражданские дела^{8,9}. В каждом судебном округе действует один участковый и один районный суд^{10,11}. Как правило, в этих судах судья вершит правосудие единолично¹². Торговый суд и суд присяжных — это особые районные суды, отправляющие правосудие по гражданским и уголовным делам.

В области судопроизводства по уголовным и гражданским делам действуют также особые суды. Например, к ним относятся суды по трудовым спорам, кадастровые суды (гражданское право), суды по делам о нарушении Закона о печати, суды по автотранспортным преступлениям, суды по делам о нарушении валютных операций, суды по делам молодежи, суды по делам, связанным с госбезопасностью, военные суды (уголовное право).

1.3.2. Яргитай — ревизионный суд последней инстанции

Над судами, которые осуществляют обычное судопроизводство, стоит Яргитай в качестве второй и последней инстанции, а именно как суд, обладающий правом пересмотра дел^{13,14}. Яргитай состоит из 16 сенатов по гражданским делам и 9 сенатов по уголовным делам, которые производят пересмотр дел. Здесь также работает Большой сенат по гражданским делам и Большой сенат по уголовным делам. Они обобщают практику сенатов и выносят окончательное решение, когда первая инстанция настаивает на решении, отмененном в результате пересмотра дела¹⁵.

Пересмотр дела, согласно закону, может производиться как по жалобе сторон, так и Яргитаем самостоятельно (ч. 2, ст. 439 Закона о гражданском судопроизводстве). Основания для пересмотра дела в УПК точно не перечислены. Они сформулированы в общем виде как «незаконные решения» (ч. 1 ст. 307 УПК). При этом «незаконные решения» определяются как неприменение или ошибочное применение правовой нормы (ч. 2, ст. 301 УПК).

Помимо пересмотра дела в турецком праве существует вторичная процедура исправления судебных решений. При наличии определенных предпосылок решение одного сената Яргитая может быть исправлено другим сенатом¹⁶.

2. УЧАСТНИКИ ПРАВОСУДИЯ

1.2. Судьи и прокуроры

Согласно ст. 9 Конституции Турции, «полномочие осуществлять правосудие от имени турецкого народа принадлежит независимым судам». Понятие «независимый суд» связано с понятием «независимый судья». При осуществлении правосудия судьи, согласно Конституции, обязаны руководствоваться законом, правом и своими честными убеждениями. При этом они не должны исполнять никаких приказов или указаний, исходящих от какой-либо инстанции или лица¹⁷. Судей или прокуроров нельзя освобождать от должностей. Даже по таким причинам, как ликвидация какого-либо суда или сокращение бюджета, их нельзя лишать ежемесячной заработной платы или других личных привилегий. До достижения ими возраста 65 лет их также нельзя помимо собственного желания отправить на пенсию¹⁸.

Для назначения на должность судьи или прокурора обязательным условием является окончание факультета правоуказания¹⁹. Правосудие могут осуществлять только профессиональные судьи. Институт присяжных заседателей в Турции отсутствует.

Хотя все государственные служащие в Турции получают поощрение по службе каждые три года, поощрение судей и прокуроров производится каждые два года²⁰. Существует также система дополнительных поощрений и привилегий, получение которых зависит от оценки качества исполнения служебных обязанностей. Например, Верховный суд Яргитай и Деништай при пересмотре дел имеют право выносить оценки приговорам судов первой инстанции по шкале: удовлетворительно, неудовлетворительно, хорошо, очень хорошо²¹.

Исходя из значения и специфичности должностей судьи и прокурора и необходимости повышения их жизненного уровня, закон предусматривает возможность выплаты им 100-процентной прибавки к ежемесячному жалованию²². Представителям этих профессий также предоставляются служебные квартиры²³, либо выплачивается компенсация за квартирную плату²⁴.

Однако, несмотря на подобную заботу со стороны государства, из 8565 вакансий на должность судьи в 1988 г. было занято лишь 7346 мест²⁵.

2.2. Организация адвокатуры

2.2.1. Адвокаты

Хотя в Турции профессия адвоката является государственной службой, подчас это свободная профессия. В осуществлении своих функций адвокат независим²⁶. Для того, чтобы начать работу в качестве адвоката, необходимо соблюдение определенных предпосылок. К ним относятся, например, наличие турецкого гражданства и диплома об окончании юридического факультета²⁷. Каждый адвокат должен внести свое имя в список адвокатов того места, где он будет работать, и только здесь он имеет право открыть свое бюро²⁸. Закон разрешает нескольким адвокатам объединяться в адвокатскую контору²⁹. Договор между адвокатом и клиентом, однако, носит индивидуальный характер, оценивается как работа представителя свободной профессии и не носит характера торговой сделки. Адвокатская контора не является юридическим лицом.



Согласно закону, судьи, прокуроры и доценты юридических факультетов, если они проработали в своей должности 4 года, могут стать адвокатами, даже если прежде они не имели адвокатской практики. И наоборот, адвокаты могут занимать должность судьи или прокурора³⁰.

В турецком праве нет института обязательного участия адвоката в судебном процессе. Каждый может сам поддерживать свой иск на любой стадии процесса³¹. Поэтому каждый, кто хочет возбудить процесс (конечно, если он сам поддерживает свой иск), может поручить написать исковое заявление «арсухалчи». Арсухалчи — это лица, которые собираются вблизи судов и не хуже адвокатов в состоянии подготовить исковое заявление. Число этих лиц с каждым годом сокращается.

2.2.2. Палата адвокатов

Палата адвокатов образуется в центре каждого округа, в котором работают как минимум 15 адвокатов³². Провинциальные города, в которых нет палаты адвокатов, присоединяются к ближайшей палате адвокатов. Из 73 турецких провинций самостоятельные палаты адвокатов отсутствуют лишь в 14 провинциях³³. Палаты адвокатов — это профессиональные союзы. Они являются юридическими лицами и несут черты общественного учреждения³⁴.

2.2.3. Союз турецких палат адвокатов

В 1969 г. был основан Союз турецких палат адвокатов. Это юридическое лицо, обладающее качествами общественного учреждения. В его задачу входит координация деятельности палат адвокатов. Этот союз также выполняет функции надзорного и дисциплинарного совета³⁵.

Согласно Закону об адвокатах, министерство юстиции в качестве регистрирующего органа обладает правом принимать решения в связи с деятельностью палат адвокатов и органов Союза палат адвокатов³⁶.

3. Выводы

Турецкое общество, начиная с 1838 г., обратило свои взоры на Запад. Начался процесс приобщения к европейской культуре и европейскому праву, хотя по-прежнему сохранялась исламская система права. Образованная в 1923 г. Турецкая республика сознательно решила перейти от исламского права к европейско-континентальному праву путем проведения радикальных правовых реформ. Прошедшие с тех пор 68 лет показали, что европейская система права пустила в Турции довольно глубокие корни, а ее применение ознаменовалось успехом. Конечно, в этом плане остается необходимость предпринятия определенных улучшений и изменений. О некоторых из них в области правосудия и организации системы судов мне хотелось бы сказать ниже.

Рост числа населения, развитие экономики, движение рабочей силы и капиталов, быстрые темпы урбанизации, возникающие время от времени кризисы и структурные неполадки и т. п. способствуют значительному увеличению конфликтов как между личностями и обществом, так и между самими личностями. Соответственно растет и чис-

ло судебных процессов, хотя возможности судебной системы не отвечают этим потребностям³⁷. Также не увеличивается число судей в соответствии с этими тенденциями. Хронической проблемой для Турции стало возрастание потребности в судьях и наличие незанятых вакансий в судах³⁸. Все это приводит к дисфункции судебной системы и негативным последствиям. Поэтому возникает необходимость того, чтобы в небольших местностях правосудие вершилось судьей единолично. С этой целью также выдвигаются предложения устранить различия между местными и районными судами³⁹. Наряду с этим раздаются призывы упразднить такие коллегиальные суды, как торговый суд и суд присяжных с тем, чтобы правосудие по этим делам осуществлялось судьей единолично.

